



თქვენივე ქვეყნის




# საერთაშორისო ბანკის საქმის

გამომცემლობა „განათლება“  
თბილისი  
1971

72(031)



რელაქტორი ხელოვნებათმცოდნეობის  
ლოქტორი, პროფ. ი. ტიციშვილი




საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

7-1-5

71

72 (03)  
72 (038)  
3 46



28552  
555  
A

წინამდებარე შრომა ქართული სურთომოდღვრული ლექსიკონის შედგენის პირველი ცდაა. მასში მოკლედ არის განმარტებული სურთომოდღვრული, სახვითი ხელოვნების, ავეჯეულობისა და კაზმულობის ორი ათას ორასამდე ტერმინი. ცხადია, განმარტებითი ლექსიკონი ვერ შეცვლის სურთომოდღვრულ ცნობარს.

ლექსიკონში ზოგჯერ შევხვდებით ნაგებობისა თუ შენობის ნაწილის ამსახველ რამდენიმე სინონიმს. ვფიქრობთ, წინამდებარე ლექსიკონში მოცემული მასალა შემდგომში საფუძვლად დაედება სპეციალისტების — არქიტექტორისა და ენათმეცნიერის ერთობლივ ნაშრომს, რომელშიც დადგენილი იქნება ერთ-ერთი სინონიმის უპირატესობა.

წიგნში შეტანილია ისეთი ტერმინებიც, რომლებიც სურთომოდღვრულ ლიტერატურაში ჯერ არ არის დამკვიდრებული, მაგრამ ხალხში ცოცხლობს და ე. წ. დიალექტებს მიეკუთვნება. ამგვარი სიტყვები სარეზერვო ლექსიკურ ფონდს წარმოადგენს და მათი ნაწილი შესაძლებელია დროთა განმავლობაში დამკვიდრდეს ლიტერატურულ ენაში.

ლექსიკონში აგრეთვე მოყვანილია სმარებიდან გამოსული სიტყვები. მათ წინ უწერია „ძვ“, ე. ი. ძველი, მოძველებული. მათი მოყვანა მიზნად ისახავს ცხადი ვახადის ნაწარმოების ტექსტი, სადაც ასეთი ტერმინებია ნახმარი.

ლექსიკონში ბევრი ბერძნულ-ლათინური, ინგლისური, ფრანგული და სხვა უცხოური ტერმინი თარგმნილი არ არის. ისინი საერთაშორისო სიტყვებია და მათი შესატყვისების პოვნა ქართული ენის საგანძურში არ სერხდება.


ლექსიკონი შემდეგი წესით არის შედგენილი: თვით ტერმინი გამოყოფილია მსხვილი შრიფტით. ფრჩხილებში აღნიშნულია ტერმინის ეტიმოლოგია. განმარტების წინ გამოყოფილი სიტყვები განსაზღვრული ტერმინის სინონიმებია.

სურთომოდღვრული ლექსიკონის პირველ გამოცემაში შეიძლება უსუსტობანი აღმოჩნდეს. ყველა შენიშვნასა და მითითებას ავტორი მაძლობით მიიღებს და გაითვალისწინებს ლექსიკონის შემდეგი გამოცემისას.

შემოკლებათა განმარტება

არაბ.	. . .	არაბული	პოლ.	. . . . .	პოლონური
არაბ.	სპარ.	. . . . .	რუს.	. . . . .	რუსული
		არაბულ- სპარსული	სპარ.	. . . . .	სპარსული
ბერძ.	. . . . .	ბერძნული	ფრან.	. . . . .	ფრანგული
გერმ.	. . . . .	გერმანული	შდრ.	. . . . .	შეადარე
„ვეფხ“	. . . . .	„ვეფხისტყაოსანი“	ვ. ჩუბინ.	. . . . .	გიორგი ჩუბინაშვილი
„ვისრ“	. . . . .	„ვისრამიანი“	დ. ჩუბინ.	. . . . .	დავით ჩუბინაშვილი
თურქ.	. . . . .	თურქული	ძვ.	. . . . .	ძველი, მოძველებული
ინგ.	. . . . .	ინგლისური	ივ. ჯავ.	. . . . .	ივანე ჯავახიშვილი
იტალ.	. . . . .	იტალიური	ხალხ.	. . . . .	ხალხური
ის.	. . . . .	ისილე	პოლან.	. . . . .	პოლანდიური
კუთხ.	. . . . .	კუთხური			
ლათ.	. . . . .	ლათინური			
მაგ.	. . . . .	მაგალითად			
მისთ.	. . . . .	მისთანები. მის- თანათა			

აბაკი (ბერძ.) — კაპიტელის ზედა ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, კვადრატული ფილაა, სწორი (დორიული ორდერი) ან ჩახნექილი (კორინთული ორდერი) ნაპირებით.




აბანო — საბანაო მოწყობილობით — აუზებით, შხაპებით და ა. შ. აღჭურვილი საგანგებო შენობა.

„მრავლად იყო სირაჯები ვარდისწყლისა აბანოსა“

(ვეფხ.)

აბაჟური (ფრან.) — შუქფარი, ქსოვილის ან სხვა მასალის ფარი, რომელიც ლამაზზე ან ელნათურაზე ჩამოიცმება.



აბრა — ფირნიში; მალაზიების, საეპტო-სამრეწველო საწარმოების, სახელოსნოების, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა შესასვლელთან (ჩვეულებრივ, სადარბაზო კარის გვერდით ან მის თავზე) მოთავსებული წარწერიანი და ზოგიერთ შემთხვევაში ნახატებიანი დაფა სათანადო დაწესებულების დანიშნულებისა და საქმიანობის აღსანიშნავად.

აბრისი (გერმ.) — 1. გაბარიტი, კონტური, კონფიგურაცია; საგნის ვარე მოხაზულობა. 2. მონახაზი; ტოპოგრაფიულ სამუშაოებში ხე-

ლით შესრულებული ნახაზი, რომელზეც დატანილია მიღებული მონაცემები.

**აბსიდი** (ბერძ.) — იგივეა, რაც აფსიდი.

**აბსოლუტური ნიშნული** — ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან.

**აბარა** — ძვ. იგივეა, რაც აგარაკი. „სადგური საზაფხულო“ (საბა).

**აბარაპი** — საცხოვრებელი (უმეტესად ზაფხულობით) ადგილი ქალაქის გარეთ.

**აბეგმაზ** — განსაზღვრული ტერიტორიის ტოპოგრაფიული აზომვა.


**აბლომერაცია** (ლათ.) — დასახლებული ადგილების, ქალაქების გაერთიანება, თავმოყრა.

**აბორა** (ბერძ.) — საბერძნეთის ანტიკური ქალაქის თავდაპირველად სავაჭრო, შემდგომში საზოგადოებრივი და საქმიანი ცენტრი, რომელიც წარმოადგენდა სავაჭრო, საზოგადოებრივი და საკულტო ნაგებობებით ვანაშენიანებულ მოედანს.

**ადგილ-მამული** — მამული; ვისიმე საკუთრებაში მყოფი მიწა-წყალი.

**ადგილმდებარეობა** — დერული ტერიტორიის რელიეფის, ბუნების ხასიათი.

**ადიტონი** (ბერძ.) — ბერძნული ტაძრის სიღრმეში, ნაოსის უკან განლაგებული საკურთხეველი, რომელშიაც შესვლა ნებადართულია ჰქონდათ მხოლოდ კულტის მსახურთ („ადიტონი“ ბერძნულად წმინდას ნიშნავს).



**ადმინისტრაციული შენობა** — შენობა, სადაც მოთავსებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულება.

**აპროდრომი** (ბერძ.) — თვითმფრინავების ასაფრენ-დასაშვები ადგილი.

**აპრომაგვალი** (ლათ.) — თვითმფრინავით მოგზაურთათვის საგანგებოდ აგებული შენობა აერობორტში მოსაცდელად, საბარვო ოპერაციებისა და სხვა სახის მომსახურების გასაწევად.


აპარატი (ლათ.) — აეროსო-  
ლარიუმი; საპაერო აბაზანების მი-  
ხედვად განკუთვნილი ბაქანი.  
აპროსოლარიუმი (ლათ.) —  
იგივეა, რაც აერარიუმი.

აპროპორტი (ბერძ. ლათ.) —  
საპაერო ხაზების საკვანძო პუნქტ-  
ში მოწყობილი დიდი აეროდრო-  
მი აეროვაგზლით.

აპანანი — ძვ. აზნ; ხელოვნუ-  
რად აგებული თავლია წყალსა-  
ტევი.

„მტილ სამოთხენი  
თვალთ სამოთ ხენი  
ზედ ავანათა  
შექმნულობანი“. (აბღ.-მეს.)

აპანსტიბიუმი (ფრან.) —  
უშუალოდ შესასვლელთან, ვესტი-  
ბიულის წინ მოთავსებული სად-  
ვომი (თეატრის შენობაში იგი,  
ჩვეულებრივ, სალაროების ან გა-  
სახდელებისათვის არის განკუთ-  
ვნილი).




აპანსალი (ფრან.) — წინა დარ-  
ბაზი; საზოგადოებრივი შენობის  
მთავარი დარბაზის (მაყურებელ-  
თა დარბაზის, აუდიტორიის და  
ა. შ.) წინ განლაგებული სად-  
ვომი.

აპანლოჟა (ფრან.) — მცირე  
ზომის სადგომი, რომელიც წინა  
ოთახის სახით უშუალოდ უკავ-  
შირდება ლოჟას.

აპანპორტი (ფრან.) — გემების  
ღუზაზე დგომისათვის განკუთვნი-  
ლი ნავსადგურის გარე ნაწილი,  
რომელიც, ჩვეულებრივ, დაცულია  
ზღვის დეღვისაგან და სადაც  
წარმოებს გემების დატვირთვა.

აპანსჰენა (ფრან.) — პროსცე-  
ნიუმი; მაყურებელთათვის მულ-  
მივად თვალმისაწვდენი სცენის ნა-  
წილი ფარდასა და რამპას შორის.






სვარტანი — მანა, პალო, ჩხუტი, სარი, მარგილი; მიწაში ჩასარტობი ბოლოწაწვეტებული მსხვილი ჯოხი.

სვენიუ (ფრან.) — განიერი, გამწვანებული ქუჩის აღმნიშვნელი ტერმინი, მიღებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

სვეჰგაწყობილობა — ბინის, დარბაზის და ა. შ. ავეჯის ერთობლიობა, ხასიათი.

სვეჰეულობა — იგივეა, რაც ავეჯი.

სვეჰი — ბინის ან სხვა სახის სათავსების დგამი (მაგიდა, სკამი, კარადა და მისთ.).



ავექ-სამეპაული — ავეჯი და სამკაული — ოთახის მოსაწყობ-მოსართავი ნივთები, კაზმულობა.

ავზი — დიდი ზომის წყალსატე-ვი ჭურჭელი.

ავჟანდა — აწკალა; ხის ან ლი-თონის მისადგმელი კიბე.

ავტობაზა (ლათ.) — ავტომობი-ლების სადგომი, სარემონტო ად-გილი და სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის საწყობი.

ავტობაზა — საავტომობილო ვზა. იხ. ვზატკეცალი.


ავტოდრომი (ლათ.) — ავტო-მობილების შეჯიბრებისათვის სა-განგებოდ მოწყობილი მოედანი.

ავტოვავალი (ფრან.) — მგზა-ერთა მომსახურებისათვის საქა-ლაქთაშორისო საავტობუსო მარშ-რუტების სატრანზიტო და კიდუ-რა პუნქტებში აგებული შენობა-თა კომპლექსი.


ავტოსადგური — იგივეა, რაც ავტოვაგზალი.

ავტოსტრადა (იტ.) — ვზატკე-ცილი, რომელიც არ არის გადაჭ-რილი განივი ვადასასვლელით და ვამიზნულია მანქანების გამ-ჭოლი მოძრაობისათვის.

ავარმაცი — ოწინარი; ქაქათან დამავრებული ბერკეტი ამოსატანად. საერთოდ, სიმძიმის ასაწევი ბერკეტი.



ავიანი (სპარ.) — 1. ბალკონა; შენობის ფასადის სიბრტყიდან გა-მოწეული და, როგორც წესი, შიგა სათავსებთან დაკავშირებული, მო-აჯირით შემოსაზღვრული ბაქანი.



2. დერეფანი; საცხოვრებელი სახ-ლის (კერძოდ, ქართული საცხოვ-რებელი სახლის) ერთ ან სამხმრივ ღია ნაწილი სვეტებზე დაყრ-

დნობილი გადახურვით. ასეთი აი-  
ვანი ქვედა სართულის კედლებზე  
ან ამგვარივე აივნის სვეტებზეა  
დაყრდნობილი, ან შეკიდულია.

**აკადემიზმი ხელოვნებაში** —  
1. მხატვრული სისტემა, რომე-  
ლიც კლასიკური ხელოვნების კა-  
ნონებს დოგმად მიიჩნევს. აკადე-  
მიზმმა თავის დროზე მნიშვნელო-  
ვანი როლი შეასრულა კლასიკუ-  
რი ხელოვნების სისტემატიზაცი-  
ისათვის, მაგრამ შემდეგ კლასიკუ-  
რი სერსები უსიცოცხლო სქემე-  
ბამდე დაიყვანა. იგი, როგორც მი-  
მართულება, გავრცელებული იყო  
მე-17, მე-19 საუკუნეებში. 2. მხა-  
ტვრული სკოლის ტრადიციების  
დაცვა.

**აკადემია** — იგივეა, რაც აკადე-  
მა (ლიტერატურულად უპირატე-  
სია აკლდამა).

**აკანთი** (ბერძ.) — სკულპტუ-  
რული ორნამენტი, რომელიც ამა-  
ვე სახელწოდების მცენარის სტი-  
ლიზებული გამოსახულებაა და სა-  
ფუძვლად უდევს კორინთული კა-  
პიტელის, კარნიზის, ფრიზის და


სხვა არქიტექტურული ელემენტების  
დს დეკორს.



**აკპარელი** (ფრან.) — წყალში  
გასახსნელი საღებავი ან ასეთი  
საღებავებით დახატული სურათი.

**აკპარიში** (ლათ.) — წყლით  
გავსებული რეზერვუარი ან ჭურ-  
ჭელი, სადაც თევზებია გაშვე-  
ბული.

**აკვედუკი** (ლათ.) — რუსხმუ-  
ლი; ხიდისმაგვარი, უმეტესად  
თაღოვანი სუბსტრუქციები, რომ  
ლის მეშვეობით წყალგაყვანილო-  
ბის მიღები, სარწყავი და პიდრო-  
ტექნიკური არხები სვეტებზე, ვზებ-  
ზე, მდინარეებზე გადაყავთ.




აკლდამა — სამურავი; ნაგებობა, რომელშიაც მიცვალებული ასვენია. იხ. ლუსკუმა, სარკოფაგი, მასტაბა, მავზოლეუმი, პირამიდა.

აპრი (ლათ.) — დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მიღებული ფართობის საზომი ერთეული, რომელიც 0,4 ჰექტარს შეადგენს.


აპროლიტი (ბერძ.) — ქანდაკება, რომლის შიშველი ნაწილი მარმარილოშია შესრულებული, ხოლო ტანსაცმელი — ხეში.

აპროლიტი (ბერძ.) — ანტიკური ბერძნული ქალაქის გამაგრებული ნაწილი, რომელშიაც თავსდებოდა საზოგადოებრივი და საკულტო შენობები და რომელიც,

ჩვეულებრივ, შემადლებულია გილზე მდებარეობდა. იხ. ზედაცხე.



აპროტიმარიონი (ბერძ.) — ფონტონის კუთხეებზე მოთავსებული ქანდაკება ან სკულპტურულად შესრულებული ორნამენტული მოტივი (მაგ., პალმეტა).




აპუსტიკა პროტიმეტორული — იხ. არქიტექტურული აკუსტიკა.

ალა (ლათ.) — რომაული სახლის დამხმარე სათავსი.

ალაზგი — საბიჯელი; ღობეზე გადასასვლელი, გადასაბიჯებელი ადგილი.



ალაზრპი (ლათ.) — მეანდრი, ტენილი ან მრუდხაზოვანი ორნამენტი.



ალათა სარკმლისა — იხ. სარკმლის ალათა.

ალაყავის კარი — ბჭელი, ბჭისკარი, ბჭე-კარი; ვალავნის მთავარი შესასვლელი.

ალაჩოყი (თურქ.) — ალაჩუხი, ფალანგი; შუა აზიის მომთაბარეთა გადასატანი სადგომის სახეობა, რომლის ხის ჩონჩხელი და

მასზე ამოყვანილი ლატნები შექმნილი კონუსის ფორმის გუმბათი კვამლის გასაყვანი ხერხით დაფარულია ქსოვილისა და ტყავის ნაჭრებით.

ალაჩუხი — იგივეა, რაც ალაჩოყი.

ალბიჭი — არხი, რომელსაც აირები ღუმლიდან კვამლსადენში გადაჰყავს.



ალინმანი (ფრან.). — მეგალითური ქვების ალვა.

ალპასარი (ესპ.). — ცხენდარბაზი ან სასახლე ესპანეთში.

ალპოვი (ფრან.) — კედლის ნაწილის შეწევით ან კედელში ღრმა ნიშის მოწყობით შექმნილი დამატებითი სათავსი ოთახში. ალკოვდ მითავსებულია ოთახის დონეზე ან მას საფეხურებით უკავშირდება. უმეტეს შემთხვევაში ალკოვში საწოლი თავსდება.

ალფრესკო (იტ.) — იგივეა, რაც ფრესკა.

ამალღეული თალი — თალი, რომლის წარმმართველი რკალის ცენტრის ქვევით, ქუსლებამდე სწორხაზოვანი მონაკვეთებით გრძელდება.



**ამბარი (სპარ.)** — 1. ბეღელი. სორბლეულის შესანახი, უმთავრესად ხის ნაგებობა. 2. კუთხ. სორბლის ან ფქვილის შესანახი ყუთის მსგავსი დიდი ტვეადობის სათავის დასახელება ქართლ-კახეთში.

**ამბიონი (ბერძ.)** — 1. აღრი-ნდელი ქრისტიანული ტაძრის გუმბათის ქვემოთ ან პატრონიკეს სწვრივად მოთავსებული კათედრა. 2. სამქადაგებლო, საფსალმუნე; ქადაგების წარმოსათქმელად მოწყობილი შემადგენელი ადგილი საკურთხევის წინ.

**ამბრაჰაშურა (ფრან.)** — 1. სადგომისკენ გაფართოებული ფანჯრის სვრეტი. 2. სათოფური; ციხესიმაგრის კედელში სროლისათვის დატოვებული სვრეტი.

**ამბულატორია (ლათ.)** — სამკურნალო დაწესებულება, რომელიც მოსიარულე და სახლში მწოლიარე ავადმყოფებს უწყევს დჭხმარებას.

**ამონასხი** — გრაეიურა; ხის ანლითონის დაფაზე სპეციალური საჭრისებით ან სიმჟავით ამოყვანის საშუალებით შესრულებული ნახატის ბეჭდვითი აღწარმოება.


**ამპირი (ფრან.)** — ტერმინი უმთავრესად გამოიყენება ნაპოლეონ პირველის იმპერიის პერიოდის ფრანგული ხელოვნების მიმართ, თუმცა შემდგომში ამპირი ვაერცელდა ევროპის მთელი რიგი ქვეყნების არქიტექტურასა და გამოყენებით ხელოვნებაში მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში. ისევე როგორც კლასიციზმი, ამ-



პირი ეყრდნობა ანტიკური ხელოვნების კლასიკურ ფორმებს. იგი იყენებს დახვეწილ მონუმენტურ ფორმებსა და ეგვიპტური და რომაული ხელოვნების მოტივებს. ორნამენტის კაში ფართოდ ვაგრცელდა სამხედრო ემბლემატიკა.

**ამფითმატრი (ბერძ.)** — 1. ხარისხებად განლაგებული მაყურებელთა ადგილები დარბაზში. 2. ანტიკური მონუმენტური ნაგებობა სარბიელით (რომში) ან სცენით (საბერძნეთში) და კონცენტრულ რიგებად განლაგებულ მაყურებელთა ადგილებით. სიტყვა „ამფი“ ძველბერძნულად ნიშნავს — „ორთავ მხარეზე“.

**ამფიპროსტილი (ბერძ.)** — სწორკუთხოვანი მოხაზულობისა და ორივე ვიწრო მხარეზე პორტიკების მქონე ანტიკური ტაძარი.



**ამფისქვევა კოჭი** — სამრეწველო შენობის, ჩვეულებრივ, გრძივი

კედლის გასწვრივ განლაგებული სვეტებზე დაყრდნობილი ხის, ლითონის ან რკინაბეტონის კოჭი, რომელზედაც ამწის სილი მოძრაობს.



**ანაბკი** — ნაგები, ნაგებობა. შენობა. ნაშენი.

**ანაკრები კონსტრუქციები** — ანაწყობი კონსტრუქციები; შენობის ნაწილები, რომლებიც ქარხნული წესით მზადდება და ადგილზე მონტაჟდება (კედლის ბლოკი, პანელი, გადასურვის ფილა და მისო.).

ანაპრები სახლი — სახლი, რომელიც მთლიანად ადგილზე აიწყობა ქარხნული წესით დამზადებული დეტალებისგან.

ანაშენი — იგივეა, რაც ანაუები.

ანაწყობი კონსტრუქციები — იგივეა, რაც ანაკრები კონსტრუქციები.

ანგარი (ფრან.) — თვითმფრინავების სადგომი.



ანგობი (ფრან.) — თეთრი ან ფერადი თიხის თხელი ფენა, რომლითაც იფარება კერამიკული ნაკეთობა გამოწვამდე, გლუვი ზედაპირის მისაღებად.

ანდრონი (ფრან.) — შამაკაცებისათვის განკუთვნილი სადგომი ბერძნულ საცხოვრებელ სახლში. ანდრონი პერისტილურ ეზოს (ბერძნული სახლის ცენტრალურ ნა-

წილს) უშუალოდ ან მცირე ტალანის საშუალებით უკავშირდება.

ანთიმიონი (ბერძ.) — მცენარეთა (პალმეტა, ყვავილები და ა. შ.) სტილიზებული გამოსახულების წნულისაგან შედგენილი ორნამენტი.

ანპერი (ვერმ.) — შენობის ცალკეული ელემენტების კედელთან დამაკავშირებელი (კედლის წყობაში ცალი ბოლოთი დატანებული) ლითონის საბმური.




ანსამბლი არქიტექტურული — იხ. არქიტექტურული ანსამბლი.

ანტაბლემანი (ფრან.) — იგივეა, რაც ანტაბლემენტი.




ანტაბლემენტი (ფრან.) — ანტაბლემენი; არქიტექტურული ორდერის სვეტზე დაყრდნობილი პორიფონტალური ნაწილი. ანტაბლემენტი შედგება არქიტრავის, ფრიზისა და კარნიზისგან. ყოველ ცალკეულ არქიტექტურულ ორდერში ანტაბლემენტს გააჩნია განსხვავებული პროპორციები და პლასტიკურად სხვადასხვანაირად მუშავდება.




ანტარაზა — მლოცველთა სადგომი ინდურ ტაძარში.

ანტაფიქსი (ლათ.) — სახურავის კიდულის გასწვრივ მოთავსებული მარმარილოს ან კერამიკული სამკაული. ანტეფიქსი, ჩვეულებრივ, სკულპტურულად შესრულებული მცენარეული ორნა-

მენტია ან ფანტასტიკური ცხოველის ნიღაბი.



ანტი (ლათ.) — ანტიკური შენობის ვრძივი კედლის გამონაშვარი. ანტები ორმხრივ საზღვრავს სწორკუთხა მოხაზულობის მქონე შენობის ვიწრო მხარეზე ვანლაგებულ პორტიკის სივრცეს. ამგვარი კომპოზიცია დამახასიათებელია ანტიკური ტაძრების გარკვეული ჯგუფისათვის. ისინი არქიტექტურაში ცნობილია სახელწოდებით: „ანტიური ტაძარი“ ან „ტაძარი ანტებში“.



ანტიკი (ფრან.) — ანტიკური  
ქანდაკების ან მისი ნაწილის ორი-  
გინალისა და აგრეთვე ანტიკური  
ქანდაკების პირის დასახელება.

ანტიფიშა (ლათ.) — ფრიზის  
უკანა მხარე.

ანტირესოლი (ფრან.) — 1. სასა-  
რგებლო ფართობის გაზრდის მიზ-  
ნით სართულის მოცულობაში ჩა-  
შენებული ნახევარსართული (ზო-  
გჯერ ღია დერეფნის სახით).  
2. დამხმარე სათავის თავზე მო-  
თავსებული კარადა.

ანფილადა (ფრან.) — ერთ  
გრძივ ღერძზე განლაგებული, კა-  
რებებით დაკავშირებული ოთა-  
ხების, დარბაზების რიგი.

ანულაბი (გერმ.) — სვეტის-  
თავის რგოლური თასმები.

ანჟოლი — თავარა, ორთავი,  
წითხლი; დიობის შემომფარ-  
გვლელი შიგა სიბრტყე.

ანძა — 1. მაღალი ბოძი, რომელ-  
ზედაც გადაჭიმულია სხვადა-  
სხვა დანიშნულების მავთულები.  
2. გემზე აღმართული მაღალი ძელი  
იალქნის დასამაგრებლად. 3. ძვ.  
წვერმანვილი ძელი დასასჯელის  
ასაცმელად.

ანჟალა — ბიგა, ბივი, ბიჯვი,  
ბოკონი, ბოძი, ბოძინტი, დგარი,  
საკაევი, ჭალა, ხაშარი; საყრდნო-  
ბი ძელი.

ანჟუხი — ავარტიანი, სარი, ჩხუ-  
ტი, ჭივო, ხარდანი; წაწვეტიტბუ-  
ლი ჯოხი, ძელი.

ანჟაბა — მარყუჟი; კარის ან  
სარკმლის ჩამოსაკიდი რკინის მო-  
წყობილობა.

აპაღანა (სპარ.) — პრაველსვე-  
ტიანი პარადული დარბაზი ირა-  
ნულ სასახლეებში.

აპარტამენტი (ფრან.) — კე-  
თილმოწყობილი ბინა ან დიდი  
ზომის, ძვირფასად მოპირკეთე-  
ბული და მოწყობილი ოთახი.

აპოლიტმარიუმი (ლათ.) — ვა-  
სახდელი რომის თერმებში.

არაბმსკა (ფრან.) — 1. მუსლიმა-  
ნური არქიტექტურისათვის დამა-  
ხასიათებელი ორნამენტი, რომე-  
ლიც მიიღება გეომეტრიული ფი-  
გურების, ხაზებისა და სტილიზე-  
ბული მცენარეული მოტივების  
წნულით. ორნამენტში ჩართუ-  
ლია ზოგჯერ არაბული დამწერ-  
ლობა. არაბესკა, ჩვეულებრივ,  
მკვეთრად არის დაფერილი. 2. კო-

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



მბოზიციურად რთული ორნამენტი, რომელშიაც გადაწულია სხვადასხვა სტილიზებული მოტივი (მათ შორის ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებანი).

არამხანა (არაბ. სპარ.) — პარამხანა; საგანგებო სადგომი მუსლიმანურ აღმოსავლეთში, სადაც კარჩაკეტილად ცხოვრობენ შეძლებული მუსლიმანის ცოლები.

არღაბაბი (არაბ.) — 1. შემაღლებული ბაქანი კანკელის წინ. 2. ძვ. სასურავის ან სხვათა კიდულის გასწვრივ დადგმული მოაჯირი. 3. ძვ. სარკმელი. 4. ძვ. წყლის გასადინარი მილი.

არღმშული — კალოს სახლი, საცხველი სახლი; სობლეულის შესანასი შენობა.


არენა (ლათ.) — 1. ასპარეზი, სარბიელი; მოედანი რომელსედაც გლადიატორები იბრძოდნენ. 2. სანახაობის საჩვენებლად გამიზნული მრგვალი ბაქანი ცირკის შენობაში.

არეოსტილი (ბერძ.) — გარკვეული პროპორციების დაცვით აგებული ანტიკური ტაძრის პორტი-

კი. ვიტრუვიუსის კლასიფიკაციის მიხედვით ამგვარი პორტიკის სვეტის სიმაღლე მისი რვა დიამეტრის ტოლია, ხოლო სვეტების ბიჯი უდრის 4,5 დიამეტრს.

არიერსცენა (ფრან.) — სცენის ნაწილი, რომელიც მისი ძირითადი ბაქნის უკან არის მოთავსებული.


არპადა (ფრან.) — თაღედი; სვეტებზე დაყრდნობილი თაღების რიგი.



არპატურა (გერმ.) — თაღნარი; კედლის სიბრტყეზე გამოყვანილი ყრუ თაღედი, რომელიც დეკორაციულ ელემენტს წარმოადგენს.

არპატანი (ფრან.) — გარესაყრდენი თაღი, ნახევარკალის ფორმის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც კამარას გამბჯენ ძაბვებს საგანგებო საყრდენებს

— კონტროლსებს გადასცემს და კედლის ან სვეტის სისქის მნიშვნელოვნად შემცირების საშუალებას იძლევა.



არკოსოლიუმში (ფრან.) — სარკოფაგის მოსათავსებელი ნიში.

არმატურა (ფრან.) — 1. რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის სიზრქეში მოქცეული ფოლადის ლეროების ერთობლიობა. 2. ნაკეთობის ჩონჩხედი. იხ. საშუქი არმატურა.

არსენალი (ლათ.) — ზარადხანა; შენობა, სადაც წარმოებს იარაღის დამზადება, შეკეთება და შენახვა.


არქაიზაცია (ბერძ.) — არქაიზმი; მიბაძვა ძველი ფორმებისა და მოტივებისადმი.

არქაიზმი (ბერძ.) — იგივეა, რაც არქაიზაცია.

არქაიპა (ბერძ.) — ხელოვნების განვითარების აღრინდელი პერიოდი. ტერმინი, რომელიც იხმარება ძველი ბერძნული ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის მიმართ (მე-7 — მე-5 სს ჩვენს ერამდე).

არქეოლოგია (ბერძ.) — მეცნიერება, რომელიც ისტორიულ წარსულს ადგენს მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის გზით. მისი ძიების ძირითადი მეთოდია გათხრები.

არქიმოლტი (იტ.) — თავსართი; თადის მოჩარჩოება, რომელიც წარმოადგენს მთლიან ან დანაწევრებულ ზოლურას.





**არქიტექტონიკა** (ბერძ.) — შენობის კომპოზიციის და სტრუქტურის დამახასიათებელი წყობა, რომელიც გამოისახება ცალკეული ნაწილების ურთიერთკავშირით, რიტმით, პროპორციებით, ნაგებობის ელემენტების მასშტაბურობით. მეორეხარისხოვანი ელემენტების მთავარისადმი დამორჩილების ხერხით.

**არქიტექტორი** (ბერძ.) — ხუროთმოძღვარი; პირდაპირი თარგმანით — მთავარი. უფროსი მშენებელი. სპეციალისტი არქიტექტურის დარგში.

**არქიტექტურა** — იხ. ხუროთმოძღვრება.

**არქიტექტურული აკუსტიკა** — აკუსტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის შენობაში ხმის გავრცელების საკითხებს.

**არქიტექტურული ანსამბლი** — ერთიან კომპოზიციას, ვარკვეულ არქიტექტურულ იდეას დამორჩილებული შენობების და ნაგებობების ერთობლიობა, ჩამოყალიბებული თანდათან — ხანგრძლივი დროის მანძილზე ან ერთდროულად.

**არქიტექტურული კომპლასი** — განსაზღვრული დანიშნულების შენობათა ჯგუფი.

**არქიტექტურული კომპოზიცი** — ნაგებობათა ჯგუფის (ანსამბლის, კომპლექსის) ან ნაგებობის ცალკეული ნაწილების განსაზღვრული წყობა, რომელიც ერთიან მთლიანობას ქმნის.

**არქიტექტურული მასშტაბი** — არქიტექტურული ელემენტების კომპოზიციური წყობის ხერხი, საშუალება, რომელიც დაფუძნებულია შენობის ნაწილების ურთიერთ შეფარდებასა და ამ შეფარდების ათვისების უნარზე. მასშტაბის ცნების გავრცელებულ გაგებისაგან განსხვავებით არქიტექტურული მასშტაბი არ გულისხმობს კონკრეტულ სიდიდეს და დამოკიდებულია ადამიანის მიერ შენობის მოცულობათა აღქმის უნარზე, თავისებურებაზე. მისი უმთავრესი მიზანია ნაგებობის ნაწილების ისეთი მწყობრის შექმნა, რომელიც განსაზღვრულ შთაბეჭდილებას მოახდენს ადამიანზე, რაც უმთავრესად მიიღწევა შენობის აბსოლუტური ზომების შეფარდებით ადამიანისათვის ჩვეულო განზომილებასთან.

**არქიტექტურული ორდერი** — არქიტექტურული კომპოზიცია, სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს დგარულ-კოჭოვანი კონსტრუქცია და წყობის განსაზღვრული კანონები. ჩაისახა ანტიკურ საბერძნეთში და გავრცელდა ევროპის მრავალი ქვეყნის კლასიკურ არქიტექტურაში. ორდერი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ფუძე, სვეტი და კოჭოვანი სისტემა — ანტაბლემენტი. ცნობილია ხუთი კლასიკური ორდერი: დორიული, ტოსკანური, იონიური, კორინთული, კომპოზიტი. ძირითადი განსხვავება ცალკეულ ორდერებს შორის მდგომარეობს როგორც ცალკეული ელემენტების წყობასა და მხატვრულ დამუშავებაში, ასევე შთაბეჭდილება და მეორეხარისხოვანი ელემენტების პროპორციებში.


**არქიტექტურული პროფილში** — მოლიურები, მულიურები; არქიტექტურული ფორმების შემადგენელი ელემენტები. არქიტექტურული პროფილები იყოფა ორ ჯგუფად: სწორხაზოვანი (თარო, პლინტი და სხვ.) და მრუდხაზოვანი (ლილვი, ფოსო, ბატიყელა, ქუსლი, სკოცია).

**არქიტექტურული რიგი** არქიტექტურული სტილი; არქიტექტურულ-კონსტრუქციული და მხატვრული სერხების ისტორიულად ჩამოყალიბებული მდგრადი ერთიანობა, რომელიც შეპირობებულია საზოგადოებრივ-ისტორიული იდეური შინაარსის ერთობლიობით. ტერმინი აღნიშნავს რომელიმე ხალხის, დროის მონაკვეთის, მიმდინარეობის, მიმართულების, სკოლის სუროთმოდერული ხელოვნების მახასიათებელი ნიშნების ერთობლიობას. ზოგჯერ ეს ტერმინი იხმარება იმ ძველთა ჯგუფის გამოსაყოფად, რომელთაც გააჩნიათ მკაფიოდ გამოსახული განმასხვავებელი ნიშნები.

**არქიტექტურული სტილი** — იგივეა, რაც არქიტექტურული რიგი.

**არქიტრახვი** (ბერძ. ლათ.) — 1. ანტაბლემენტის ქვედა ნაწილი, რომელიც უშუალოდ სვეტებს ეყრდნობა. 2. სამერხული; მზიდი კოჭი, რომელიც აერთიანებს საყ-

რღენების რიგს და მას გადასცემს ზევით მღებარე კონსტრუქციების დატვირთვას.



არქიტრავული გადახურვა — სწორხაზოვანი გადახურვა (თაღურისაგან განსხვავებით).

არშიის ძვა — ბორღიური; მოლის, ქუჩის სავალი ნაწილის და მისთ. კიღურის მოსაპირკეთებელა, საგანგებოდ გათლილი ქვა.

არშინი — ძვ. სიგრძის ნახშირბეროთუელი, რომელიც 71 სმ-ს უდრის.

არშიზაპი — ღღველი, საწელე; სახლის კედლებზე განივად გაღებული დიდი კოჭი. რომელზედაც ძელჭერია დაგებული და ნიენივების სისტემაა დაყრდნობილი.

არხი — 1. წყლის სადენი საგანგებო თხრილი. იხ. სადერივაციო ა., სარწყავი ა., წყალსარინი ა.  
2. მიღგაყვანილობა შენობაში კვამლის გადასაყვანად, სადგომის სავენტილაციოდ და ა. შ. იხ. კვამლსარინი ა., სავენტილაციო ა.

ასახვევი — შარავის განსაზღვრულ ნაწილზე მოძრაობის ჩაკეტვისას (მაგ. სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას) მოწყობილი შემოსაველი გზა.

ასპარეზი — არენა, სარბიელი; სპორტული თამაშების ან სხვა სახის შეჯიბრების ჩასატარებლად გამიზნული მოედანი. იხ. ავტოდრომი, სტადიონი, ველოდრომი, ჰიპოდრომი.

ასტრავალი (ბერძ.) — არქიტექტურული პროფილი, რომელიც ლილვისა და თაროს შეუღლებით მიიღება.

ატელიმე (ფრან.) — მხატვრის, მოქანდაკის და სხვათა საგანგებოდ გამართული სახელოსნო.

ატიკი (ბერძ.) — შენობის მავიკვინებელი ლავარდანის თავზე განლაგებული კედელი, რომელიც პარაპეტისაგან განსხვავდება მეტი სიმაღლითა და პლასტიკური დანაწევრების სასიათით. ატიკის სიბრტყე ხშირად გამოიყენება წარწერებისა და რელიეფების მოსათავსებლად (მაგ., სატრიუმფო თაღის ატიკი).

ატიკის სართული — ატიკის დონეზე განლაგებული სათავსების ჯგუფი.


ატლანტი (ბერძ.) — ტელამონი; საყრდენი მამაკაცის ქანდაკების სახით.



ატრიუმი (ლათ) — 1. რომაული სახლის ცენტრალური ნაწილი, ღიობით გადახურვის ცენტრში, რომლის გარშემო განლაგებულია ძირითადი სადგომები. თავდაპირველად ატრიუმის შუაგულში მოთავსებული იყო კერა. შემდგომში ატრიუმი რომაული სახლის



ერთ-ერთ სახეიმო ღარბაზად  
იქცა. 2. სვეტებით გარშემორტყ-  
მული ეზო გვიან რომაულსა და  
ბიზანტიურ არქიტექტურაში.



აუდიტორია (ლათ.) — კრე-  
ბების, მიტინგების, ლექციებისა  
და სხვა ანალოგიურ ღონისძიე-  
ბათა ჩასატარებლად გამიზნული  
სათავსი საზოგადოებრივ შენო-  
ბებში.

აუზი (არაბ.) — ისარნები; ხე-  
ლოვნური თავლია წყალსატევი.

აული (თურქ.) — წარსულში  
მომთაბარე, დღეს ბინადარი დასა-  
ხლება შუა აზიაში. ჩრდილო კავ-  
კასიის მთებში განლაგებული და-


დელში ვერტიკალურად დაყენე-  
ბული, ერთი ან ორი მხრიდან  
გრძივად ამოღარული სქელი ფი-  
ცარი ან დგარი. ნალარში დატა-  
ნებულია კედლის ფიცრების თა-  
ვები.

სახლეა, საფელა.

აფთიამი (ლათ.) — საგანგე-  
ბოდ მოწყობილი და აღჭურვილი  
შენობა ან სათავსთა ჯგუფი, სა-  
დაც მედიკამენტებს ამზადებენ.


აფრბ — 1. პანდატივი, ყურე;  
სფერული სამკუთხედის ფორმის  
კონსტრუქციული ელემენტი, რო-  
მელიც იძლევა სწორკუთხა ფუძი-  
დან გუმბათოვანი გადახურვისა-  
კენ გადასვლის საშუალებას.

2. ბოყვი; ფიცრული სახლის კე-




აფრბპი — იალოჯი, ნაკვერღუ-  
ლი, ნამორი, ნაშური; პირმრულე  
ფიცარი.


აფრიკანი გუმბათი — აურებზე —  
ამოყვანილი გუმბათი.



აფროვანი კამარა — სფერულ-  
ლი ზედაპირის ვერტიკალური სი-  
ბრტყეებით წაკვეთით მიღებული  
სხეულის ფორმის კამარა.



აფსიდი (ბერძ.) — აბსიდი;  
წრიული ან მრავალწახნაგოვანი  
მონასტრობის, ჩვეულებრივ, შე-  
კრული კამარით გადახურული  
მოცულობა. ტაძრის აფსიდაში  
მოთავსებულია საკურთხევლის ნა-  
წილი.



აღლმა — ძვ. გამოქანდაკებუ-  
ლი სახე. „ჩაყინებით ჩაპყურებ-  
და ქვისაგან ნაკვეთ ლამაზ აღ-  
ლმას, გარნა უსულოს.“ (ვ. ბარნ.)

აღმართი — დასასვლების ცენტ-  
რიდან აღმა მიმავალი ქუჩა (მაგ.,  
ბარათაშვილის აღმართი იბილის-  
ში).

აღორძინება — რენესანსი; პი-  
რობითი ტერმინი, რომელიც გა-  
მოიყენება ცენტრალურ და დასა-  
ვლეთ ევროპაში აღმოცენებული  
ბურჟუაზიული ქვეყნების იდეო-  
ლოგიის და კულტურის განვითარ-  
ების მიმართ მე-15 საუკუნის  
მეორე ნახევარსა და მე-16 საუ-  
კუნეში. გამოწვევის წარმოადგენს  
იტალია, სადაც ადრინდელი აღო-



რძინება იწყება მე-14 საუკუნეში. ტერმინი „აღორძინება“ შეპირობებულია ბურჟუაზიის აღმოცენების ეპოქის უდიდესი ინტერესით ანტიკური კულტურის მატერიალისტური (ფილოსოფიაში) და რეალისტური (ხელოვნებაში) ელემენტებისადმი.

**აღსაპალი** — 1. საკურთხევის შემადგენელ ბაქანზე ასახველი ხარისხედი. 2. კიბე, კიბის სვლა, საფეხურების რიგი.

**აღსაპლის პარი** — კანკელის სამ კართავან საშუალო.

**აჭარი** — 1. სხვენზე განივად (ნივნივებს შორის) გადებული ლატანი. „სწუნის ლატანი ვინა საკიდარისა“ (საბა). 2. ხარისა, მუკენი, ჭოგრი, კადონი, ქანდარა; განივად გადებული ძელი.

3. კუთხ. სხვენი.

**აჭრდნობილი სვეტი** — კედლის სვეტი, პილასტრი; ვერტიკალური გამოწვევი კედლის სიბრტყიდან, რომელიც იმეორებს რომელიმე ორდერის სვეტის მწყობრს და წარმოადგენს დეკორაციულ ელემენტს ან კედლის კონსტრუქციულ შესქელებას.

**ახალშენი** — 1. ახლად გაშენებული დასახლებული პუნქტი. 2. მშენებარე შენობათა ჯგუფი, შენობა.

**ახორი (სპარ.)** — 1. კუთხ. სახლს მიშენებული ან მიღობილი სადგომი საქონლის დასაბმელად. 2. „ცხენის ბაგა“ (საბა).

**აჯატი** — კუთხ. ოჯახში სახმარი სხვადასხვა იარაღი და ჭურჭელი.

**აჯილა** — ძვ. „საქორწილო ტახტი“ (დ. ჩუბინ.).

— ბ —

**ბაბა** — 1. სანაყრე, საპირე, პირის ბაგა; დაბმული საქონლისათვის განკუთვნილი საკვების ჩასაყრელი (წნული ან ფიცრული). 2. დაწესებულება, სადაც დღის განმავლობაში მოსაველეად მშობლები ჩვილ ბავშვებს აბარებენ.

**ბაბმტი** (ფრან.) — პროფილირებული, ჩუქურთმიანი ან მოვარაყებული ხის თამასა ჩარჩოსათვის.

**ბაბინი** — 1. ბომონი, საკერპო; „ბაგინი საერთოდ წარმართების, არაქრისტიანების სამლოცველოს ნიშნავდა“ (ივ. ჯავ.). „ძველა-



დვე ბავინი მეორე ტერმინის საკერძოს შესატყვისადაც გენედებოდა ნახმარი, ე. ი. იმ სამლოცველოსი, სადაც კერპები იყვნენ დადგმული და სადაც თაყვანს სცემდნენ კერპებს“ (ივ. ჯავ.). იხ. საზორველი, სამსხვერპლო. 2. ძვ. ებრაელთა სალოცავი.

ბაბირი — გვარლი; მსხვილი თოკი, ფოლადის მავთულის წნული.

ბაგოზნები — ძვ. სახურავი.

ბაღე — თოკის, მავთულის და მისთ. თანაბარ მანძილზე გადასკვნით მიღებული თვალები, ცხრილისებრი ქსოვილი.

ბაღიმი — ორმოს ან ჭის პირის ჩარჩოში ჩასმული ხის სახურავი; ქვევრის ხის სარქველი.

ბაღისახე — სერსერთი, ბაღურა; ფანჯრის დასაცავი ლითონის ბაღე. „რკინის ფანჯარა“ (საბა). იხ. ვისოსი, ცხაური.


ბაღშრა — 1. იგივეა, რაც ბაღისახე. 2. წვრილთვალიანი ბაღე.

ბაზარი (სპარ. არაბ.) — სურსათ-სანოვაგითა და ფართო მონმარების ჩავენებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი.


ბაზილიკა (ბერძ.) — 1. პორტიკი ათენში, სადაც არქონტ-ბაზი-

ლესის ადგილსამყოფელია. 2. წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის გეგმის მქონე შენობა, ბოძების ან სვეტების რიგებით დაყოფილი სამ ან ხუთ გრძივ ნაწილად (ნავად), რომელთაგან შუა, ჩვეულებრივ, გვერდით ნავეებზე მაღალი და განიერია. ძველ რომში ბაზილიკაში თავსდებოდა სასამართლო, სავაჭრო დაწესებულებანი. შემდგომში ბაზილიკა ქრისტიანული ეკლესიის კომპოზიციის მეტად გავრცელებული სახეობაა (განსაკუთრებით ადრინდელ ქრისტიანულ არქიტექტურაში).

ბაზილიკური შენობა — გრძივ ნაწილებად (ნავებად) დაყოფილი შენობა, რომელთაგან შუა შედარებით მაღალია და ნათდება მის ზედა ნაწილში მოქცეული სარკველებით.



ბაზისი (ფრან.) — სვეტის, კედლის სვეტის, ანტიის ქვედა საყრდენი ნაწილი.



**ბაზმა** — ბაზმაკი; ზეთის სანათი. „ლამპარი, სანათი ან კანდელი“ (დ. ჩუბინ.).

**ბაზმაპი** — იგივეა, რაც ბაზმა.

**ბაზო** — ძელაკებისაგან შედგენილი ჩარჩო ფანჯრის ალათებისა და კარის გულფიცრის ირგვლივ.

**ბამქაში** — ფარდასტი, შელესვა. განსაკუთრებული ხსნარით (გაჯის ან კირლამის ნარევი) შელესილი შრე ჭერის და კედლის შიგა ზედაპირზე.

**ბაპი** — 1. ტრუშული, ქარაბაკი. წნული ზღუდეთი გამოყოფილი ადგილი. „მოზღუდვილი“ (საბა). 2. მსხვილი წნელით ამოყვანილი

დობე. 3. ურმების დასაყენებლად მოზღუდული ეზო-ყურე. 4. საქონლის დასამწყვედევად შემოლობილი ადგილი.


**ბალაშპარი** — 1. კედლის საყრდენი გათლილი ლოდი საძირკველში. 2. გამირი; გათლილი ლოდი კარ-ფანჯრის თავზე წირთხლების შესაკრავად. „საძირკელის ქვანი დიდ-დიდნი“ (საბა).

**ბალაშპარი** — იგივეა, რაც ბალაქარი.

**ბალახანა** (თურქ.) — ზედასართულის სადგომი აწერბაიჯანსა და შუა აზიაში.


**ბალდახინი** (იტ.) — 1. გავალაკი; უძრავ ან გადასატან ბოძებზე ან ლატნებზე დამაგრებული ქსოვილის ჩარდახი, საჩრდილობელი. 2. ქვაში, ხეში, ლითონში შესრულებული არქიტექტურული ფორმა — ჩარდახი კოლონებზე ან ბოძებზე (მაგ., სამეფო ტახტის თავზე). იხ. სალხინობელი.

**ბალიასინა** (იტ.) — ბალიუსტრა, რაკული, სურაია; მცირე ფიგურული ბოძი, რომელსაც ეყრდნობა კიბის, აივნის, ტერასის და მისთ მოაჯირი.



**ბალიუსტრა (იტ.)** — 1. იგივეა, რაც ბალიასინა. 2. იონიური სვეტისთავის გვერდითი ნაწილი.

**ბალიუსტრადა (იტ.)** — აივნების, კიბეების და მისთ. გამჭოლი ზღუდე, რომელიც წარმოადგენს საერთო შოაჯირით გაერთიანებულ რიკულების (ბალიუსტრების) მწყობრს.



**ბალიში** — 1. ძელის ქვეშ საყრდენად ამოდებული ხის ნაჭერი. 2. ოთხკუთხა ფილა — სვეტისთავი ან მისი ნაწილი. იხ. აბაკი.


**ბალკონი (ფრან.)** — იგივეა, რაც აივანი.

**ბანაპი** — ცისქვეშ გამართული დროებითი სადგომების ჯგუფი (ტურისტული ბ., ჯარის ბ. და ა. შ.).

**ბანდუში** — კუთხ. სვეტისთავის ქართლში გავრცელებული დასახელება. იხ. ბულაური, დათვი.

**ბანი** — ერდო; შენობის ბრტყელი სახურავი.

**ბანიანი სახლი** — ბრტყელი სახურავით, ბანით გადასურული სახლი.



**ბანის-ბანი** — ქორი, ჩარდახი; შენობის ზედა, დამაგვირგვინებელი ნაწილი, რომელიც ცალმხრივ ან ყოველმხრივ ღიაა. ფანატურის მსგავსი დროის გასატარებელი ნაგებობაა. „ძველად

ქორის შავიერია ბანის-ბანი, რაც მე-15 საუკუნეში უკვე აღარა ვვაქვს. ქორისა და ბანის-ბანის ნაცვლად ესლა ჩარდახი შემოდის“ (ივ. ჯავ.).

„ზღვის პირას სახლი ნაგები დგა ქვითა წითელ-მწვანითა, ქვეშეთვე სრითა ტურფითა, კვლავ ზედათ ბანის-ბანითა (ვეფხ.).“

**ბანაქტი** (ინგლ.) — ტრაპეციის კვეთის დაბალი ქვის ზეინული.

**ბანური გადახურვა** — ბანი, ბრტყელი გადახურვა; შენობის უქანობო სახურავი.

**ბანური სახურავი** — იგივეა, რაც ბანური გადახურვა.

**ბაი** — კუთხ. მოლი ეზოში (რაჭაში ვავრცელებული ტერმინი).  
**ბარაბი** (გერმ.) — გამარტივებული კონსტრუქციის ერთსართულიანი დროებითი ნაგებობა.

**ბარელიეფი** (ფრან.) — სკულპტურული გამოსახულება სიბრტყეზე, რომლის ყველა ნაწილი სიბრტყიდან თავისი მოცულობის ნახევარზე ნაკლებად არის გამოყოფილი. შდრ. გორელიეფი.

**ბარი** (ინგლ.) — რესტორნის ერთგვარი სახეობა, სადაც ფეხზე

მდგარი შეექცევიან საჭმელსა და სასმელს.  
ბიბლიოთეკა

**ბარიერი** (ფრან.) — თარჯი; ზღუდე, რომელიც აფერხებს თავისუფალ გასვლას (მაგ., რაიმე სანახაობაზე).

**ბაროკო** — მე-16 საუკუნის ბოლოდან მე-18 საუკუნის ნახევრამდე ევროპის ხელოვნებაში (განსაკუთრებით იტალიაში) გავრცელებული სტილისტური მიმართულება. მისთვის დამახასიათებელია დიდი ანსამბლები, რომელთაც არქიტექტურის პლასტიკური ფორმები, ფერწერა, დინამიური ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები მალაფარდოვან, ხაზგასმულად საზეიმო ხასიათს უქმნიან. ბაროკო თამამად არღვევს კლასიკური კანონების პირობით საზღვრებს და მხატვრული შინაარსის გამოსავლენად ჰქმნის არქიტექტურის ახალ საშუალებებს, ახალ კომპოზიციურ ხერხებს. რენესანსის ნაწარმოებთა მკაფიო ჰარმონიულობა და დახვეწილობა შეცვალა ფორმების ვართულებულმა წყობამ.

**ბარტიზანი** (გერმ.) — შენობის კუთხეზე ამოყვანილი მცირე კოშკი.

ბარტყი — ნინიის ნაწილი, რომელიც სშირად კედლის გარეთ არის გამოწეული და მოჩუქურთმებულია.

ბარჯა — ბარჯვი, ბოძკინტი. მცირე საყრდენი ძელი (სახლის).


ბარჯპი — კუთხ. იმერეთსა და გურიაში გავრცელებული ტერმინი, რომელიც იგივეს ნიშნავს, რაც ბარჯა.

ბასკა — კუთხ. ყავარზე დაჭედილი ლატანი.

ბასტიონი (ფრან.) — 1. მრავალკუთხა მოხაზულობის ფორტიფიკაციული ნაგებობა ციხე-სიმაგრის კუთხეში.

2. ბურჯი, ციხე-სიმაგრის გამონაშვარი.

ბატიყელა — მრუდხაზოვანი არქიტექტურული პროფილი, რომელიც წარმოადგენს ორი რკალის შეუღლებას რუსული ხელნაწერი „კ“ ასოს მსგავსად და რომელიც სშირად კარნის აგვირგვინებს. იხ. შექცეული ბატიყელა.



ბაქანი — 1. ოროკო; „კლდეში მცირე ვაკე რამ“ (საბა).

2. ეზოებში, ბაღ-პარკებში გამოყოფილი მცირე მოედანი სათამაშოდ, საცეკვაოდ და ა. შ.

3. მიწაყრილის ან სუბსტრუქციებით შექმნილი ნიადაგიდან ამალღებული თარაზული სიბრტყე.

4. კიბის სვლებს შორის მოქცეული მცირე მოედანი. იხ. კიბის ბაქანი.

ბაღდაღური კედელი — თხელი ფიცრებითა და ტკეპით ნაგები და ბათქაშით შელესილი მსუბუქი კედელი.

ბაღი — შემოკავებული მიწის ნაკვეთი საგანგებოდ დარგული ხეხილით (ან სხვა ხეებით), ბუჩქებით, ყვავილებით, სასიარულო ბილიკებით.



„ვარდისა ბაღსა მოგუბდა  
ცრემლისა საგუბარია“.

(ვეფხ.).

**ბაღნარი** — ადგილი, სადაც ბევრი ბაღია.

**ბაღ-პარკული** არქიტექტურა — ბაღების, პარკების, სკვერებისა და მისთ. მშენებლობის ხელოვნება.

**ბაღჩა** — პატარა ბაღი, სადაც მეტნაწილად ყვავილებს რგავენ და ზოგჯერ ბოსტნეულს თესენ.

**ბაში** — მესერი; წნული ღობე.

**ბაშტი** — კუთხ. ბოსელი, გომი, გომური; მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საზამთრო სადგომი თუ შეთში.

**ბელეტაში** (ფრან.) — 1. შენობის მეორე, მთავარი სართული, რომლის ოთახები უფრო მაღალია და პარადულად არის მოპირკეთებული. 2. მაცურებელთა დარბაზის პარტერისა და ამფითეატრის თავზე მოთავსებული პირველი იარუსი.

**ბელჰემერი** (იტ.) — 1. შემაღლებულ ადგილზე განლაგებული ცალკე მდგომი პარკული ნაგებობა. 2. შენობის დამავვირგვინე-

ბელი ზედნაშენი, კომპლექსური მოწყობისთვისაც დამახასიათებელია მრგვალი ან ოვალური ფორმა და სვეტებზე დაყრდნობილი გუმბათოვანი გადახურვა. 3. ცალკეული სასახლეების დასახელება (სასახლე ვარშავაში, ვენაში, ვატიკანში და ა. შ.).

**ბელლარი** — „რუსთავის ღარის ხიდი“ (საბა).

**ბელლოჯი** — ხვრეტი კედელში.

**ბემი** — ბემონი, ტიქი, ტოგუნ; შეკიბული ბაქნები სავარძლებისათვის (ამფითეატრის მსგავსად). „მაღალი ხარისხი“ (საბა).

**ბემონი** — იგივეა, რაც ბემი.

**ბენშარი** (ფრან.) — სცენის დონეზე ან ოდნავ მაღლა განლაგებული ლოქების რივი თეატრში.

**ბერა** — 1. ორმხრივ მოღობილი საქონლის შესარეკი (ჩვეულებრივ ცხვრის სათვლელად ან საწყველად). 2. ზოლი ასპარეზზე, რომლის ვადადმა მოჭიდავენი ივვენებენ ან მორბენალნი იწყებენ შეჯიბრს. ის ჰელა. 3. შლაგბაუმი; გზის ჩასაკეტი მოწყობილობა.


**ბელელი** — 1. ხალამბარი; ნაგებობა, უმთავრესად ხისა, პურეუ-

ლის (ქერის, ჭვავის, ფეტვის) შესანახად. 2. კუთხ. საკულტო ემბლემებისა და სხვატე ჭირნახულის შესანახი შენობა ფშავ-ხევსურეთში.

„სამნი წავიდნენ საჯარეს, შეაღეს ბელლის კარია, გამაბრძანეს დროშიაი...“  
(ვჟა).

**ბელო** — ფარდული, სადაც ვალეწვამდე ძნას აწყობენ შესანახად. „საძნე სახლი“ (საბა).

**ბეშთაძი** (თურქ.) — მონუმენტური კარიბჭე, რომელიც, ჩვეულებრივ, ისრული თაღით დაკვირვებულ ღრმა ნიშს წარმოადგენს. აღნიშნული არქიტექტურული ფორმა განსაკუთრებით ვავრცელდა შუა აზიის ქვეყნების არქიტექტურაში.



**ბიპლიოთეკა** (ლათ.) — დაწესებულება, სადაც ინახება და წასაკითხად გაიცემა წიგნები.

**ბიბა** — ანწალა, ბივი, ბიჯვი, ბოკონი, ბოძი, ბოქინტი, დვარი, საკავი, სადვარი, ჭალა, ხაშარი; რისაზე დასამაგრებლად ან დასაკავებლად შეყენებული ძელო.

**ბიბი** — ივივია, რაც ბივა.

**ბიეში** (ფრან.) — მდინარის ორ მეზობელ კაშხალს ან არხის ორ რაბს შორის მოქცეული წყლის არე.

**ბილიპი** — 1. საცალფეხო გზა. 2. სასეირნო გზა ბალ-პარკებში.

**ბინა** — 1. სამყო; საცხოვრებელი, სადგომი. 2. საცხოვრებელი სახლის შემადგენელი ნაწილი დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ერთ ოჯახზეა ვათვალისწინებული და შეიცავს საცხოვრებელ ოთახებსა და დამხმარე სათავსებს (სამზარეულოს, სანიტარულ კვანძს და სხვ.).

**ბირპი** — ბლისკინა; წყლით ვავსებული თხრილი ციხე-სიმაგრის ვარშემო.

**ბიშპეტი** (ფრან.) — მინერალური წყლის წყაროს თავზე დაუგებული ნაგებობა.

**ბიუსტი** (ფრან.) — ალაშიანის ზედა ნაწილის (გულმკერდის ჩათვლით) სკულპტურული გამოხატულება.

**ბიფორი** (გერმ.) — სვეტითორად გაყოფილი გოთიკური ფანჯარა.

**ბიშთაქი** (თურქ.) — იგივეა, რაც ბეშთაქი.

**ბიჰპი** — იგივეა რაც ბიგა.


**ბიჯი სვეტუბისა** — იხ. სვეტების ბიჯი.

**ბლინდაში** (ფრან.) — რკინაბეტონით ან მიწაწყურილი მორებით გადახურული სანგარი.

**ბლისპინა** — იგივეა, რაც ბირქი.

**ბლოკი** (ინგლ.) — მისწინააღმდეგობის ვათვლისწინებით გამოყოფილი სადგომების ჯგუფი შენობაში. 2. რაიმე ნიშნით გაერთიანებული შენობათა ჯგუფი. 3. დიდი ზომის ხელოვნური საკედლე ქვა. იხ. ზღუდარის ბ., რაფის ბ., შუაკედლისის ბ.

**ბლოკირებული სახლი** — საცხოვრებელი სახლი, სადაც გაერთიანებულია მიჯრით განლაგებული იზოლირებული (ერთ ან ორსართულიანი) ბინები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მიწის ნაკვეთს.




ბლოკური სახლი — მსხვილი  
ბლოკებით აგებული სახლი.

ბლოკაუსი (ვერმ.) — 1. იგი-  
ვეა, რაც ბლოკური სახლი. 2. თავ-  
დაცვითი დანიშნულების ნაგებო-  
ბა.


ბოზა — „მცირე ხიდი“ (საბა).

ბოპირი — საცალფეხო ხიდი.  
ხილად ვადადებული მიწადაყრილი  
ქვლები. „ბოგას უდიდე, მცირე  
ხიდი“ (საბა). „ვადავედით ბო-  
ვირს და შევეუდექით ტყის აღ-  
მართს“ (ვაჟა). შდრ. წანწალა.


ბოკონი — 1. იგივეა, რაც ბი-  
ვა. 2. მორის ბოძები, რომლებზე-  
დაც დაყრდნობილია სახლის (ოდა-  
სახლის) სასაძირკვე დირეები.



3. ეზოში გამართული ქელ-სავდო-  
მი.



ბოლქვისებრი ვუმბათი — რუ-  
სულ არქიტექტურაში გავრცელე-  
ბული ვუმბათის ფორმა, რომე-  
ლიც გარეგნულად ბოლქვს წა-  
გავს და, ჩვეულებრივ, ამოყვანი-  
ლია ცილინდრული ფორმის ვუ-  
მბათის ყელზე.



ბომბი — იგივეა, რაც ბომონი.

ბომონი — 1. ბაგინი, საკერბე; წარმართთა სალოცავი. 2. სვეტი, რომელზედაც კერბს აღმართავდნენ. „სუეტია, ხატსა ანუ კერბს-ზედ აღმართვენ“ (საბა).

ბონდი — ნაპირიდან ნაპირზე გაბმულ ბაგირებზე შეკიდული ხიდი.

ბორღიური (ფრან.) — 1. არშის ქვა; გვერდული ქვები, ფილები, რომელნიც შემოსაზღვრავენ ტროტუარს, გაზონს გზასავალისაგან. 2. ბაღ-პარკებში ცალკეული ნაკვეთების შემომფარგვლელი მცენარეულობის დაბალი და ვიწრო ზოლი.

ბოსელი — გომი, გომური; მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სადგომი. იხ. ბაშტი.

ბოსკატი (ფრან.) — 1. განსაზღვრული ნაკვეთის გამოსაყოფად ან ნაგებობის (მაგ., სამეურნეო ნაგებობის) დაფარვის მიზნით დარგული ხეების ჯგუფი. 2. დეკორაციულად გასწლული ბუჩქნარი.

ბოტანიკური ბაღი — საგანგებო ბაღი, სადაც შერჩევით თავ-


მოყრილია სხვადასხვა მცენარეული ულობა. ერთგვარი დენდროლოგიური მუზეუმი ბაღში.

ბოქლომი (ბერძ.) — კლიტე; ჩამოსაკიდი საკეტი.

ბოქსი (ინგლ.) — საავადმყოფოს იზოლირებული სადგომი დამოუკიდებელი შესასვლელით. 2. ერთი მანქანისთვის განკუთვნილი სადგომი გარაჟში. 3. იზოლირებული სადგომი შენობაში.

ბოყვიპიანი სახლი — სახლს „...რომელიც ბოყვიბძს საშუალებით იყო აგებული, ბოყვიბიანი სახლი ან ბოყვიბში გამოყვანილი სახლი ეწოდებოდა“ (ივ. ჯავ.). იხ. ბოყვი.

ბოყვი — 1. აფრა; ვერტიკალურად დამაგრებული ფიცარი ან ძელი, რომელიც ერთი ან ორმხრივ არის ამოღარული და რომელშიაც კედლის ფიცრის თავებია ჩამჯდარი. 2. კუთხ. ქობინო, ხი-საგან დამზადებული კრამიტის ყაღიბის სახელწოდება იმერეთში.



ბოძი — 1. სვეტად ამართული ცალკე მდგომი ძელი. 2. ანწა-ლა, ბივა, ბოძკინტი, დგარი, საღვარი, საკავი, ჭალა, საშარი; რისამე საყრდენი ძელი.

ბოძპინტი — რისამე საყრდენი, ხშირად მიწაში ჩასმული, მცირე ბოძი.

ბოლანი (თურქ.) — ძვ. ნავსადგური.

ბოჯბი — ბავირის დასამაგრებელი დაბალი ბოძი (მაგ., ნავსადგურსა).

ბრა (ფრან.) — სანათი არმატურის სახეობა. კედელზე დამაგრებული შანდალი ან ჭალი.

ბრანდმაშერი (გერმ.) — ცეცხლამრიდი კედელი; ხანძრის საწინააღმდეგო კედელი, რომელიც გამოყოფს შენობის განსაზღვრულ ნაწილს და გამიზნულია ხანძრის გავრცელების დასაბრკოლებლად.

ბრტყელი გალახურვა — ბანი, ბანური გალახურვა, ბანური სახურავი; შენობის თითქმის თარაზული, მცირექანობიანი სახურავი.

ბრტყელი პამარა — კამარის ისრის ფარდობა მალთან 1/4-ზე ნაკლებია.

ბრტყელი სახურავი — იგივეა, რაც ბრტყელი გალახურვა.

ბრუსტვერი (გერმ.) — მიწაყრილი; დაყრილი მიწით შექმნილი შემადგენი ადგილი, ზღუდე.


ბრჯანი — კრონშტეინი, კონსოლი; კედლის წყობიდან გამოშვებული კოჭის ნაწილი, რომელზედაც, ჩვეულებრივ, დაყრდნობილია კარნიზი, ქანდაკება, აივანი და ა. შ.

**ბუგელი** (გერმ.) — სათავისი, დიბლივი; რკინის ხალტე, რომელიც ნამოყვამება სიმინჯის თავს. **ბუღე კოჭისა** — კედლის წყობაში საგანგებოდ დატოვებული ადგილი კოჭის თავის დასაყრდნობად.

**ბუღრუბანა** — 1. დარაჯავი, ჯიხური, ერთოთახიანი პატარა შენობა (მაგ., გუშაგისათვის); 2. აფიშების გასაკრავი კოშკურა.

**ბუღშარი** (ფრან.) — ქალის საწოლ ოთახს მიკედლებული მცირე სასტუმრო ოთახი.

**ბულევეტარიონი** (ბერძ.) — უმაღლესი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ორგანოების სხდომების შენობა ძველ ქალაქ-სახელმწიფოებში.



**ბულვარი** (ფრან.) — ქუჩის გამწვანებული ნაწილი ხეივანებითა და სავალი ბილიკებით.

**ბუნბალო** (ინგლ.) — მსუბუქი საავიაციო შენობა ვერახლებით.

**ბუნბარი** (ინგლ.) — 1. ხეივანი, ძაბრისმაგვარი ყუთი ფხვიერი მასალის (ქვიშის, სობლის და მისთ.) დროებით შესანახად. 2. რაიმეს შესანახი მიწისქვეშა სათავსი.


**ბურჯი** — 1. საბჯენი, საყრდენი; მზიდი კონსტრუქცია (მასიური ბოძი და სხვ.), რომელიც დატვირთვებს საძირკველს გადასცემს. იხ. კედლის ბურჯი. ხიდის ბურჯი. 2. ბასტიონი: „ბურჯი ციხის ზღუდის გარკვეულ მანძილზე გამოწეულს მომრგვალებულ, ან ოთხკუთხ საბრძოლველ ნაწილს ეწოდებოდა. კოშკი, ჩვეულებრივ, ყოველმხრივ დახურულ ნაგებობას წარმოადგენდა, ბურჯი — კი წინიდან იყო შემოვლებული“ (ივ. ჯავ.).

**ბუტაფორი** (იტ.) — 1. რისამე მაკეტი, რომელიც საჩვენებლად ან რეკლამისათვის არის გამოიხსნული. 2. სცენის მოწყობილობის საგნები, რომელთაც დეკორაციული მნიშვნელობა აქვთ და არ ასრულებენ პირდაპირ დანიშნულებას.




ბუშქუტი (ფრან.) — 1. სუფრის გაწყობილობის შესანახი დიდი კარადა. 2. მცირე სასაუზმე ოთახი საზოგადოებრივ შენობაში.

ბულაური — 1. სვეტისთავი ან მისი ზედა ნაწილი. „იგი აბაკის ქართული შესატყვისია“ (ივ. ჯავ.).




ბუჭულა — 1. კუთხ. „პატარა წისკვილი“ (საბა). 2. კუთხ. „იმერეთში პატარა ფაცხა“ (დ. ჩუბინ.).

ბუსხარი — ლიაკერიანი ღუმელი.



ბუჯერი — ნიშში მოწყობილი ჭურჭლის დასაწყობი თაროები.



2. კუთხ. მთიულური განმარტებით — დედაბოძე და დათვეზე ამოჭრილი სახეა. ფშავსა და კახეთში კი ეს ტერმინი სვეტისთავზე ამოჭრილ ჩუქურთმას ნიშნავს. 3. კუთხ. თუშური ვაგებით იგი ტერმინების „ღღველი“ და „საწელეს“ სინონიმია, ე. ი. ჭერის წელის სიმაგრისათვის ვადაღებული დიდი და მსხვილი კოჭია.

ბუძი — კუთხ. ურდულის ვასაყრელი ყური იმერეთში.

ბჭი — 1. ძვ. დიდი კარი, შესასვლელი. „ეს არს სახლთა და ტაძართა შესავალი“ (საბა). 2. ძვ. ზღუდე, გალავანი, რომელშიაც გა-



ნიერი შესასვლელი მოწყობილი.  
3. ზღურბლი, კარაბანი, კარნაგე-  
ლა, ვამირი; კარის გადასასვლელ-  
ზე გადადებული დირე; კარის  
ჩარჩოს ქვედა ნაწილი.

ბჰმლი — იგივეა, რაც ბჰე.

ბჰმ-პარი — ბჰე, ბჰის-კარი, ვანიერი  
კარი, ალყაფის კარი; ვანიერი  
კარი, მთავარი შესასვლელი.

ბჰის-პარი — იგივეა, რაც ბჰე-  
კარი.

— ბ —

ბაბარიტი (ფრან.) — რაიმე  
საგნის, შენობის და სხვ. ზღვრუ-  
ლი, გარე მოხაზულობა.

ბაბონი (ფრან. იტ.) — 1. ბე-  
ტონის ბლოკი, რომლის საშუალებ-  
ითაც ეწყობა დაბალი ჯგებიანი ან  
სხვა პილროტექნიკური ნაგებობა.  
2. ქვით გავსებული მავთულის  
კალათა ჯგებირების ამოსაყვანად,  
ხიდის ბურჯების დასაცავად, ნა-  
პირების გასამაგრებლად და ა. შ.

ბადასასვლელი — 1. საგანგე-  
ბოდ გამოყოფილი და აღნიშნული  
ადგილი ქუჩის ერთი მხრიდან  
მეორეზე გადასასვლელად ფეხით  
მოსიარულეთათვის. 2. ცალკე  
ჯგუფებად გამოყოფილი სათავსე-  
ბის ან შენობების შემაერთებელი  
ნაგებობა დერეფნის, შუშაბანდის  
და მისთ. სახით.

ბადასშრვა — შენობის კონსტ-  
რუქციული ელემენტი, რომელიც  
მას სართულებად ყოფს და დატ-  
ვირთვებს კაპიტალურ კედლებს ვა-  
დასცემს. ის არქიტრაული გ., ბა-  
ნური გ., ბრტყელი გ., ვანტური  
გ., კამაროვანი გ., კოჭოვანი გ.,  
სართულშუა გ., სხვენის გ., უკო-  
ჭო გ.

ბადალაპი — ბაღდაინი, საღნი-  
ნებელი. ბოძებზე თუ ლატნებზე  
დამაგრებული უძრავი ან მოძრა-  
ვი ჩარდახი (მაგ., სამეფო ტახ-  
ტის, ტრაპეზის თავზე).

ბაზონი (ფრან.). — მოკლედ და  
თანაბრად შემოკაფული, ბაღანით  
გამწვანებული, დეკორაციული ზო-  
ლი პარკში, ხეივანში, ეზოში და  
ა. შ.

ბადავანი — ქალაქის, ციხის,  
ეზოს, ცალკეული არქიტექტურუ-



ლი კომპლექსის (სასახლის, მონასტრის და ა. შ.) გარშემო შემოვლებული, ჩვეულებრივ, ქვის კედელი. ზღუდე.

გალაპი — ძვ. „სადედოფლო სართლი ოთახი“ (დ. ჩუბინ.).

გალერეა (ფრან.) — 1. შენობის სხვადასხვა ნაწილების დამაკავშირებელი სვეტნარი ან თაღედი. 2. შენობის სხვადასხვა ნაწილების დამაკავშირებელი გრძელი სათავსი. 3. მიწისქვეშა გადასასვლელი ციხე-სიმაგრეებში ან შახტებში. 4. ქანდარა; მაცურებელთა დარბაზის ზედა იარუსი.

გალერეიანი სახლი — საცხოვრებელი სახლი. სადაც ბინებში შესასვლელები სახლის ცალმხრივ, სართულებად განლაგებულ ვალერეებიდან არის მოწყობილი.

გალი — 1. ძვ. საკუჭნაო; სურსათ-სანოვავისა და სხვადასხვა ნივთების შესანახი სათავსი. 2. კაზინა; საგანგებოდ მოწყობილი, მცირე, შემინული სათავსი (მაგ., ტელეფონის გ., ლიფტის გ., ამწის გ. და მისთ).

გალია — მავთულის ან რკინის ბადურით შემოზღუდული სადგო-

ვი ცხოველთა და ფრინველთა დასამწყვდევად.

გალიაპი — 1. ძვ. მხოლოდ ქალთათვის განკუთვნილი ოთახი სასახლეში. „...ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც შემდეგში მაკმადიანობის გავრცელების შემდეგ ე. წ. არამხანას მიენიჭა“ (ივ. ჯავ.). 2. ძვ. მცირე ზომის სადგომი სახლში. „გალია კაცთა საჯდომი“ (საბა).

გამა (ლათ.) — ფერების ერთობლიობის ხასიათი ფერწერაში (მაგ., ნათელი გ., თბილი გ. და ა. შ.).

გამზირი — პროსპექტი; ქალაქის სწორი, განიერი და ვრცელი ქუჩა (ლიტერატურულად უპირატესია პროსპექტი).

გამირი — 1. იგივეა, რაც რკალი, ოდრიკალი; 2. ხარისა, გამსტვენი; ერთმანეთისაგან გარკვეულ მანძილზე დასმული ბოძების, ბოკონების შემაერთებელი ძელი. 3. ბალავარი, ბჭე, ზღურბლი, კარაპანი. კარნაველა; კარის ან ფანჯრის, ან საერთოდ რაიმე ღიობის ზედა ან ქვედა ძელი.



**გამოფენა** — 1. სელოვნების, ლიტერატურის და სხვ. ნაწარმოებთა განფენა დასათვალისწინებლად. 2. ადგილი, საგანგებო შენობა ან დარბაზი, სადაც დასათვალისწინებლად გამოტანილია და განფენილი სელოვნების, ლიტერატურის და სხვ. ნაწარმოებები.

**გამსტჰენი** — 1. გამოირი, გრძივა, ზეწარი, ლანდური; სვეტების ან სხვა სახის საყრდენების დამაკავშირებელი ჰორიზონტალური კონსტრუქციული ელემენტი (სხვადასხვა კვეთის ძელი), რომელსაც ეყრდნობა გადახურვის კოჭები, ნიენივები და მისთ. 2. ბუღაური, დღველი, საწველე; გადახურვის მოსაწყობად ან ჭერის წელის გასამაგრებლად კაპიტალური კედლების განივად გადებული მსხვილი ძელი.

**განაშენიანება** — ქალაქის, სოფლის, დაბის ან მათი ნაწილების გაშენების ხასიათი. იხ. რეგულარული გ., არარეგულარული გ., პერიმეტრიული გ., მწკრივული გ., პწკარული გ.

ასრულებს ტიხარის ფუნქციასა  
და არ აღიქვამს კონსტრუქციულ  
დატვირთვებს.



პარმიდამო — 1. ეზო-კარი, ეზო-ყურე, სახლ-კარი, სახლი ეზოთი და დამხმარე ნაგებობებით. 2. საბჭოთა მეურნეობის საწარმოო-საცხოვრებელი ცენტრი.

პარნაპელა — კუთხ. ბჭე, დირე (კარისა), ზღურბლი, კარობანი, კარაპინი; იმერეთში — კარის ქვეშ გადასასვლელზე გადებული ძელი. კარის ჩარჩოს ქვედა სართყელი.

პარნიზი (ბერძ.) — ლავგარდანი; ანტაბლემენტის, კედლის ან მისი ნაწილის დამაგვირგვინებელი პროფილირებული ელემენტი.




პარსაპრაპი — საპირე; კარ-ფანჯრების პროფილირებული მოჩა-

რჩობა, რომელიც ფარავს კარის ჩარჩოსა და ღიობის პირობის.

პარსა — იგივეა, რაც კარიბჭე.

პარსალი — წინკარი, ტამბური; ვესტიბულის წინ მოწყობილი მცირე სადგომი სიცივისა და ქარისაგან დასაცავად.

პარტუში (ფრან.) — კედლის სკულპტურული სამკაული, რომელიც ასახავს ნახევრად გაშლილ ვრავნილს მის შიგა ზედაპირზე მოთაესებული გერბით, ემბლემით, წარწერებითა და ა. შ.



**პარჩხა** — ვარაზი, საკიდარი; კედელზე დამაგრებული კაეებიანი ფარი ან ასეთივე დგამი ტანისამოსის ჩამოსაკიდებლად.

**პასპალი** (ფრან.) — ჩქვრალი; ხელოვნური შეკიბული ჩანჩქერი ან ჩანჩქერების სისტემა.

**პასროვანი პამბრა** — კამარის ფორმა მიიღება მრუდხაზოვანი წარმოქმნელის მოძრაობით ასეთივე წარმართველის გასწვრივ. ასეთ კამარას ზოგჯერ ორმაგი სიმრუდის კამარას უწოდებენ.

**პატაკომბები** (ლათ.) — 1. მუმიების მიწისქვეშა საკრძალავი ძველ ეგვიპტეში. 2. მიწისქვეშა ვალერების სისტემა, რომელიც ქრისტიანების დევნის პერიოდში წარმოადგენდა რელიგიურ წესჩვეულებათა შესრულებისა და მიცვალებულთა დაკრძალვის ადგილს. ცნობილთა შორის ყველაზე ვრცელია რომის კატაკომბები, რომელთა საერთო სიგრძე 900 კმ-ს აღწევს.

**პაშვი** — კავი, კაკვი, კოჭაკი, რკალი, ჩანგალი, ბოლოში მოკაკეული რკინის ზოლი ან ღერო რამეზე გამოსადებად, რისამეს დასაკიდად და ა. შ.

**პაშვი (ფრან.)** — პატარა რესტორანი, სადაც თავაზობენ ჩაის, ყავას, ცივ საუზმეს და მისთ.

**პაშვიტმარიშვი** (ესპ.) — კაფერესტორანი, სასაუზმე.


**პაშხალი** — რაბი, სათავანი, ონჯარი, ჩნდე, ჯვბირი, სერგი, საგუბარი; ქვის, ბეტონის, მიწის ნაგებობა, რომელიც ელოდება წყლის დინებას, ამალღებს მდინარის დონეს და ჰქმნის წყალსაცავს.

**პაშანი** — სსლტე, ცოცხალი ღობე; ეკლიანი ბუჩქნარის ღობე.

**პბილანა** — დენტიკული, ქონგური; კარნიზის სამკაულის ელემენტი, რომელსაც პრიზმის ფორმა აქვს.



**პბილანა თალი** — თალის შივა წარმართველი შედგება ნახევარწრიული რკალებისაგან, რომლებიც გადაკვეთისას კბილანებს წარმოქმნიან.



**კედა** — კუთხ. რაზა, საგდული, ურდული; კარის საკეტი მოწყობილობა მარყუჟში გაყრილი რკინის ზოლის სახით.

**კედალი** — შენობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილთაგანი — შევსულად აღმართული ბრტყელი ნაშენი. ის კაპიტალური კ., კარკასული კ. შიდი კ., საყრდენი კ., ქალაქის კ., ყრუ კ., ხანძრის საწინააღმდეგო კ.

**კედელარი** — კანელიურა; ვერტიკალური ამონადარი სვეტის ტანზე.

**კედი** — თავკიდე, საკუთსი, ქვაკუთხედი; შენობის კუთხეში საფუძვლად დადებული ლოდი.

**კედლის ბურჯი** — გვერდსამაგრი, გოდლედი, კონტრაფორსი; კე-

დლის დახრილი ან შვეული შვერილი მასიური პილიასტრის სახით, რომელიც ზრდის კედლის მდგრადობას.

**კედლის სვეტი** — აყრდნობილი სვეტი, პილიასტრი, ვერტიკალური გამონაშვერი კედლის სიბრტყიდან, რომელიც წარმოადგენს კედლის კონსტრუქციულ შესქელებას ან დეკორაციულ ელემენტს და ხშირად იმეორებს რომელიმე ორდერის სვეტის მწყობრს.

**კედლის წყობა** — კედლის შემადგენელი ელემენტების (აყურის, ქვის, ბლოკის და მისთ.) ურთიერთკავშირის სახაითი (ჯვარული წყობა, ჯაჭვური წყობა და ა. შ.).

**კეტილგორწყობა** — მოსახლეობისათვის ცხოვრების, დასვენების და შრომის მოსახერხებელი პირობათა ერთობლიობა ბინაში, კვარტალში, დასახლებულ ადგილში და ა. შ.

**კეიტონი** — ძვ. სამშობიარო სახლი. „მას სახლს ეწოდებოდა, სადა დედანი შვილთა შობენ“ (საბა).

**პმპვი** — კუთხ. იმერეთში — ფიცრის სახლის დაშლისას ფიცარზე ნაჯახის წვერით დადებული ათვლითი ნიშანი, რაც მიუთითებს ფიცრების წყობის თანმიმდევრობას ქვევიდან ზევით.

**პმპო** — კუთხ. იმერეთში — პატარა ოთახი.

**პმლაპტარი** — „სასანთლე, ზოლო აწ დიდს სანთელსა უხმობენ ტყუ(ვ)ილად“, (საბა).

**პელენი** (ლათ.) — ბერის ოთახი მონასტერში.

**პელმენი** — მსხვილად დაწნული ჭილობი. ის. ნეჭა.


**პემპინგი** (ინგლ.) — ტურისტ-ავტომობილისტების გასაჩერებელი ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც მოიცავს საცხოვრებელ, დასასვენებელ, მანქანების სარემონტო და მისთ. შენობებს.

**პენტაპრი** (ბერძ.) — მითიური არსების — ნახევრად ცხენისა და ნახევრად ადამიანის გამოსახულება.

**პმრბ** — 1. ლანძვი, ყვერბი; მიწის იატაკის ის ადგილი, სადაც ცეცხლს ანთებენ. 2. საცეცხლური; ღუმლის, ბუნრის ის ნაწილი, სადაც ცეცხლს ანთებენ.

**პმონი** (ფრან.) — 1. გადასურვის კოჭებით ან წიბოებით შექმნილი ბადის ელემენტი — კვადრატის ან სხვა ვეომეტრიული ფორმისა. 2. ლითონის ან რკინა-ბეტონის გადმოპირქვავებული ყუთი, რომელსაც იყენებენ დიდ სიღრმეზე ნაგებობის (ხიდის, კაშხალის და მისთ.) წყალქვეშა ფუძის მოწყობისას წყლისაგან თავისუფალი მოცულობის შესაქმნელად.

**პმონური ჭერი** — ხონჩა; ჭერის სიბრტყიდან გამოწეული კოჭების ან დეკორაციული ზოლურების გადაკვეთით შექმნილი ჭერი.



**კმნი** — სასურავის კალთების გადაკვეთის ზედა თარაზული ხაზი.

**კვადრატული მებრი** — ფართობის საზომი ერთეული, რომელიც უდრის ერთი მეტრის სიგრძის გვერდების მქონე კვადრატის ფართობს.

**კვადრი (ლათ.)** — მართკუთხა ფორმის თლილი საკედლე ქვა.

**კვადრიზა (ლათ.)** — ორთველიანი ანტიკური ეტილი, ერთრიგად შემბული ცხენების ოთხეულით. კვადრიზას სკულპტურული გამოსახულება საფუძვლად დედო შენობების ფრონტონების, სატრიუმფო თაღების და სხვა ნაგებობების სკულპტურულ სამკაულს.

**კვამლსარინი არხი** — საკვამური; კედლის წყობაში დაყოფებული ან სპეციალურად ამოყვანილი არხი. ღუმლიდან კვამლის ვარეთ გასაყვანად.

**კვანძი სანიტარული** — იხ. სანიტარული კვანძი.

**კვარტალი (ლათ.)** — ქუჩებით (ჩვეულებრივ, ოთხი ქუჩით) შემოსაზღვრული ქალაქის ნაწილი.

**კვარცხლბეგი** — 1. პიედესტალი, პოსტამენტი; ქანდაკების ღარ-

ნაკის. ობელისკის ქვესაღვამი. 2. ძვ. მეფეთა და მღვდელმთავართა საჯდომის საფეხური, შეკიბული ბაქანი.

**კვაჭახური** — კუთხ. „სახლის ვარეთ კუთხე“ (საბა).


**კვირვა** — ჭედვა; რელიეფური გამოსახულების მისაღებად საკვერით ლითონის დამუშავების ტექნიკა.

**კიბე** — ხარისხედი ნაშენი, რომლის საშუალებითაც სორციელდება სართულების, ქუჩის და შენობის, რელიეფის სხვადასხვა ნიშნულზე განლაგებული ბაქნების ურთიერთკავშირი.

**კიბის ბაქანი** — კიბის სვლების დამაკავშირებელი თარაზული ბაქანი.

**კიბის სვლა** — აღსავალი; საფეხურების უწყვეტი რიგი (კიბის ბაქნებს შორის). სვლების რაოდენობა სართულზე განსაზღვრავს კიბის ტიპს (ერთსვლიანი კიბე, ორსვლიანი კიბე და ა. შ.).

**კიბის უპირადი** — კედლებით შემოსაზღვრული შენობის ნაწილი, რომელშიაც კიბეა მოთავსებული.




პილბანი — 1. გვირგვინი; ჭიკობით შეერთებული მორული ან ძელური ოთხკუთხედი ან სამკუთხედი. 2. ხის სამკუთხა ბურჯი. 3. დიდი ზომის სახურავიანი ყუთი რისამე შესანახად.

„მუნ აბჯარი ყოვლი-ფერი ასრე იღვა, ვითა მწნილი. შიგან ერთი კილობანი დაბეჭდილი, არ-გასსნილი“ (ვეფს.).

პიპირიშვი (ლათ.) — 1. ქრისტიანული ტაძრის საკურთხეველში მოწყობილი შეწირულობათა საცავი.

2. საღვინებელი, ჩარდანს; საკურთხეველში დადგმული გავალაკი.

პილისპერი თალი — თალი, რომლის მოხაზულობა ვადმობრუნებული კილიანი გემის განივი ჭრილის კონტურს წააგავს.



პილო — ბუდე, ღარი ხის ძელში, ფიცარში, რომელშიაც ჯდება სოგმანი, კოტა.

პილომეტრი (ფრან.) — სიგრძის საზომი ერთეული მეტრულ სისტემაში, რომელიც 1000 მეტრს უდრის.

პიმატიშვი (ბერძ.) — 1. კარნიზის დამაგვირგვინებელი მრუდ-

ნაზოვანი ნაწილი. 2. შრულნა-  
ზოვანი არქიტექტურული პრო-  
ფილი — ბატიყელა, ქუსლი, ფოსო.

კინოთეატრი — შენობა, სადაც  
წარმოებს კინოფილმების დემონ-  
სტრაცია.

კიოსპი (სპარ.) — პავილიონი,  
ფარდული; წვრილი საქონლით სა-  
ვაჭრო მცირე ნაგებობა.

კინორბი — ცალდირე ხიდი,  
წანწალა; ხიდად გადებული ძელი,  
საცალფენო ხიდი.

კლამერა (გერმ.) — თუნუქის  
ფურცლის ვიწრო ზოლი, რომ-  
ლის მეშვეობითაც თუნუქის სა-  
ხურავის ფურცლები მაკრდება  
მოლარტყვაზე.

კლასიციზმი (ლათ.) — მიმ-  
დინარეობა კულტურის ისტო-  
რიაში, რომელიც აღმოცენდა  
საფრანგეთში და ვაერცელა ევ-  
როპაში მე-17 ს. და მე-18 ს-ის  
დასაწყისში. არქიტექტურაში კლასი-  
ციზმში თანამიმდევრულად ატა-  
რებს ანტიკური და აღორძინების  
ხანის შემკვიდრების მკაცრ სის-  
ტემატიზაციას. გაწონასწორებუ-  
ლი კომპოზიციები გამოსახულია  
მკაფიო ხაზებითა და კლასიკურა  
პროპორციებით.

კლასტერი (გერმ.) — ხალხი  
ქალაქმშენებლური (ჯგუფი), რომელსაც სპეციფიკუ-  
რი ფორმა გააჩნია და რომელიც,  
მეტაბოლისტების აზრით, შეცვ-  
ლის დღეს ფართოდ ცნობილ სა-  
ხლის, ქუჩის, რაიონის, ქალაქის  
ცნებას. მეტაბოლისტური თეო-  
რიით, კლასტერი წარმოადგენს  
მხარდ ქალაქმშენებლურ, სივრ-  
ცით და არა დაგეგმარებით, ერთე-  
ულს. რამდენიმე კლასტერი  
შეადგენს უფრო მეტად რთულ  
და მსხვილ გაერთიანებას. იხ.  
მეტაბოლიზმი.

კლიმატური რაიონირება —  
ქვეყნის ტერიტორიის დაყოფა იმ  
კლიმატური პირობების ერთო-  
ბლიობის მიხედვით, რომლებიც  
გავლენას ახდენს ნაგებობათა კონ-  
სტრუქციების და მასალების შერ-  
ჩევასა და დაგეგმარებაზე.

კლიროსი (ბერძ.) — მხარი;  
მგალობელთა და მედავითნეთა-  
ვის განკუთვნილი შემადგებელი  
აღვილი ტაძარში.

კლიტი — ბოქლომი; ჩამოსაკა-  
დი კარის საკეტი მოწყობილობა.  
„კლიტეთა დაღვეწ ვავანვამ,  
ჰნანონ ვადება კარისა“  
(ვეფხ.).

კლინატი (ლათ.) — უწმინდესი სულის ჩასარეცხი დასურული არსი ანტიკურ რომში.

კლუბი (ინგლ.) — 1. შენობა, რომელშიაც განლაგებულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და მოიცავს კულტურული ვართობისათვის, ფიზკულტურული ღონისძიებათა და ა. შ. საჭირო სათავსებს. 2. კაბიტალისტურ ქვეყნებში — საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს განსაზღვრული წრის ან პროფესიის აღმიანებს საქმოსნური ან პოლიტიკური მიზნებისათვის და, აგრეთვე, გამიზნულია საერთო გასართობებისა, სპორტული თამაშებისა და მისთ. მოსაწყობად.

კლუბბა (ინგლ.) — ყვავილნარი; ყვავილებ დარგული სხვადასხვა კონფიგურაციის ნაკვეთი.

კლი — არსი ან მილი, რომელიც წყალს მიმართავს წისქვილის თვალზე.

კოზიმიტი — სარკმლის ფარდა. „მცირე კრეტსაბმელი სარკმლისა“ (საბა). შდრ. კრეტსაბმელი.

კოზმილი — ფრზი; კედლის ზოლი ლავვარდანსა და სამერ-


ხელს შორის, ჩვეულებრივ, ყველაფერი ყენებული საულტურული ეკონომიკური სასულებების ან ორნამენტული მოტივების მოსათავსებლად.

კოლერი (ლათ.) — საღებავის ფერი, ტონალობა და სისშირე.

კოლექტორი (ლათ.) — მკრები; წყალსადენის და გაზგაყვანილობის მიღების ან სხვა დანიშნულების კაბელების ჩასაწყობი მიწისქვეშა ვალერეა და, აგრეთვე, ჩამდინარე წყლების შემკრები და სარინი მოწყობილობა.

კოლონა (ლათ.) — სვეტი; ჩვეულებრივ, მრგვალი კვეთის საყრდენი (ბოძის სახით), რომელზედაც დაყრდნობილია ანტაბლე-მენტი ან თაღის ქუსლი.

კოლონადა (ლათ.) — სვეტნარი; საერთო არქიტრავის ქვეშ განლაგებული კოლონების რივი.






კოლორი — ნახევარწრიული თალი; თალის წარმმართველი ნახევარწრეს წამოადვენს.

კოლორიტი (იტ). — მრავალფერიანი ნაწარმოების (სურათი, ორნამენტი, კაზმულობა, ოთახის მოპირკეთება და ა. შ.) დაფრვის საერთო ხასიათი.

კოლოფა ტალი — სოკერული თალი; სამ (სამცენტრიანით.) ან ხუთი ცენტრიდან მოხაზული რკალის ფორმის თალი.



კოლოფა კამარა — კოლოფა თალის მოხაზულობის განივი კვეთის კამარა.

კოლუმბარიუმი (ლათ.) — სამარხი კედელი, რომლის წყობაში დატანებულია სანემტე ურნების მოსათავსებელი ნიშები.

კომპლექსი არქიტექტურული — იხ. არქიტექტურული კომპლექსი.

კომპლუვიუმი (ლათ.) იმპლუვიუმის თავზე განლაგებული ღობი ატრიუმის სახურავში.

კომპოზიტური ორდერი — იხ. არქიტექტურული ორდერი. კომპოზიცია არქიტექტურული — იხ. არქიტექტურული კომპოზიცია.


კომუნიკაციები (ქალაქისა) (ლათ.) — კავშირგაბმულობის ხაზები. მიწისქვეშა კაბელები, წყალსადენისა და კანალიზაციის მილგაყვანილობა, კოლექტორები და ა. შ.

კომფორტი (ინგლ.) — კეთილმოწყობილი ყოფა-ცხოვრების პირობათა ერთობლიობა.

კონსოლი (ფრან.) — ბრჯენი, კონსტინი; კედელში ერთი ბოლოთი ჩაჭედილი კოჭი, ფილა ან კედლის წყობიდან გამოშვებული კოჭის ნაწილი, რომელზედაც, ჩვეულებრივ, დაყრდნობილია კარნიზი, აივანი, ქანდაკება და ა. შ.

კონსოლური ავრა — ოთხკუთხედიდან გუმბათის ფუძის წრე-

ნაწზე გადასასვლელი კონსტრუქცია — აფრა, რომელიც წაწყური წყობით წარმოიქმნება.




კონსტრუქტივიზმი — პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელებული მიმართულება არქიტექტურაში, რომელიც მისწრაფის თანამედროვე სამშენებლო მასალების (რკინა-ბეტონის) გამოყენების პირობებში ფორმების მიზანშეწონილობისადმი და ფუნქციური შინაარსის მაქსიმალურად რაციონალური გადაწყვეტისადმი.

კონსტრუქცია (ლათ.) — ნაგებობის სტრუქტურა, მისი ცალკეული ნაწილების ურთიერთგანლაგება.

კონსტრუქციული კვანძი კონსტრუქციული ელემენტებისა და დეტალების შეუღლება.

კონტრფორსი (ფრან.) — ვოლფედი, ვკერდსამაგრი, კედლის ბურჯი; კედლის ვერტიკალური ან დახრილი მასიური შვერილი, რომელსაც გადაეცემა ვკერდული განმბრჯენა და ზრდის კედლის მდგრადობას; იგი განსაკუთრებით გავრცელდა გოთიკურ არქიტექტურაში.



კონტური (ფრან.) — აბრისი, მონახაზი, კონფიგურაცია, ვაბარიტი; საგნის გარე მოხაზულობა.

კონქა (ბერძ.) — შენობის ნახევარწრიული ნაწილის (აფსიდის) მეოთხედსფეროს მოყვანილობის გადახურვა.

კონქი (ბერძ.) — ივივეა, რაც კონქა.

კონფიგურაცია (ლათ.) — ივივეა, რაც კონტური.

კონცენტრული თალი — პერსპექტიული თალი; კედლის სიღრმისაკენ თანამიმდევრულად შემცირებული რადიუსის მქონე თაღების ერთობლიობა.

კორიღორი (ფრან.) — შენობის ცალკეული ნაწილებისა და ოთახების დამაკავშირებელი, ჩვეულებრივ, გრძელი სათავსი.


კორიღორული სისტემა — კორიღორის ერთ ან ორთავ მხარეზე ოთახების ან ბინების განლაგების სისტემა.

კორპუსი (ლათ.) — ერთ-ერთი შენობა ნაგებობათა კომპლექსში.



კორსო (იტ.) — იტალიური ქალაქის შთავარი ქუჩა.

კორტი (ინგლ.) — ჩოგბურთის მოედანი.

კოსაური — ჩანა; კიბის ბაქნებს შორის გადებული სხვადასხვა განივკვეთის (ორტესებრი, შველური და ა. შ.) ლითონის დასრილი კოჭი, რომელზედაც ლაგდება ქვის საფესურები.




კოტა — 1. მომიჯნავე ფიცრებში ჩაყენებული რიკი მათი ერთმანეთთან მჭიდროდ დასაკავშირებლად. იხ. სოვმანი. 2. ხის რიკი (კედელზე ან სვეტზე) რისამე ჩამოსაკიდებლად.



კრტეჯი (ინგლ.) — ცალკე სახლი; ერთბინიანი, ორსართულიანი ან ქორედიანი საცხოვრებელი სახლი.

კომპი — გოდოლი, მურყვამი, ქავი, საებგურო; შენობის საერთო მოცულობიდან მკვეთრად გამოყოფილი, გეგმაში, ჩვეულებრივ, მრგვალი, მრავალკუთხა ან კვადრატული მონახულობის ნაწილი, რომლის სიმაღლე საგრძნობლად სჭარბობს ფუძის ზომებს, ან ასეთივე პროპორციების ცალკე მდგომი ნაგებობა. ტერმინი ხმარებაში შემოდის მე-9 საუკუნეში და თანდათან სცვლის ვოდოლს. იხ. სახისწო კომპი.



კომპურა — მცირე კომპი.

კომპურა სახლი — ერთსექციური მრავალსართულიანი სახლი, რომლის სიმაღლე საგრძნობლად სჭარბობს მისი ფუძის ზომებს.


კომპატი — 1. მარჯუნი, სახილველი კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდი მოწყობილობის — ანჯამის სერულიანი ნაწილი, რომელიც ჩარჩოზე მაგრდება. 2. კარის საკეტის ერთი (ხვრტიანი) ნაწილი, რომელსაც რაზა ვადაცმება და ბოქლოში გაეყრება.

კოჭი — ერთ (კონსოლი), ორ ან მეტ წერტილზე დაყრდნობილი, სხვადასხვა კვეთის (სწორკუთხა, ტესებრი, კოლოფა და სხვ.) მზიდი ძელი. იხ. ამწისქვეშა კ., საძირკვლის კ., კონსოლური კ., მრავალმდლიანი კ., შედგენილი კ., შპრენგელური კ., ჰერბერის კ.

კოჭოვანი გადახურვა — გადახურვა, რომლის მზიდი კონსტრუქციული ელემენტია კოჭი.

კრემლი — რუსული ფეოდალური ქალაქის გამაგრებული, ვალანთი შემოფარგლული ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, შემადლებულ ადგილზეა განლაგებული.

კრბი (ვერმ.) — ვიშპერგის, წვეტურას და სხვათა სკულპტურული სამკაული, რომელიც სტილიზებულ მცენარეულ მოტივს წარმოადგენს.




**პრეტსაბმელი** — პორტიერა; ფარდა კარის ღიობის წინ. შდრ. კონიმიტი.

**პრიპტა** (ბერძ.) — 1. კატაკომბები; მიწისქვეშა გალერეა, რომელშიაც მოწყობილია სამარხი. 2. კათოლიკური ტაძრის საკურთხეველის ქვეშ განლაგებული მიწისქვეშა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს საპატიო სამარხს ან საფაშნოს. 3. იგივეა, რაც კრიპტობორტიკი.

**პრიპტოპორტიკი** (ლათ.) — კრიპტა; ვადახურავში მოწყობილი ღიობების საშუალებით განათებული მიწისქვეშა გალერეა.

**პრომლენი** (ინგლ.) — პორიზონტალური ფილებით ვადახურული, წრესაზე შევუღალ დაყენებული ქვები, ნეოლითის და,

უმთავრესად, ბრინჯაოს, ნახის, მკვებელი საკულტო ნაგებობა.



**პრონუშქინი** (გერმ.) — ბრჯენი, კონსოლი; არქიტექტურულად დამუშავებული კონსოლი, რომელიც შენობის გამოწვეული ნაწილების ან ქანდაკების საყრდენს წარმოადგენს.

**პსილოგრავია** (ბერძ.) — ხეზე შესრულებული გრაფიურა.


**პუბიკური მეტრი** — მოცულობის საზომი ერთეული, რომელიც ეთანადება კვადრატული მეტრის ფართობის ფუძის და მეტრის სიმაღლის მქონე კუბის მოცულობის სიდიდეს.

**პუბომეტრი** — იგივეა, რაც კუბიკური მეტრი.

**პუთინი** — პილონი; მასიური ბოძი, რომელიც წარმოადგენს კამარის, გუმბათის ან სხვა კონსტრუქციის (მაგ., ხიდის) ერთ-ერთ საყრდენს.



**უთისის ლოჯია** — შენობის უთხეზე მოქცეული, ორი მხრიდან კედლებით შემოსილული აივანი. იხ. ლოჯია.



**კულისები** (ფრან.) — რამის პარალელურად განლაგებული, მოხატული ტილოთი ან მკერივი ქსოვილით გადაკრული ჩარჩოების რიგი, რომელიც მაყურებლისგან მალავს სცენის გვერდითს ნაწილს.

**კულტურის სახლი** — შენობა, სადაც ტარდება კულტურული და სპორტული ღონისძიებანი.


**კულუარები** (ფრან.) — სხდომათა დასაწყისის გვერდით განლაგებული დასასვენებელი ოთახების ჯგუფი.

**კუმპილი თაღი** — შეკუმშული თაღი; თაღი, რომლის წარმ-

მართველი რკალის ცენტრი მის ქუსლებს ქვევით მდებარეობს.

**კუნჭული** — კუთხე სადგომში.

**კურდღმარი** (ფრან.) — შენობის გამოწვევებით ან ცალკე მდგომი კორპუსებით შექმნილი, ქუჩისკენ გახსნილი პარადული ეზო.



**კურვატურა** (ლათ.) — სწორხაზოვანი არქიტექტურული ელემენტების უმნიშვნელო გამრუდება, რომელსაც მიმართავენ რაკურსით აღქმისას შესაძლებელი დამახინჯების თავიდან ასაცილებლად.

**კური** (ლათ.) — ძველი რომის სენატის შენობა.


**კურტიმლი** — ძვ. „კურტიმლები — კარის კამრები“ (საბა).

**კუტიპარი** — პატარა შესასვლელი კარი გალავანში, ღობეში.

**ლაბირინთი** (ბერძ.) — ლაბრი-  
ნთო; ქუჩების, სეივნების, კორი-  
დორების, სადგომებისა და სხვ.  
რთული, დასლართული განლა-  
გება.

**ლაბორატორია** (ლათ.) — სა-  
განგებოდ აღჭურვილი სადგომი  
რთული პრეპარატების დამზადე-  
ვისათვის, სამეცნიერო კვლევის,  
სასწავლო პროცესისა და მისთ.  
ჩასატარებლად.

**ლაპპარდანი** — კარნიზი; კედ-  
ლის ან მისი ნაწილის დამავეირ-  
ვინებელი, ჩვეულებრივ, პრო-  
ფილირებულ ელემენტი.



**ლაპრა** (ბერძ.) — ზოგიერთ მა-  
შათა მონასტრის სახელწოდება.

**ლაპრინთი** — იგივეა, რაც ლა-  
ბირინთი.

**ლაპვა** — ძვ. ლაკვანი, ჭა-  
წყლის შესავაროვებელი, მიწაში  
ჩადგმული (ჯირგვალური ან სხვა-  
გვარი) ნაგებობა. „ჯურღმული  
ნაგები“ (საბა).

**ლაპვანი** — ძვ. იგივეა, რაც ლა-  
კვა.

**ლაკონიში** (ლათ.) — ოფლის  
სადენი სადგომი რომის თერმეზ-  
ში.

**ლამასუ** — მითიური არსების —  
ადამიანის თავის მქონე ფრთოსა  
ნი ხარის ან ღომის სკულპტუ-  
რული ვამოსახულება ასირიულ  
სელოვნებაში.

**ლამვა** — ჭერის თხელი ფიცარი.

**ლამპარი** — სანათი არმატურა.

**ლამპინი** (ფრან.) — ფერად-  
მინიანი სანათი.


**ლანდური** — კუთხ. გრძივა, ვა-  
მსტვენი, ზეწარი; ღიობის თავზე  
ან სვეტებსა და კედლებს შორის  
გადადებული მსხვილი ძელი, რო-  
მელსაც ეყრდნობა გადახურვის კო-  
ჭები — იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმ-  
ში ვაგრცელებული ტერმინი. ის.  
ბულაური, დღველი.

ლანღუაფტი (გერმ.) — ადგილ-  
მდებარეობის საერთო ხელი.

ლანღუაფტური პარტი — პეი-  
საქური პარკი; არარეგულარული  
დაგეგმარების მქონე პარკი, რომელიც შეტად წაავას ბუნებრივ  
ადგილს და სწორად მოიცავს ტყეს  
პატარა მინდვრებით, ხეებს და  
ა. შ.

ლანძვი — 1. ძვ. ვიწრო და მა-  
ღალი სარკმელი. 2. კერა, ყვერ-  
ბი, საცეცხლური; შუაცეცხლის  
ადგილი სახლში. 3. ვისოსი, კან-  
კელი, ცხაური; ლითონის ან ხის  
წოლებით შექმნილი ბადე.

ლართხი — წოლანა; მიწასე გა-  
დებული ხის ძელი, რომელზედაც  
ლაგდება იატაკის ფიცარფენილი.



ლარი — 1. კუთხ. ფაცხა, ჩო-  
დოლი, ლაჭყორი; წნელის ქონი  
იმერეთში. 2. კუთხ. გრძელი და  
ვანიერი სკამი, რომელიც საწო-  
ლადაც გამოიყენება.

ლარნაპი (გერმ.) — 1. ვახა,  
ყვავილების ჩახადმელი, ხილის  
მოსათავსებელი. ან სხვა დეკორა-  
ციული დანიშნულების სხვადასხვა  
მასალის (ბროლის, ვერცხლის, კე-  
რამიკული და ა. შ.) ჭურჭელი.  
2. ურნა; მარმარილოს, ვერცხლის  
ან სხვა მასალის ჭურჭელი ადა-  
მიანის ფერფლის შესანახად. 3. კი-  
ლობანი; „ეს არს მსგავსად კილო-  
ბნისა შემზადებული ფიცართაგან  
ანუ ქვათაგან“ (საბა).

ლარტყა — 1. ლატანი; ოთხ-  
კუთხა კვეთის ბრტყელი ძელი.  
2. გეოდეზისტის იარაღი — ხაზე-  
ბითა და ციფრებით დაყოფილი,  
გრძელი და ბრტყელი ძელი დე-  
დამიწის ზედაპირის ორი წერტი-  
ლის შედარებითი სიმაღლის დასა-  
დგენად.

ლარძაყონი — კუთხ. მარწუსა,  
ჯალაბდარი; ნივნივის გავრცე-  
ლებული დასახელება დასავლეთ  
საქართველოში (განსაკუთრებით  
იმერეთში).

ლასტი — ჩელტი; წნელის წნუ-  
ლით შექმნილი სხვადასხვა დანი-  
შნულების ფარი (თაროს, ჭერის,  
კარის ფარის და მისთ. მოსაწყო-  
ბად).



**ლატანი** — 1. ლატყა; გრძელი და ბრტყელი ძელი. 2. აყარი, კაღონი, მუკენი, ხარისა, ქანდარა, ჭოგრი; განივად ვადებული ძელი (მაგ., სხვენზე ნიენივებს შორის).

**ლაზარა** — კუთხ. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში გავრცელებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს შენობის ირგვლივ ადვილს, მოქცეულს სახურავის გადმოშვებული ნაწილის ქვეშ.

**ლაზავი** — კუთხ. იმერეთში — საკვამლე, ისლით დაფარულ უბუნრო სახლში.

**ლაჭყორი** — ლარი, ფაცხა, ჩოდოლი; „ლერწმითა და წკებლით დაწნული სახლი“ (საბა).


**ლენტური ორნამენტი** — ჩუქურთმის ზოლი, რომელიც განმეორებადი ელემენტებისაგან შედგება.



**ლენტური ნაქსურთვა** — იგივეა, რაც ლენტური ორნამენტი.

**ლენტური საძირკველი** — უწყვეტი საძირკველი; კაპიტალური კედლის ქვეშ უწყვეტად ამოყვანილი საძირკველი.

**ლილვი** — მრუდნაზიანი არქიტექტურული პროფილი, რომელიც განიკვეთში ნახევარწრეს წარმოადგენს. შდრ. ნოთხალი ლილვი.



**ლიმენი** — ძვ. ნავმისადგომი. **ლიმონარიშვი** (ლათ.) — სავანეებოდ მოწყობილი შემინული შენობა — ორანჟერეა, სათბური, სადაც აშენებენ ციტრუსოვან მცენარეებს.

**ლინპრსტი** (ლათ.) — კედლის შესამოსი რელიეფურ-ნახატიანი მუყაო.

**ლირსი** — 1. ჩარჩოში ჩასმული თხელი ფიცრის ფარი (მაგ., კარის ლირსი). 2. ორქანობიანი სახ.ურავის ვიწრო მხარეებზე, კედლის სარტყლის ზემოთ სამკუთხად ამოშენებული ფიცრები, რომლებიც ფრონტონს, წვეტურას წარმოქმნიან. 3. „ფიცარი ურბად პირ-წაჭრილი“ (საბა).

**ლივტი** (ინგლ.) — სატრანსპორტო ამწე მოწყობილობა, ბავირზე ჩამოკიდებული გალის სახით, რომელიც მოძრაობს ვერტიკალურად სპეციალურ შახტში.

**ლოკეიონი** (ბერძ.) — ანტიკური სცენის წინ გამოწეული ნაწილის — პროსკენიუმის გადახურვა.

**ლოქა** (ფრან.) — ტიხრებით ან მოაჯირით გამოყოფილი განცალკევებული ადგილი მყურებელთა დარბაზში, სადაც რამდენიმე სავარძელი დგას.

**ლორული სახლი** — 1. კუთხ. იმერეთში — შუაზე ვაპობილი მორებით აგებული უფანჯრო სახლი. 2. „ლენსუმური ვაგებით კი

ლორულ ნაგები სახლი ცხელი ლაიანი სახლია. „იგი „თავეფსკენილი“ იყო და „წურწუტი“ ბახურაგი ჰქონია“ (ივ. ჯავ.). 3. ჭირისუფალთათვის სავანეებოდ მოწყობილი სადგომი. იხ. საქერი-ვო სახლი.

**ლორფინი** — ლოფინი; ქვის ფილა. „ქვის ფიცარი“ (საბა).


**ლორწამი** — კუთხ. ლორწი, ლორწომი; იმერეთში — საქვაბე ჯაჭვის შესაკიდი ძელი.

**ლორწი** — იგივეა, რაც ლორწამი.

**ლორწომი** — იგივეა, რაც ლორწამი.

**ლოფინი** — 1. კუთხ. რაჭაში — ნიენივზე დაჭედილი ლარტყა. 2. იგივეა, რაც ლორფინი.

**ლოჯია** (იტ.) — სამ ან ორ მხრიდან კედლებით შემოზღუდული შენობის ღია ნაწილი — აივანი. იხ. კუთხის ლოჯია.



ლუპარნა (ფრან.) — სხენის ვასანათებელი, დეკორაციულად დამუშავებული სარკმელი.

ლუნეტი (ფრან.) — 1. კამარის ან გუმბათის წყობაში დატოვებული სასინათლო დიობი. 2. აფრებზე ან სხვა ნაწილებზე მოთავსებული ნაძერწი ან ფერწერული სამკაული.

ლუსკუმა — 1. სარკმელის კუბოს ან ლარნაკის ფორმის აკლამა ან საფლავის ქვა. 2. მოხატვით ან რელიეფით შემკული მონუმენტური კუბო. 3. მაღლად ნაგები საფლავი. იხ. ყორღანი, თაბუთი, ტაგრუცი.

ლუფუნდი — კუთხ. ტალატანი; სის გადსატანი კიბე.

— მ —

მაგისტრალი (ლათ.) — 1. მთავარი ხაზი, ძირითადი მიმართულება. 2. წყალსადენისა და კანალიზაციის მთავარი მილი, ელექტრობის, ტელეგრაფის, ტელეფონის სისტემის მთავარი კაბელი.

მაგვრლუშმი — მონუმენტური სამარხის სახელწოდება, რომლის წარმოშობა დაკავშირებულია მეფე მაგვროლის სამარხთან ჰალიკარნასში (მე-4 ს. ძვ. წ. ა.).

მაგვითული — ლითონის ძაფი.  
მაზარი (არაბ.) — მუსლიმანთა წმინდანის საფლავი, აკლამა.

მაიღანი (თურქ.) — აღმოსავლეთის ფეოდალური ქალაქის მთავარი

ვარი საეპირო და საზოგადოებრივი მოედანი.

მაიოლიკა (იტ.) — მოჭიქული კერამიკული ნაკეთობა. ტერმინი „მაიოლიკა“ წარმოიშვა კუნძულ მაიორკას (მალიორკას) სახელწოდებიდან. ამ კუნძულის გავლით იტალიაში ეზიდებოდნენ მაგვრითანულ კერამიკას.

მაკპეტი (ფრან.) — მცირე ზომის ნიმუში (მოდელი) განზრახული ან უკვე არსებული ნაკეთობისა (შენობისა).

მალი — მანძილი ორ კედელს, სვეტს ან სხვა საყრდენს შორის.

მამშული — ადგილ-მამუელი; მიწა-წყალი, რომელიც ვისმე საკუთრებას შეადგენს.



მანა — ჩხირი; „არს ჰალო და მომცრო მარვილი“ (საბა).

მანღური — ნიში, წალო; „ყო- რით ნაგები ნიში“ (საბა).

მანეში (ფრან.) — შემოსულ- დული ადგილი ან შენობა, სადაც წარმოებს ცხენების გახედნა, ცხე- ნოსნობის სწავლება ან ჯარების წვრთნა.

მანსარდი (ფრან.) — უშუალოდ სახურავის ქვეშ სხვენის სივრ- ცეში მოქცეული სადგომი (მე-17 ს-ის ფრანგი ინჟინრის მანსარის სახელის მისხედვით.)

მანსარდის სართული — სხვე- ნის მოცულობაში განლაგებული სათავსების ერთობლიობა.

მარანი — სავაჟინე; ღვინის შე- სანახად განკუთვნილი ცალკე შე- ნობა ან სათავსი.

მარაოსმბრი კამარა — ნერვი- ურიანი კამარის სახეობა, სადაც ერთი კუთხიდან მარაოსებრ გან- შტოებული, ერთნაირი სიმრუ- დის ნერვიურები ძაბრისებრ შე- დაპირს ქმნის.

მარპილი — სარი, რუმული წაუთლელი ბოლოთია მიწაში ჩას- მული. „სე წვერწათლილი დასარ- ჭობი“ (საბა.). იხ. ყერო.

მარპმტრი (ფრან.) — ინტარსია; სხვადასხვა მასალის (მათ შორის ხის) ნაჭრებით შესრულებული ინკრუსტაცია ხეზე.

მარპიზა (ფრან.) — სამხეური, საჩხეი; მზის სხივებისგან სათავსის დაცვის მიზნით შენობის გარე მხრიდან, ფანჯრის თავზე მო- წყობილი საჩრდილობელი, ქოლგა.


მარყუში — საკილოე; რაზის გა- საყრელი რგოლი.

მარწუხი — კაკუტი, ნივნივი, ჩალანგარი, ჯალაბდარი; სახურა- ვის საყრდენი კონსტრუქციის მთა- ვარი ელემენტი — დახრილი ძე- ლი, რომელზედაც დამაგრებულია სახურავის მოლარტყვა ან ფი- არნაგი. რაჭას, ლეჩხუმსა, იმერე- თში და, ნაწილობრივ, ზემო კახე- თში გავრცელებული ტერმინი.

მასმარპი (კერმ.) — აჟურული ორნამენტი გოთიკურ არქიტექ- ტურაში.

**მასპარონი (იტ.)** — არქიტექტურაში და გამოყენებით ხელოვნებაში ვაერცელებული დეკორაციული მოტივი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის პირისასის ან ცხოველის თავის სკულპტურულ (ბარელიეფი ან ვორელიეფი) გამოსახულებას ნიღბის სახით.

**მასტაბა (არაბ.)** — ძველი ეგვიპტის სამარხების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ფორმით წაკვეთილ პირამიდას მოგვაგონებს.




**მამსურა (არაბ.)** — ხალიფასა და დიდკაცობისათვის მოაჯირით გამოყოფილი ადგილი (ლოჯა) მიხვითში.

**მასშტაბი (გერმ.)** — სიდიდის (სიგრძის) პირობითი გამოსახულება სიგრძის უფრო მცირე ერთეულში (სმ-ში). გვემაზე, რუ-

კაზე — ხაზის სიგრძის ნატურაში, მისივე სიგრძესთან ნატურაში, ე. ი. მის ნამდვილ სიგრძესთან.

**მაშურლატი (გერმ.)** — თავკოჭი; ქვის ვარე კედლის შენაჭრზე მოთავსებული ხის (ძელური ან მორული) სარტყელი, რომელსაც ეყრდნობა ხისვე დახრილი ნიენივება.



**მალაზია** — 1. შენობა, სადაც საქონელი იყიდება. 2. ძვ. სურსათ-სანოვავისა, ტყვია-წამლისა და სხვათა შესანახი დიდი საწყობი.


მწარდილობელი — ძვ. საწრდი-  
ლობელი; ნაგებობა, რომელიც  
წრდილს იძლევა.

„დღეს ეს ნაქცევი, სახიერად  
მაწრდილობელი,  
ხედავს თვის ქვეშე  
დამხოქველად ოდენ  
პირუტყვთა“ (ა. ჭავჭავაძე).

მაცნივარი — 1. სასაწყობო შე-  
ნობა საგანგებოდ მოწყობილი  
დაბალი ტემპერატურის სათავსე-  
ბით, სადაც ინახება სხვადასხვა  
პროდუქტი. 2. საგანგებო კამე-  
რა — პერმეტულად დასშული სა-  
თავსი შენობაში ან ასეთივე კა-  
რადა, რომელიც ინარჩუნებს და-  
ბალ ტემპერატურას და სადაც ინა-  
ხება სხვადასხვა სახის პროდუქ-  
ტები, სამედიცინო პრეპარატები  
და სხვ.

მღვრადობა — ნაგებობას, კონ-  
სტრუქციის ვაქლეობა.

მეანდრი (ბერძ.) — ალაგრეკი;  
ტუხილი ან მრუდსაზოვანი ლენ-  
ტური ორნამენტი. ტერმინის წარ-  
მოშობა დაკავშირებულია კლავნი-  
ლი კალაპოტის მქონე მდინარე  
მეანდრის სახელწოდებასთან.




მეგობრი — გზაჯვარედინი;  
„ჯვარედინი გზა, სადაც მრავალ-  
ნი გზანი ერთად შეჰკრებიან“  
(დ. ჩუბინ.).

მეგაზილი — ფინიკიური სამა-  
რხი.

მეგალითი — დიდი ზომის ვა-  
თლელი ქვა. ლოდი.

მეგალითური ნაგებობა —  
უქველეს დროში დიდი ზომის ვა-  
თლელი ქვებით (მეგალითებით)  
ამოყვანილი ნაგებობა. იხ. ციკ-  
ლოპური ნაგებობა.

მეგარონი (ბერძ.) — ბერძნუ-  
ლი საცხოვრებელი სახლის სახე-  
ობა, რომელიც ვეგმაში წარმოად-  
გენს სწორკუთხოვან ნაგებობას  
ანტებიანი პორტიკით მთავარ ფა-  
სადზე. კერა და საკვამური (სახე-  
რავში დატოვებული დიობის სა-  
ხით) თავსდებოდა დარბაზის ცენ-  
ტრში.



**მედალიონი** (ფრან.) — წრიულ ან ოვალურ ჩარჩოში მოთავსებული რელიეფური გამოსახულება ან ორნამენტი. „ბოლნისის სიონზე... გამოსახულია სწორკლავიანი ჯვარი, რომელიც ჩასმულია წრეში, მედალიონში“.

(გ. ჩუბინ.).

**მეღრმსე** (არაბ.) — მუსლიმანთა უმადლესი სასულიერო სასწავლებელი.

**მეზონეტი** (ინგლ.) — ტრადიციული ინგლისური ტიპის მიხედვით ორსართულად დაგეგმარებული ბრნა მრავალსართულიან სახლში.

**მეზონინი** (იტ.) — ზედა ნახევარსართული ან დანაშენი საცხოვრებელ სახლზე.

**მემორიალური ღვთა** — რომელიმე ისტორიული ამბის ან პიროვნების ხსოვნის აღსანიშნავად შენობის კედელზე ან სხვა ნა-

გებობაზე მოთავსებული საინფორმაციო, ქვის, ლითონის დაფა სათანადო წარწერით.

**მემორიალური ნაგებობა** — ცალკეული პიროვნების ხსოვნის უკვდავსაყოფად ან რაიმე ისტორიული ამბის სადიდებლად აშენებული ნაგებობა (სატრიუმფო თაღი, ობელისკი, საფლავის ქვა და ა. შ.).

**მენაპი** — მენიაკი; მღვდელმთავრის, ეპისკოპოსის ხარისხედად შემადღებელი ბაქანი ეკლესიაში. **მენიპი** — იგივეა, რაც მენაკი.

**მენპირი** (ბრეტ.) — მევალითური ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს ვერტიკალურად დაყენებულ ქვის უზარმაზარ, ჩვეულებრივ, გაუთლელ ლოდს. ასეთი ლოდები დგას ცალკე ან თავისებურ ზეივნის წარმოქმნელ პარალელურ რიგებად. მენპირი ზოგჯერ უხეშად გათლილია და მასზე ამოკვეთილია რელიეფური გამოსახულება (მაგ., კავკასიაში მენპირი წარმოადგენს ქვის ლოდში გამოქანდაკებული ფანტასტიკური თევზის — ვეშაპის უზარმაზარ გამოსახულებას). ვარაუდობენ, რომ მენპირს საკულტო დანიშნულება ჰქონდა.

მეორეული სინათლე — შიგა კედელში სარკმლის მოთავსებით, ვარე კედელს მოცილებული სათავის ნათელი ოთახიდან განათების სერვისი.

მერსი — 1. გრძელი სკამი რამდენიმე ადამიანის დასაჯდომად. 2. დახრილზედაპირიანი სასკოლო მაგიდა, რომელსაც აქვს უჯრები და დასაჯდომი.


მესარი — მიჯრით ჩასობილი სარების, მარგილების ღობე. შდრ. დრუსო, კაწანი, ძელუორე, ყერო, ყორე, ხიმი, ხირხალი.

მეტაბოლიზმი (ბერძ.) — ბერძნულად ნიშნავს „ცვლილებას“, „შეცვლას“, ახლა „მეტაბოლიზმი“ იაბონელი არქიტექტორების ჯგუფის ინიციატივით აღიარება ჰპოვა სპეციალურ ლიტერატურაში. იგი აღნიშნავს ქალაქმშენებლობის ახალ თეორიულ კონცეპციას, რომელსაც საფუძვლად უდევს ე. წ. დინამიკური ფაქტორის გათვალისწინება ქალაქმშენებლობის ამოცანების გადაჭრისას. ქალაქის განვითარების ციკლურ პროცესს იგი განიხილავს სამგანზომილებიან სივრცეში. მეტაბოლისტები ყველა თავის პროექტში გვთავაზობენ ახალ ქალაქ-

მშენებლურ გაერთიანებას კლასტერს, რაც „ადამიანთა ასოციაციის“ იმ სპეციფიკურ ფორმად არის მათ მიერ წარმოდგენილი, რომელმაც უნდა შეცვალოს უკვე მოძველებული მცნება სახლის, ქუჩისა თუ უბნისა. იხ. კლასტერი.

მეტლანის ფილა — გამომწვარი თიხის გლუვზედაპირიანი, ფერადი, მცირეზომის ფილა, რომელსაც, ჩვეულებრივ, იატაკზე დასაგებად ხმარობენ.

მეტოპი (ბერძ.) — დორიული ფრიზის ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ტრიგლიფებს შორის მოთავსებულ სწორკუთხა





(ჩვეულებრივ, კვადრატულ), ხშირად ფორწორულ ან სკულპტურულ რელიეფით შემკულ ფილას.

**მეტრაჟი** (ფრან.) — მეტრობით გაზსახული სიგრძე.

**მეტრი** (ფრან.) — სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც დაანლოებით პარიზის მერიდიანის ერთ მემილიონედს უდრის.

**მეტრო** — იგივეა, რაც მეტროპოლიტენი.

**მეტროპოლია** (ბერძ.) — ძველბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოს — პოლისის დასახლება მის მიერ სხვა ტერიტორიებზე დაარსებულ დასახლებათა მიმართ.

**მეტროპოლიტანი** (ფრან.) — მეტრო; მიწის ქვეშ ან მიწიდან განსაზღვრულ სიმაღლეზე, ესტაკადებზე ვაყვანილი რკინიგზა, რომელიც შიდასაქალაქო ტრანსპორტს წარმოადგენს.

**მექონოთი** — ძვ. ხარისხედი; „ხარისხი, ვინა აღსავალი“ (საბა).

**მეჩეთი** (არაბ.) — მიზეთი; მუსლიმანთა სამლოცველო, ტაძარი.

**მეხსარილი** — მეხსარიანი; შენობაზე ან მის სიახლოვეს დადგმული

საგანგებო მოწყობილობა, რომელიც იცავს ნაგებობას მუხისაგან.

**მეხსარიანი** — იგივეა, რაც მეხსარილი.

**მზილი კედელი** — კედელი, რომელსაც გადაეცემა კონსტრუქციული დატვირთვები.

**მზილი კონსტრუქცია** — ნაგებობის ან მისი ნაწილის მუშა ელემენტების სისტემა, რომელსაც გადაეცემა კონსტრუქციული დატვირთვები და რომელიც თავის მხრივ მას საძირკვლებს გადასცემს. (მაგ. კაპიტალური კედელი, სვეტი, კონტრაფორსი და ა. შ.).

**მზილი ფილა** — გადახურვის ერთმალისანი, მრავალმალისანი ან კონსოლური ფილა, რომელიც ღებულობს ძირითად დატვირთვებს და ღუნვაზე მუშაობს.

**მიზბითი** — იგივეა, რაც მეჩეთი.

**მიპრობაიონი** — ქალაქის საცხოვრებელი მასივის თანამედროვე ორგანიზაციის ერთ-ერთი სახეობათაგანი, რომელიც მოიცავს რამდენიმე საცხოვრებელ კვარტალს, საზოგადოებრივი და-

წესებულებების ჯგუფს და დასვენების საერთო ზონებს.

**მიღზავყვანილობა** — განსაზღვრული დანიშნულების მიღების ერთობლიობა, სისტემა (მაგ., წყალსადენის, აირის მიღგაყვანილობა).

**მილი** — 1. ლულა, სოლინარი, კერამიკული, ლითონის და ა. შ. გრძელი, მეტწილად მრგვალი, ღრუტანიანი ნაკეთობა სითხის, ორთქლის, კვამლისა და მისთ. სადენად. 2. (ინგლ.) — დასავლეთ ევროპის და ამერიკის ზოგიერთ ქვეყნებში მიღებული სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც 1609 მ-ს უდრის (საზღვაო მილი მიღებულია ყველა ქვეყანაში და უდრის 1852 მ-ს).

**მილიმეტრი** (ლათ. ფრან.) — მეტრის მეათასედი ნაწილი.

**მილსადენი** — მიღებით შექმნილი კომუნიკაცია აირების, თხევადი (წყლის, ნავთის და მისთ.) ან ფხვიერ ნივთიერებათა ამა თუ იმ მანძილზე გადასაცემად.

**მილყელი** — მოკლე, მუსლიანი მილი, რომელსაც ხმარობენ მილსადენის შავისტრალის განშტოებისათვის.

**მიწარბ** — იგივეა, რაც მწარბი.

**მიწარბითი** — მიწარბა, საყივარი; მისგითთან აშენებული კომპლექსი ნაგებობა, რომლის ზედა ბაქნიდან შეუძინი მუსლიმანთ უხმობს სალოცავად.

**მიწაშენი** — შენობის ნაწილი, აგებული ძირითადი ნაგებობის აშენების შემდეგ.

**მიწიატურა** (იტ.) — 1. ფერებით მოხატული მთავრული ასო ან სურათი ძველ ხელნაწერებში. 2. მცირე ზომის ნახატი (ფერადი სურათი) რაიმე ნაკეთობაზე. 3. რისამე გამოსახულება მეტად შემცირებულ ზომებში.


**მისაბრჰენი** — დგარის ქვედა ნაწილში სიმდგრადისათვის შეყენებული მცირე ირიბანა.

**მისაპალი ზზა** — მაგისტრალური ან ირგვლივი გზის განშტოება, დასახლებისკენ, არქიტექტურული კომპლექსისკენ, შენობისკენ და ა. შ.

**მისბითი** — იგივეა, რაც მეჩეთი.

**მიწაყრილი** — დაყრილი მიწით შექმნილი ბაქანი ან ერთგვარი შემადღება — მიწის ზვინული.

**მიწისქვეშა კომუნიკაციები**  
— მიწის ზედაპირის ქვეით მოთავსებული საინჟინრო გაყვანილობა — მილგაყვანილობა, სხვადასხვა სახის კაბელები (სატელეფონო, მაღალი ძაბვის და ა. შ.) და მისთ., რომლებიც სშირად სპეციალურ ვეირაბში არის გაყვანილი.



**მიწისქვეშა ნაგებობა** — ნაგებობა, რომელიც მთლიანად მიწის ზედაპირის ქვევით არის მოქცეული.

**მოღელი** (ფრან.) — 1. მაკეტი; რისამე ნიმუში. 2. მაკეტი; რაიმეს (მაგ., შენობის) მოცულობრივი ასახვა მასშტაბში. 3. ხელოვნებაში — გამოსახულების საგანი: მხატვრის წინ მდგარი მენატურე ვაჟი ან ქალი.

**მიწური** — მეტ ნაწილად მიწაში მოთავსებული სახლი, სადგომი.

**მოღერნი** (ფრან.) — მიმართულება ხელოვნებაში (უმათვრესად არქიტექტურაში), რომელიც გავრცელდა ევროპის მრავალ ქვეყანაში მე-19 ს-ის ბოლოს და მე-20 ს-ის დასაწყისში და წინ უსწრებდა კონსტრუქტივიზმს. მოღერნისტული ხელოვნების მიმდევარნი ცდილობდნენ შეექმნათ ახალი სტილი და საზგასმით იყენებდნენ არქიტექტურული ელემენტების მიღებული წყობის ნებესმიერი გარდაქმით შექმნილ მანერულ ფორმებს. სამკაულში ბატონობდა სიმბოლიკა, ცალკეული ფორმე-

**მიწნა** — რაიმეთი (ქვით, ლოდით, სვეტით, მიწაყრილით და ა. შ.) გამოყოფილი საზღვარი.

**მიკრები კოლექტორი** — 1. წყალსადენის, ვაზგაყვანილობის და სხვა დანიშნულების კაბელების ჩასაწყობი მიწისქვეშა გალერეა. 2. ჩამდინარე წყლების შემკრები და სარინი მილგაყვანილობა.

**მოთავსირი** — აივნის, კიბის და მისთ. შემომზღუდავი, სშირად ცხაური კონსტრუქცია.

ბისა და მოტივების სტილიზაცია. ამასთან ერთად მოდერნი სასიათღება უკიდურესი ინდივიდუალიზმით.

**მოდული** (ლათ.) — მსახვარი; ბირობითი სიდიდე ან ნაგებობის ელემენტი, რომელიც შენობის ძირითადი ნაწილების ჯერადობის განსაზღვრის მიზნით მიღებულია ზომის ერთეულად. კლასიკურ არქიტექტურულ ორდერში მოდული სვეტის ქვედა ნაწილის რადიუსია. თანამედროვე მშენებლობაში ერთიანი მოდული ხელს უწყობს შენობათა ნაწილების ტიპიზაციასა და სტანდარტიზაციას.

**მოდულიონი** (იტ.) — არქიტექტურულად დამუშავებული კონსოლი, რომელზედაც დაყრდნობილია კორინთული ან კომპოზიტური ორდერის კარნიზის დამაგვირგვინებელი ნაწილი.

**მოდულის სისტემა** — სისტემა, რომელიც შენობის სტრუქტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. მოდულის სისტემა გულისხმობს სამშენებლო დეტალების ზომების თანაფარდობას ზომის განსაზღვრული ერთეულის — მოდულის მიმართ. მოდულის სისტემას გან-

საკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსხვილელემენტური მშენებლობაში.

**მოედანი** — განაშენიანებისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი დანიშნულების, არქიტექტურულად ორგანიზებული სივრცე დასახლებულ ადგილში.

„ათ დღემდის ისმის ყოველგან  
სმა წინწილისა, ებნისა,  
მოედანს მღერა, ბურთობა,  
დგრიალი ცხენთა დვენისა“.  
(ვეფხ.)

**მოედანი სამშენებლო** — ის. სამშენებლო მოედანი.

**მოზაიკა** — სართი, სოფის კენჭი; მონუმენტური ფერწერის სახეობა, სადაც გამოსახულება მიიღება სხვადასხვა მასალის (მარმარილოს, მინის, კენჭების და მისთ.) ნაჭრების მჭიდროდ შეერთებით; ასეთი წესით მიღებული კედლის, იატაკის და სხვა ზედაპირი.

**მოლარტყვა** — ლარტყვით შედგენილი ცხაური.

**მოლი** — ბაო, ვაზონი; მოკლედ და თანაბრად შემოკაფული, ბაზანით გამოვანებული ზოლი პარკ-

ში, მოკლანსე, ენოში და ა. შ.

**მონლიშობი** (ფრან.) — იგივეა, რაც არქიტექტურული პროფილები.


**მონასტერი** — ლავრა; ხშირად გალაგნით შემოსაზღვრული ტერიტორია, რომელზედაც განლაგებულია ბერ-მონაზონთა თემის ძირითადი ნაგებობანი.

**მონასაზი** — იგივეა, რაც აბრისი.

**მონოგრამა** (ფრან.) — 1. ვენზელი; ხვეულწერილით შესრულებული ინიციალები. 2. პირობითი ნიშანი (ყვავილის, ცხოველის ან სხვა გამოსახულება), რომელიც ზოგჯერ ცვლის მხატვრის, გრაფიორის ხელმოწერას.

**მონოლითი** (ბერძ.) — ქვის მთლიანი ზოდი; ქვის მთლიან ზოდში გამოთლილი ნაგებობა (ძეგლი) ან მისი ნაწილი (სვეტი და სხვ.).

**მონოპტეროსი** (ბერძ.) — ანტიკური ტაძარი, რომელიც წარმოადგენს წრიულად განლაგებულ გადახურულ სვეტნარს, შეყენებულს სიმაღლეზე საფეხურებით დანაწევრებულ მრგვალ პოდიუმზე.



**მონტაჟი** (ფრან.) — პროექტის საფუძველზე ნაგებობის ან მისი ნაწილის ადგილზე აწყობა (მაგ., ანაკრების სახლის მონტაჟი, კარკასის მონტაჟი და ა. შ.).

**მონუმენტი** (ლათ.) — ისტორიული ამბის აღსანიშნავად ან გამოჩენილი პიროვნების უკვდავსაყოფად აღმართული მემორიალური ნაგებობა.

**მონუმენტური ფერწერა** — ფერწერა, რომელიც ძირითად არქიტექტურასთან არის დაკავშირებული. უმთავრესად, ფერწერა კედელზე (მაგ., ფრესკა).

**მონუმენტურობა** (ლათ.) — სახვითი ხელოვნების ნაწარმოების თვისება — სიდიადე, მნიშვნელობა, შთამბეჭდავი პროპორციები.



**მოპირკეთება** — პირნაკეთობა; ბუნებრივი ან ხელოვნური მასალებით ამოყვანილი ნაგებობის გარე, საფარველი შრე, რომელიც მოპირკეთებულ შედაპირს იცავს მექანიკური და ატმოსფერული ზეგავლენისაგან და ემსახურება შენობის არქიტექტურული გაფორმების მიზნებს.

**მორბი (ფრან.)** — შენობა, სადაც დასვენებენ სოლმე უცნობ მიცვალებულთა გვამებს, რათა პატრონებმა მიაკითხონ და იცნონ. ამავე შენობაში მიცვალებულის გვამს ამზადებენ დასასაფლავებლად და კრემაციისათვის.

**შორი** — ტოტემგაცლილი და უწყეშად გათილი მსხვილი ხე.


**მოსაპირკეთებელი ფილა** — კედლის, იატაკის და შენობის სხვა ნაწილების შესამოსავად გამოიხმული სამშენებლო ნაკეთობა, რომელსაც აქვს როგორც დაცვითი, ისე დეკორაციული მნიშვნელობა.

**მოსაცდელი ღარბაზი** — დიდი ზომის სადგომი საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც იცდის ხალხის დიდი რაოდენობა (მაგ., კინოთეატრში, სადგურზე).

**მოსახლეობის სიმჭიდროვე** — ვარკვეული ტერიტორიის — სოფლის, ქალაქის, კვარტალის და ა. შ. დასახლების სისშირის მანვენებელი, რომელიც გამოისახება მოსახლეობის რიცხვის შეფარდებით სათანადო ფართობთან.

**მოსელი** — კუთხ. სათავე, თავსე, თავბანდი; „კოჭი, სართულის ძელი“ (ღ. ჩუბინ.).

**მოტელი (ინგლ.)** — ავტოტურისტებისათვის განკუთვნილი სასტუმრო, რომელიც აერთიანებს ძირითად, საძილე კორპუსს, ჩვეული მომსახურებით, ავტოსადგომებს და მანქანების პროფილაქტიკისა და შეკეთებისათვის საჭირო სახელოსნოებს.



**მოქანდაკე** — სკულპტორი; ხელოვანი, რომელიც აქანდაკებს, ქერწავს.

**მონატულობა** — კედელზე, ჭერზე და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებზე შესრულებული ფერწერა.

**მრავალფრთიანი თალი** — თალი, რომლის წარმმართველი რამდენიმე რკალისაგან შედგება. იხ. სამფრთიანი თალი.

**მსახვარი** — იგივეა, რაც მოღული.

**მტილი** — ძვ. ბალი.

**მუშპანი** — აყარი, კადონი, ქანდარა, ხარისა, ჭკორი; განივად გადაებული ძელი.

**მულიაში** (ფრან.) — თაბაშირში ან სანთელში ჩამოსხმული მოღელი.

**მულიურები** — იგივეა, რაც მოლიურები.

**მურყვამი** — 1. ძვ. „კოშკზე და გოდოლზე უწინარეს, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ასეთ ნაგებობას მურყვამი ეწოდებოდა“ (ივ. ჯავ.). 2. კუთხ. ოთხკუთხა კოშკის სვანეთში შემონახული დასახელება.

**მუტული** (ლათ.) დორიული კარნიზის დამაგვირგვინებელი ნაწი-

ლის ქვეშ მოთავსებული სწორკუთხა, ბრტყელი შვერილი.


**მუშაბალი** — „ნალი, სათხელელი, სართხმული, ძელი კედელში დატანებული სიმაგრისათვის“ (დ. ჩუბინ.).

**მუშარაბი** — ფერადი მინით შემიწული მუშაბანი.

**მღვიმე** — პარკული ნაგებობა (პავილიონი, წყარო, დეკორაციული ელემენტი კედელში), რომელიც ბუნებრივი მღვიმის, გამოქვაბულის იმიტაციას წარმოადგენს.

**მყოღოლი** — ვაზით დაფარული ფანჩატური.

**მევილდა თალი** — ბრტყელი რკალის, დაუჭიწავი მშვილდის მოხაზულობის თალი.



**მეშენებლობა** — 1. ნაგებობათა აღმართვის ხელოვნების თეორია და პრაქტიკა. 2. ნაგებობის აღმართვის პროცესი. 3. მშენებარე ნაგებობა ან ნაგებობათა ჯგუფი; ტერიტორია, რომელიც მშენებარე ნაგებობებს უკავია.

მშპრიული განაშენიანება — ისეთი სახის განაშენიანება, სადაც სახლები, როგორც წესი, ქუჩის წითელი ხაზის გასწვრივ არის განლაგებული.

მხარი — კლიროსი; „არდაბაგს ორთავ მხრივ, აქეთ-იქით, სადაც მგალობლები და მეღვინეები იდგნენ ხოლმე მხარი ეწოდებოდა“

(ივ. ჯავ.)

მხატვრობა — სახვითი ხელოვნების სახეობა -- ქალღმერთ, ტილოზე, კედელზე და მისთ. დანქარით, საღებავებით, მოზაიკით და ა. შ. გარემოცვის ან რაიმე იდეის ასახვის ხელოვნება. ის ფერწერა, გრაფიკა, მონუმენტური ფერწერა, გრაფიურა, ფრესკა, მოზაიკა, პეიზაჟური ფერწერა, ნატიურმორტი, პორტრეტი, აკვარელი, გუაში.

— 6 —

ნაგავსადენი — ნავავსარინი; საგანგებო კამერაში ნავვის ჩასაშვები არხი (მილი) მრავალსართულიან შენობაში.

ნაგავსარინი — იგივეა, რაც ნავავსადენი.

ნაგებობა — ნაგებობა, ნაშენი, შენობა; ყველაფერი ის, რაც აგებულია, აშენებულია.

ნაგებობა — იგივეა, რაც ნაგებობა.

ნაგებობის — აფრაკი, ყუაფიცარი, იალოჯი, ნამორი, ნაშუარი; ცალმხრივ პირმრუდე ფიცარი.

ნავითსადგური — ის. ნავსადგური.

ნავითსაყუდარი — ძვ. იგივეა, რაც ნავსადგური.

ნავითსაყული — ძვ. იგივეა, რაც ნავსადგური.

ნავი — ნაოსი, ნეფი; ბაზილიკის ერთ-ერთი გრძივ (ზოგჯერ, განივ) ნაწილთაგანი, რომელიც გამოყოფილია სვეტების რიგებით.

ნავსადგური — პორტი; ნაგებობა გემების სადგომად.

ნავსაშენი — გემთსაშენი, ვერფი; საწარმო, სადაც აშენებენ და არემონტებენ გემებს.






**ნაკვეთი საპარმილაჟო** — ის. საკარმიდამო ნაკვეთი.

**ნაკერი** საღეფორმაციო — ის. საღეფორმაციო ნაკერი.

**ნალიბ** — ბედელი; მეტნაწილად ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოში პურეულის ან სიმინდის შესანახად. „საღომე სახლი, ფაცხა“ (საბა).


**ნალისებრი თალი** — თალი, რომელიც ფორმით ნალს წააგავს. მისი წარმმართველი წარმოადგენს ნახევარწრიულ რკალს, რომელიც ცენტრის ქვეით თალის შუაგულსაკენ დაცერილი სწორი მონაკვეთებით გრძელდება.



**ნამორი** — აფრაკი, იაღლოჯი, ნაგვერდული, ნაშური; პირმარუდე ფიცარი. „ძელის მონაკვეთი, გინა მომ(გ)რგვალეზული“ (საბა).


**ნამოსახლარი** — ნახახლარი; ძველი დასახლებების ნაშთები.

**ნაოთხალი ლილვი** — არქიტექტურული პროფილი, რომელსაც წრის მეოთხედის მოხაზულობა აქვს.



**ნაოსი (ბერძ)**. — 1. სეკოსი; ბერძნული ტაძრის მთავარი სათავსი (შეესატყვისება ლათინურ ცელას). 2. ივივა, რაც ნავი.

**ნარანდი** — 1. ნარიმანი; ფიცარზე ან ძელზე ამოღებული სხვადასხვა ზომისა თუ ფორმის გრძივი ღარი, რომელშიაც ჯდება მეზობელი ფიცრის გასწვრივი შვერილი.



2. ხის, ლითონის ან რკინაბეტონის ხიმინჯი, რომელსაც სხვა ამგვარ ხიმინჯებთან შესაერთებლად ერთ ვეერდზე აქვს გასწვრივი ღარი, მეორეზე კი ამოღებულ კბილი. იყენებენ პიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის დროს მცირე წყალგამტარ კედლის შესაქმნელად.

ნარიმანდი — იგივეა, რაც ნარანდი.

ნახსენარი — იგივეა, რაც ნამოსახლარი.

ნასოფლარი — ძველი სოფლის ნაშთები. „სოფელყოფილი“ (საბა).

ნატიშრმორტი (ფრან.) — საყოფაცხოვრებო საგნების, ყვავილების, მოკლული ფრინველის, თევზის და სხვ. ფერწერული გამოსახულება.

ნატურა (ლათ.) — ხელოვნებაში — რეალური სინამდვილე, რომელიც მხატვრისათვის ასახვის საგანს წარმოადგენს.

ნაფენი — ფენილი; გადახურვის კოჭებზე, წოლანებზე, ნივნივებზე და მისთ. მიჯრით დაწყობილი ფიცრების, ფილების, ძელეების რივი.

ნაწოტი — ტყე; ფიცრის ნაწილი ანახეთი. „ნეთ ანახეთი, ანათალი“ (საბა).

ნაქალაქარი — ნაქალაქევი; ძველი ქალაქის ნაშთები.

ნაქალაქევი — იგივეა, რაც ნაქალაქარი.

ნაქანდაკარი — ნაქანდაკევი, ნაქანდაკები, ნატიფი, ქანდაკება, სკულპტურა; მკვრივ ან პლასტიკურ მასალაში შესრულებული გამოსახულება.

ნაქანდაკევი — იგივეა, რაც ნაქანდაკარი.

ნაქანდაკევი — იგივეა, რაც ნაქანდაკარი.

ნაქულები — ძველი ბაზრის ადგილი, ნაშთი.

ნაშენი — იგივეა, რაც ნაგები.


ნაშური — იგივეა, რაც ნამორა.

ნაძმრწი — იგივეა, რაც ნატიფი.


ნახეპარსარდავი — მიწის ზედაპირის მიმართ თავის სიმაღლის ნახევარზე ნაკლებად ჩაღრმავებული სართული.

**ნახევარსვეტი** — აყრდნობილი სვეტი, პილასტრი, კედლის სვეტი; სვეტი, რომელიც კედლის სიბრტყიდან თავის საფულისხმო სისქის ნახევარზეა გამოწეული.

**ნახევარფონტონი** — ფონტონის სახეობა, რომელშიაც ამოღებულია პორიზონტალური ზოლურას შუა ნაწილი.



**ნახევარწრიული თალი** — კოლორი; ნახევარწრის მოხაზულობის თალი.



**ნახევარწრიული კამარა** — ცილინდრული კამარა; კამარა, რომლის წარმმართველი ნახევარწრის მოხაზულობისაა.

**ნაპროკოლისი** (ბერძ.) — ტიკური ქალაქის განაპირას მოწყობილი სასაფლაო.

**ნარვიურა** (ლათ) — გურტი; კამარის შიდა ზედაპირის დამანაწევრებელი პროფილირებული ზოლი, წიბო.


**ნარვიურინანი კამარა** — ნერვიურიან კარკასზე ამოყვანილი კამარა.



**ნაფი** — ნავი, ნაოსი; ბაზილიკური შენობის ერთ-ერთი გრძივ ნაწილაგანი.

**ნაჭა** — თხლად დაწეული ჭილობი. „სუფთა ჭილოფი“ (საბა). იხ. კელმენი.

**ნივნივი** — კაკუტი, ლარძაყონი, მარწუხი, ჩალანგარი, ჯალაბდარი; ერთი იმ ორ დასრილ ძელთაგან, რომლებიც ზედა ბოლოთი ერთმანეთთან არიან შეერთებული, ხოლო ქვედა ბოლოებით კედელს ეყრდნობიან და ქმნიან სახურავის ჩონჩხს.




**ნიმფეშვი** (ბერძ.) — ბუნების ძალების განმასახიერებელი ანტიკური ქალღმერთებისადმი — ნიმფებისადმი მიძღვნილი ნაგებობა (შადრევანი, აუზი).

**ნიშარა** — 1. ბაღ-პარკული ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს პარაბოლის ფორმის გადახურვის მქონე ესტრადას ღია ცისქვეშ კონცერტებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. 2. სანტექნიკური ჭურჭელი საპირფარეშოში.

**ნიში** (ფრან.) — მანდური, წალო; სწორკუთხა, მრავალკუთხა ან წრიული მოხაზულობის გეგმის

მქონე შეღრმავება კედელში, რომელიც გამოიყენება დეკორაციული (ქანდაკების დასადგმელად) ან უტილიტარული (განჯინის მოსაწყობად) მიზნებისათვის.



**ნიშნული** — მიწის ზედაპირის განსაზღვრული წერტილის სიმაღლის (ზღვის დონიდან) აღმნიშვნელი, მეტრებში გამოსახული რიცხვი ან ასეთივე აღმნიშვნელი რიცხვი რაიმე სხვა წერტილის ან დონის მიმართ, რომლის სიმაღლე პირობით ნულად არის მიჩნეული. იხ. წითელი ნიშნული, შავი ნიშნული.

**ნიშმა** (ლათ.) — წესი, ზუსტი მითითება. გეგმარებაში — ამა თუ იმ შენობის სათავსების, კონსტრუქციების, გზების, მიწის ნაკვე-

თის დადგენილი სიდიდეები, ზომები; მოსახლეობის სიმჭიდროვის დასაშვები სიდიდეები; სხვადასხვა სახის მითითებანი ქალაქგეგმარებაში, შენობის ორიენტაცია და ა. შ.

ნორმატივი (ლათ.) — ერთეულზე მოსული რისამე რაოდენო-

ბა. მაგ., ერთ სულზე მოსული ბელი ფართის რაოდენობა, სანიტარულ-ჰიგიენური დანადგარების რაოდენობა საზოგადოებრივ ან სამრეწველო შენობაში აღმინათა გარკვეულ რიცხვზე და ა. შ.

ნოხი — ორხევა; გრძელი და ვიწრო ხალიჩა, საფენი.

— ო —

ობელისკი (ბერძ.) — მონუმენტის სახეობა, რომელიც წარმოადგენს ზევითკენ დავიწროებულ ქვის წახნაგოვან ბოძს პირამიდულად წაწვეტებული დაბოლოებით.

ობსერვატორია (ლათ.) — შენობა ან შენობათა ჯგუფი, სადაც მოთავსებულია ასტრონომიული, მეტეოროლოგიური, სეისმური და მისთ. დაკვირვებების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოები.

ოდა — 1. ოთახი, სენაკი. 2. იგივეა, რაც ოდა-სახლი. 3. კუთხ. ქართლში — ბოსლის ის ნაწილი, სადაც საქონელი არ იმყოფება.


ოდა-სახლი — ხის ან ქვის ბოძებზე შეყენებული ფიცრული სახლი.

ოდეონი (ბერძ.) — მუსიკალური წარმოდგენებისა და დეკლამაციისათვის განკუთვნილი წრიული მოხაზულობის სათავსი ბერძნულ თეატრში.

ოვები (ლათ.) — ოინკები; ჩვეულებრივ, ნაოთხალ ლილვზე გამოყვანილი ჩუქურთმა, რომელიც მიიღება ოვალური ამონექილობების, ისრისებრი წიბოებისა და ფოთლოვანი მოტივების შენაცვლებით.

ოთახი — სადგომი, სათავსი; საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის ნაწილი, რომელიც კედლებით გამოყოფილ სივრცეს წარმოადგენს.

ოქტასტილი (ლათ.) — ბერძნული ტაძრის სახეობა, რომლის



მთავარ ფასადზე რვა სვეტია განლაგებული.

**ონგალი** — ორკაბი; ორად განშტოებული ხის საყრდენი. „ქვეშ (ე) შესადგმელი კაპედი ბოძივით“ (საბა).

**ონჰარი** — საგუბარი, კაშხალი, რაბი, ოფო, სათავანი, ჩნდე, ჯუბირი; საგანგებო ნაგებობა, რომელიც წყლის დინების გასწვრივ აიგება და წყლის დონეს ამალვებს.

**ონისტომოსი** (ბერძ.) — სადგომი ბერძნულ ტაძარში, რომელიც განლაგებულია მთავარი შესასვლელის საწინააღმდეგო მხარეს და დამოუკიდებელი გასასვლელი აქვს.

**ონანჰირმა** (ფრან.) — სათბური; საგანგებო შენობა, სადაც სინათლისა და სითბოს საჭირო პირობების დაცვით ხელოვნურად

აშენებენ თბილი ქვეყნების სვეტნარეულობას.

**ორდერი** არქიტექტურული — იხ. არქიტექტურული ორდერი.

**ორთავი** — 1. ზღურბლი, ბჟე. დირე, კარობანი, კარაბინი, კარნაგლა; კარის გადასასვლელზე დადებული ძელი. 2. ანყოლი; კარის დიობის (ჩარჩოს) შიდა გვერდითი სიბრტყეები. 3. კარძელი, ზღუდარი; კარის დიობის შემკვრელი ზედა ძელი.

**ორპარედი** — ორსაგდულიანი კარი.

**ორპაპი** — იგივეა, რაც ონგალი.

**ორმაგი სიმრუდის კამარა** — კამარა, რომელიც მიიღება მრუდსაზოვანი წარმოქმნელის მოძრაობით ასეთივე წარმართველის გასწვრივ.

**ორმო** — მცირე მიხრებული შიწაში.

**ორნამენტი** (ლათ.) — იხ. ჩუქურთმა.

**ორნამენტიკა** (ლათ.) — ამათუ იმ ძეგლის, შენობის სხვადასხვა სახის ორნამენტთა ერთობლიობა.

ორაკი — მთავორიან რელიეფზე საფეხურებად გამოყვანილი ტერასები — ვაკე ადგილები. „მიწა ბაქან-ბაქ(ა)ნად მოვაკებული“ (საბა).

ორტოსტატი (ბერძ.) — ორფოსტატი; ქვის კედლის ქვედა ნაწილის რელიეფით დამუშავებული ვერტიკალური ფილები.

ორფოსტატი (ბერძ.) — იგივეა, რაც ორტოსტატი.

ორღობე — გასასვლელი ორ პარალელურ ღობეს შორის.

ორშუქა ღარბაზი — ორი სართულის სიმაღლე ღარბაზი.

ორქისტრა (ბერძ.) — 1. ბერძნული ტრაგედიის მოქმედი პირობის ან გუნდის გამოსვლისათვის განკუთვნილი წრიული მოხაზულობის ბაქანი ბერძნულ თეატრში. 2. საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილი ნახევარწრიული ფორმის ბაქანი ბერძნულ თეატრში.

ორხაო — იგივეა, რაც ორხოვა.

ორხოვა — ნოსი, ორხაო; ხაოიანი საფენი, გრძელი და ვიწრო ხალიჩა.

ოსპარიში (ლათ.) — მსპარიში ლეზის ფერფლის შიქვლების შესანახი ქვის ან თიხის ყუთი. 2. ნეშტის მოსათავსებელი ნიშებიანი კედელი.

ოტელი (ფრან.) — 1. სასტუმრო; ქალაქში დროებით ჩამოსულთა საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა. 2. საცხოვრებელი ოთახების, საზეიმო დარბაზებისა და სასამსახურო სათავსების შემცველი სახლის დასახელება ფრანგულ არქიტექტურაში.

ოფო — იგივეა, რაც საგუბარი, ონჯარი, ჩნდე, ჯებირი, ხერვი. „მცირე საგუბარი წყალთა“ (დ. ჩუბენ.).

ოფორტი (ფრან.) — ლითონის ზედაპირის მქავეებით ამოყვანის ვხით მიღებული გრაფიურა.


ოქოქი — კუთხ. ქოხი, ხელა, ხუხულა; ფიჩხით ან ჩაღით დახურული სოფლის სახლი დასავლეთ საქართველოში.

ოქროს კვითი — ოქროს კვეთის პროპორციები საფუძვლად უდევს მსოფლიო არქიტექტურის, კერძოდ — ანტიკური და აღორძინების ხანის არქიტექტურის, ბევრ

ნაწარმოებს. მისი არსი მდგომარეობს AC მონაკვეთის ორ ნაწილად ისეთ დაყოფაში, რომელიც იძლევა შემდეგ შეფარდებას:

$$\frac{BC}{AB} = \frac{AB}{AC}$$


ეს შეფარდება დაახლოებით უდრის  $\frac{3}{5}$ ,  $\frac{5}{8}$ ,  $\frac{8}{13}$  და ა. შ.



**ოქსინო** — ოქროსოვილი ხავერდის ფარდავი.

„ტარიელ დაჯდა საჯდომსა ოქსინო — ვარდაგებულსა“ (ვეფხ.).

**ოვინჯალი** — კუთხ. ხის მოწყობილობა შუაცეცხლის თავზე, რომელზედაც ჯაჭვია შეკიდული (გურიასა და იმერეთში ვაგერცელებული ტერმინი).



**ოვინარი** — აზარმაცი; ჭის თავზე დამაგრებული ბერკეტი წყლის ამოსატანად. საერთოდ, სიმძიმის ასაწევი ბერკეტული მოწყობილობა.

### — 3 —

**პაპოლა** (ინგ.) — ბუდისტუდი საკულტო, მემორიალური (ჩვეულებრივ, მრავალთარუსიანი, კოშკურა) ნაგებობა, სადაც ინახება საკულტო რელიკვიები. ნაგებობის ეს ტიპი ვაგერცელებულია ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში.

- პაპილიონი** (ფრან.) — 1. მსუბუქი შენობა ბალ-პარკებში.  
2. ცალკე შენობა ან მინაშენი სახელდასელო ვაჭრობისათვის.  
3. გამთენის რომელიმე განყოფილებისადმი განკუთვნილი შენობა.  
4. კინო ან ფოტოგადაღებისათვის






სპეციალურად მოწყობილი შენობა.

რებელი ოთახები — თულსე.

ბაკალაჟი (გერმ.) — შარავის ქვის საფუძვლის სახეობა. შედგება ღორღით მოშანდაკებულ და მოსწორებულ მიწის ვაკისზე დალაგებული ქვებისგან.



ბაკპაუზი (გერმ.) — რკინიგზის სადგურთან ან ნავსადგურთან ტვირთის დროებითი შესანახი სასაწყობო შენობა.

ბალესტრა (ბერძ.) — ფიზიკური აღზრდის სკოლა ანტიკურ საბერძნეთში, რომელიც სპორტულ ნაგებობათა კომპლექსს მოიცავდა.

ბალატა (ლათ.) — 1. ოთახი საავადმყოფოში, სადაც ავადმყოფები წვანან. 2. იგივეა, რაც პალატი.

ბალმეტა (ფრან.) — ფერწერული ან სკულპტურული ორნამენტი, რომელსაც საფუძვლად უდევს მცენარის (ჩვეულებრივ, პალმის) ფოთლის სტილიზებული გამოხატულება. ბალმეტა ფართოდ იყო გამოყენებული წინა აზიის ქვეყნების, ანტიკური საბერძნეთისა და შემდგომში ევროპის არქიტექტურაში.

ბალატი (ლათ.) — 1. ძვ. სასახლის აღმნიშვნელი ტერმინი შუასაუკუნეების ქართულში „...ამ დროს, მე-11, მე-12 სს-ში პალატი გვაქვს სასახლის აღსანიშნავად“ (ივ. ჯავ.). 2. დარბაზი სასახლეში. საგანგებოდ, ძვირფასად მორთული ოთახი.

ბალანცი (იტ.) — იტალიური სასახლის სახეობა, რომელიც ჩამოყალიბდა აღორძინების ხანაში და წარმოადგენს ორ ან სამსართულიან შენობას, სადაც დამხმარე სადგომები განლაგებულია ქვედა, ხოლო პარადული და საცხოვ-

ბალი — ავარტანი, მანა, ჩხუტი; მოკლე და მსხვილი ჯოხი, რომელსაც ბოლო წაწვეტებული აქვს მიწაში ჩასარტობად. შდრ. ანწუხი, მარგილი, სარი.

**პანდატივი** (ფრან.) — აფრა, ყურე; კამარის სფერული სამკუთხედის ფორმის კონსტრუქციული ელემენტი, რომლის მეშვეობითაც ზორციელდება გადასვლა კვადრატული ფუძიდან წრიულ გუმბათისაკენ.


**პანდუქსიონი** (ბერძ.) — ქარვასლა; სასტუმრო მგზავრებისა და ქარავნებისათვის.

**პანდუსი** (ფრან.) — სწორი ან მრუდხაზოვანი მოხაზულობის დახრილი სიბრტყე, რომელიც სცვლის კიბეს და, სწორად, გამიწვლია ტრანსპორტის ასასვლელად.

**პანელი** (გერმ.) — 1. მოპირკეთებით გამოყოფილი კედლის ქვედა ნაწილი ოთახში. 2. კედლის შემადგენელი ელემენტი ანაკრებ მშენებლობაში, რომელიც წარმოადგენს წიბოზე დადგმულ ფილასს. 3. გადახურვის ანაკრები ელემენტი დიდი ზომის რკინაბეტონის ფილის სახით. 4. ტროტუარი; ასფალტის, ქვის ან ხის ფენილი ქუჩის ნაპირზე ქვეითათ მოსიარულეთათვის.

**პანელური გადახურვა** — პანელებით (3) შედგენილი სათულშუა გადახურვა.

**პანთეონი** (ბერძ.) — ღმერთის ტაძარი“ ძველ რომში. 2. გამოჩენილი ადამიანების საძვლე.




**პანო** (ფრან.) — ძერწული ან სხვა სახის ჩარჩოთი შემოსაზღვრული კედლის ნაწილი, რომელიც სწორად შევსებულია რელიეფით, ფერწერით ან ტილოზე შესრულებული სურათით.

**პანორამა** (ბერძ.) — მოცულობრივი გამოსახულებებით დამუშავებული წინა პლანის მქონე სურათი, რომელიც წრიული შენობის კედელზეა მოთავსებული და ზედა სინათლით ნათდება და რომელიც შენობაში მყოფ მაყურებელს ჰორიზონტის მიერ წრეზე რეალური სივრცის ილუზიას უქმნის.

პარაბოლური თალი — თალი, რომელსაც პარაბოლის მოსაზრება აქვს.

პარაპეტი (იჭ.) — გისონი; სახურავის, აივნის, ხიდის და მისთ. შემომზღუდავი დაბალი კედელი, რომელიც, მეტ ნაწილად, ყრუ, გაუმჭოლ ზღუდეს წარმოადგენს.



პარასკენიშვი (ბერძ.) — ანტიკური თეატრის შენობის გამოწეული ნაწილები, რომელნიც გვერდებიდან ზღუდავენ სცენას, ემსახურებიან აკუსტიკის გაუმჯობესების მიზნებს და, შესაძლოა, გამოიყენებოდა დეკორაციების ან სხვა თეატრალური ინვენტარის შესანახად.

პარასტაზისი (ბერძ.) — ბერძნული სახლის შიდა ეზოს შესასვლელში მოთავსებული ბოძების ან სვეტების რივი.

პარკეტი (ფრან.) — პატარა ხე-მის, ოთხკუთხა ან სხვა ფორმის ფორმის ბრტყელი ფიცრები იატაკის შესაქმნელად. ასეთი ფიცრებით შექმნილი იატაკი.

პარკი (ფრან.) — ბუნებრივი მცენარეებით ან ხელოვნური ნარგავებით, ბილიკებით, ხეივანებით, წყალსატევებით, გასართობი ბაქნებითა და მისთ. დაკავებული ტერიტორია. ქალაქის ბაღთან შედარებით პარკი გამოირჩევა დიდი ზომით და ნაგებობათა კომპლექსის სირთულით. იხ. ლანდშაფტური პ., პეიზაჟური პ., რეგულარული პ.

პარმალი — ღია ან გადახურული ბაქანი სახლის შესასვლელთან. შდრ კარსელი.

პარტა (ლათ.) — მოდულის 1/12 ნაწილი.

პარტიმერი (ფრან.) — 1. მაყურებელთა დარბაზის ნაწილი, სადაც მაყურებელთა ადგილები ორკესტრის ორმოს ბარეის პარალელურ ან კონცენტრიულ რიგებად არის განლაგებული. 2. პარკის ღია, გაშლილი ადგილი აუზის, წყლის ზედაპირის, ყვავილნარის და მისთ. სახით.



**პარტეზა** (ფრან.) — მცირე ზომის მიწის ნაკვეთი.

**პასაჟი** (ფრან.) — სავაჭრო შენობის სახეობა, რომლის სათავსები განლაგებულია, ჩვეულებრივ, ზემოდან განათებული და პარალელურ ქუჩებზე გამავალ გალერეის ორივე მხარესზე.

**პასი** (ფრან.) — გოთიკური სამკაულის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სამფურცლა მცენარის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს.

**პასტადა** (ბერძ.) — 1. ერთმხრივ გახსნილი სათავსი; გვერდებიდან კედლებით შემოსაზღვრული პორტიკი. 2. ძველი ბერძნული სახლის სათავსი, რომლის მეშვეობით საცხოვრებელი ოთახები შიდა ოსოს უკავშირდებოდა.

**პატენაჟი** — სანგარი; ვიწრო და ვრცელი ოხრილი.

**პატარნოსტერი** (გერმ.) — შენობის ვერტიკალური ტრანსპორტის სახეობა, რომელიც წარმოადგენს განუწყვეტლივ მოძრავ ბაგირზე შეკიდულ ღია კაბინების რიგს.

**პატრონიკე** (ბერძ.) — საპატრონიკე, პატრონიკონი; ტაძარში,

მეორე იარუსზე, ანტრესოლის მსგავსად მოწყობილი ვიწრო საიანი მანდილოსნებისათვის.

**პატრონიკონი** (ბერძ.) — იგივეა, რაც პატრონიკე.

**პატროში** — სანთლის ან ჭრაქის საგულე.

**პეიზაჟი** (ფრან.) — ლანდშაფტი; 1. აღვილმდებარეობის ხასიათი; ხედი ვარემომცველ ბუნებაზე. 2. მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ბუნებას ასახავს.

**პეიზაჟისტი** (ფრან.) — მხატვარი, რომელიც დახელოვნებულია პეიზაჟის დარგში.

**პეიზაჟური პარკი** — ლანდშაფტური პარკი; არარეგულარული დაგეგმარების პარკი, რომელიც მეტად წააგავს ბუნებრივ ადგილს და, ხშირად, მოიცავს ტყეს პატარა მინდვრებით, სეკვებს და მისთ.


**პენლატივი** (ფრან.) — იგივეა, რაც პანდატივი.

**პენტასტილი** (ბერძ.) — ბერძნული ტაძრის სახეობა, ხუთსვეტიანი პორტიკით მთავარ ფასადზე.

**პერგოლა** (იტ.) — თალარი; ბად-პარკული ნაგებობა. იგი წარმოადგენს ზემოდან მოლარტყევით შეერთებულ თაღების ან ჩარჩოების რიგს, რომლის ირგვლივ დარგულია ხვიარა მცენარეულობა.

**პერიმეტრიული განაშენიანება** — ისეთი სახის განაშენიანება, სადაც სახლები კვარტალის პერიმეტრზეა განლაგებული.

**პერიპტეროსი** (ბერძ.) — ანტიკური ტაძრის ნაირსახეობა, რომლის ძირითადი სადგომი (ნაოსი) მთელ პერიმეტრზე ვარშემორტყმულია სვეტნარით.




**პერისტაზისი** (ბერძ.) — პტერონი; სვეტნარი, რომელიც ვარს ერტყმის ანტიკური ტაძარს.



**პერისტილი** (ბერძ.) — სვეტნარით ვარშემორტყმული შიდა ეზო ან მოედანი; თვით სვეტნარი, რომელიც

შელიც ვარს ერტყმის ანტიკური ტაძარს. ელანს ან ეზოს. **პარონი** (ფრან.) — რკინიგზის ლიანდაგის ვარსწვრივ მოწყობილი ბაქანი.

**პარსპექტიული თალი** — კედლის სიღრმისკენ თანამიმდევრულად შემცირებული რადიუსის მქონე თაღების ერთობლიობა.




**პიედესტალი** (ფრან.) — 1. კვარცხლბეკი, პოსტამენტი; სკულპტურის, ვარსის, ობელისკის ქვესადგამი. 2. არქიტექტურული ორდერის ქვედა, საყრდენი ნაწილი.



პიპნოსტილი (ბერძ.) ანტიკური ტაძარი, რომლის სვეტებს შორის მანძილი სვეტის 1,5-2 დიამეტრის ტოლია.

პილასტრა (იტ.) — აგრძობს სვეტის კედლის სვეტი; კედლის სიბრტყიდან გამოწეული ვერტიკალური ზოლი, რომელიც იმეორებს რომელიმე ორდერის სვეტის მწკობრს და წარმოადგენს დეკორაციულ ელემენტს ან კედლის კონსტრუქციულ შესქელებას.


პილონი (ბერძ.) — 1. კუთხე; მასიური ბოძი, რომელიც წარმოადგენს კამარის, გუმბათის ან სხვა კონსტრუქციის ერთ-ერთ საყრდენს. 2. ხიდის ბურჯი. 3. ტრაპეციის კვეთის მქონე, მონუმენტური კოშკური მოცულობა. პილონები, ჩვეულებრივ, ორი მხრიდან ზღუდავს შენობის შესასვლელს.



**პინაკლი** (ფრან.) — რომანული და ვოთიკური არქიტექტურის დეკორაციული ელემენტი, რომელიც წარმოადგენს წვეტიანი პირამიდით დაგვირგვინებულ კოშკურას. იგი ხშირად მთავრდება ფიალით და შემკულია კრამბებით.

**პინაკოტიპა** (ბერძ.) — ფერწერულ ნაწარმოებთა საცავი ძველ საბერძნეთში.

**პირამიდა** (ბერძ.) — ძველი ეგვიპტის აკლამა, რომელიც ამავე სახელწოდების გეომეტრიული ფიგურის ფორმისაა.



**პირამიდული სახურავი** — კარვისებრი სახურავი; მრავალკალთიანი, წვეტიანი სახურავი, რომელსაც პირამიდის ფორმა აქვს.

**პირაპირი** — ორი ნაწილის, დეტალის (მაგ., კედლის და იატაკის, სარკმლის მომიჯნავე ალათების და ა. შ.) მიჯრის საზი.

**პირველსატახტო ქალაქი** — დედაქალაქი, სატახტო ქალაქი; სახელმწიფოს, ქვეყნის მთავარი ქალაქი — უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელი.

**პირი** — 1. ნაგებობის, მისი ნაწილის, რაიმე ნაკეთობის ზედაპირი. 2. კობი; ორიგინალის ხელით შესრულებული ბუკვალური განმეორება. 3. საპირე; კარის ან ფანჯრის დიობის გლუვი ან ბროფილირებული მოჩარჩოება.

**პირის ბაზა** — კუთხ. ბაზა, საწყრე, საპირე; დაბმული საქონლისათვის განკუთვნილი საკვების წნული ან ფიცრული ჩასაყრელი.

**პირნაკმობა** — მოპირკეთება, ბუნებრივი ან ხელოვნური მასალით ამოყვანილი ნაგებობის ან მისი ნაწილების საფარველი შრე, რომელიც ზედაპირს იცავს მექანიკური და ატმოსფერული ზეგავლენისაგან და ემსახურება შენობის ფასადის ან ინტერიერის არქიტექტურული გაფორმების მიზნებს. იხ. ვარუპირნაკეთობა.

**პირონი** (ბერძ.) სამსჭვალე; ლითონის ღერო, რომელიც სპეცი-



აღურ კილოებში მოთავსებით აკავშირებს ქვის ბლოკებს.

პირსი (ინგლ.) — ნავსადგურის ნაგებობა, რომელიც ვიწრო ზოლად არის შეჭრილი წყალში და ორივე ვრდივ მხარეზე ნავსაბმელი აქვს მოწყობილი.

პლანშეტი (ლათ.) — ცალკეული (მოძრავი) ფარებით შედგენილი სცენის იატაკი.

პლასტიკა (ბერძ.) — ძერწვის ხელოვნება, ქანდაკება, სკულპტურა.

პლავონი (ფრან.) — 1. ფერწერით ან რელიეფით შემკული ჭერი ან მისი ნაწილი; ასეთივე კამაროვანი ან გუმბათოვანი გადახურვა. 2. ჭერის სიბტყიდან ოდნავ გამოწეული ან მასთან თანხვედნილი სანაბი არმატურა.

პლანი (ვერმ.) — მოედანი ჯარის სავარჯიშოდ და სააღლუმოდ.

პლანში (ფრან.) — ბანაობისათვის და მზის აბაზანების მისაღებად მოხერხებული, კეთილმოწყობილი

ბოლი სანაბიბო ზოლი ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე.

პლინთი (ბერძ.) — სვეტის ბაზისის ქვედა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს კვადრატულ ან მრავალწახნავა ფილას.

პლინთუსი (ბერძ.) — კედლისა და იატაკის პირაპირის საფარი პროფილირებული თამასა.

პოლიუმში (ბერძ.) — შენობის ძირი მაღალი ბაქნის სახით, რომლის წინა მხარეზე კიბეა მოთავსებული.


პოლიგონი სამშენებლო — სამშენებლო პოლიგონი.

პოლისი (ბერძ.) — მონათმფლობელური ქალაქი-სახელმწიფო ძველ საბერძნეთში.

პოლიქრომი (ბერძ.) — მრავალფერიანობა არქიტექტურის, სკულპტურისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებში.

პორტალი (ლათ.) — კარიბჭე; არქიტექტურულად დამუშავებული შესასვლელი.






**პორტი** (ლათ.) — ნავსადგური; გემების მისასვლელი და სადგომი ნაგებობა.

**პორტიმარა** (ფრან.) — კრეტსამელო; ფარდა კარის ღიობის წინ.

**პორტიკი** (ლათ.) — ფონტონით ან ატიკით დავეირვინებული სვეტნარი, რომელიც სშირად, შენობის მთავარ შესასვლელს წარმოადგენს.



**პორტრეტი** (ფრან.) — სკულპტურული ან სხვაგვარი გამოსახულება.

**პორტუზი** (ფრან.) — მსუბუქი, გადასატანი სავარძელი.

**პოსტამენტი** (იტ.) — იგივეა, რაც პიედესტალი.

**პრესბიტერიონი** (ბერძ.) — აღრექრისტიანული და კათოლიკური ეკლესიის საკურთხევის უკან განლაგებული ნაწილი, სასულიერო პირთათვის განკუთვნილი რიგებად დალაგებული საჯდომებით.

**პრიტანიონი** (ბერძ.) — ქალაქ — სახელმწიფოს თანამდებობის პირების — პრიტანების სამყოფელი საზოგადოებრივი შენობა, სადაც მოთავსებული იყო პოლისის წმინდა, ჩაუქრობელი კერა, იღებდნენ ელჩებს, ეწყობოდა საზეიმო ნადიმები და იკვებებოდნენ ქალაქის წარჩინებული პირები.

**პროპეტი** (ლათ.) — ვეგმარი; ასაშენებელი ნაგებობის, დასახლების ან მისი ნაწილის გრაფიკული ასახვა.

პრომქცია (ლათ.) — რაიმე საგნის ვეგმილი (ვაიმოსახულება) სიბრტყეზე.

პრომენადი (ფრან.) — სასეირნო ადგილი.

პრონაოსი (ბერძ.) — ანტიკური ტაძრის ცალმხრივ გახსნილი ნაწილი პორტიკსა და ნაოსს შორის.

პროპილევები (ბერძ.) — მონუმენტური კარიბჭე; აკროპოლისში ან სხვა არქიტექტურულ ანსამბლში შესასვლელი.

პროპორცია (ლათ.) — თანაზომიერება, ნაწილების განსაზღვრული თანაფარდობა. იხ. ოქროს კვეთი.


პროსპენიონი (ბერძ.) — ანტიკური სცენის წინა ნაწილი.

პროსპექტი (ლათ.) — ქალაქის სწორი, განიერი და გრძელი ქუჩა.


პროსტადა (ბერძ.) — ბერძნული სახლის მთავარი დარბაზის წინ განლაგებული, შუა ეზოსკენ მიმართული პორტიკი.

პროსტაზა (ბერძ.) — ბერძნული სახლის სათავსების დამაკავშირებელი ღია კორიდორი.

პროსტილი (ბერძ.) — ანტიკური ტაძრის სახეობა, რომელსაც პორტიკი მხოლოდ მთავარ ფასადზე აქვს.



პროსცენიუმი (ბერძ.) — ავანსცენა; სცენის მაყურებლისათვის უახლოესი ნაწილი.



პროტომა (ბერძ.) — ცხოველის წინა ნაწილის სკულპტურული გამოსახულება.

პროტორენესანსი (ფრან.) — იტალიური ხელოვნების განვითარების პერიოდი, რომელიც მოიცავს მე-14 ს-ეს — აღორძინებული, თავისუფალი იტალიური ქალაქების ხელოსნობისა და ვაჭრობის მძაფრი ტემპებით განვითარების ხანას. პროტორენესანსი წინ უძღოდა და ნიადაგი მოუზოდა აღორძინების ხანას.

პროფილი (ფრან.) — არქიტექტურული დეტალის, გზის და სხვათა მოხაზულობა, განივკვეთი.

პტირონი (ბერძ.) — ივივია, რაც პერისტაზისი.

პუმპლო — თემური სახლის სახეობა მექსიკაში.

ჟალიუზი (ფრან.) — ფირფიტანა; ცხაური დარაბა, რომლის შემადგენელი ხის ან ლითონის ფირფიტები ბრუნავს ვრძივი ღერძის გარშემო.

ჟარდინიერი (ფრან.) — საყვავილე; ოთახის მცენარეულის მო-

პუნძტი (ლათ.) — მორჩეული ადგილი მონაპირზე. ასეთივე ადგილი შენობაში ან განსაკუთრებული შენობა (მაგ., სადაც სამედიცინო დასმარებას ეწვეიან ან წარმოებს სპეციალური სამუშაოები). ის. დასახლებული პუნქტი.

პუნძტირი (გერმ.) — ახლოს განლაგებული წერტილებით ან მონაკვეთებით აღნიშნული ხაზი.

პუპალა — 1. ავეანდა; ხის ან ლითონის გადასატანი, მისადგმელი კიბე. 2. წანწალა, კიბორჭი, ცალდირე ხიდი; რუსე ან თხრილზე გადასასვლელად გადებული ხე.

პუპარული განაშენიანება — ისეთი სახის განაშენიანება, სადაც სახლები ერთმანეთის პარალელურად არის განლაგებული კვარტალის შემომფარგვლელი ქუჩების მიმართულებისდა მიუხედავად.

## — 1 —

სათავსებლად განკუთვნილი იარუსული სადგარი, თაროედი.

ჟირანდოლი (ფრან.) — კედელზე დამაგრებული სანათი არმატურა — შანდალი სანთლის რამდენიმე ბუდით.



რაბატი (თურქ.) — ვაჭარ-ხელოსანთა დასახლება შუა საუკუნეების ქალაქის ან მონასტრის კედლებთან.

რაბი — 1. ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელსაც მომიჯნავე ნაკვეთურებში (კამერებში) წყლის დონის თანდათანობით გათანაბრების გზით ვემები წყლის ერთი დონიდან მეორეზე გადაყავს. 2. სათავანი, კაშხალი, ჯვბირი, ხერგი; ნაგებობა, რომელიც მდინარის დინების განვიად აივება, კეტავს წყლის დინებას და ქმნის წყალსატევს.

რაპვი — წნული დობე.

რადიატორი (ლათ.) — ცხელი წყლის და ორთქლის გამტარი ღრუტანიანი სექციებისაგან შედგენილი სახურებელი ხელსაწყო.

რაველინი (ფრან.) — მომიჯნავე ბასტიონებს შორის განლაგებული ფორტიფიკაციული ნაგებობა.

რაზა — 1. ზირზა, კაეი; რკინა, რომელიც კარის დასაკეტად კოჭაკს გადაეცემა. 2. ურდული; რკინისტარიანი ზოლი, რომელიც კარის დასაკეტად მარყუქში გა-

ყერება. 3. საგდული; წყლის დინების გადასაღობი ფარი.

რაიონი (ლათ.) — აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. რაიონებად იყოფიან აგრეთვე მსხვილი ქალაქები, სადაც არა ნაკლებ 100 ათასი მცხოვრებია.


რაიონირება — იხ. სამშენებლო დარაიონება.

რაიონული დაგეგმარება — პროექტი, რომელიც შედგენილია ნორმების საფუძველზე სახალხო-სამეურნეო გეგმის გათვალისწინებით და რაციონალურად ანაწილებს: წარმოებას (კოოპერირების გათვალისწინებით), ენერგეტიკულ ნაგებობებს, ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებს, ქალაქგარეთ დასვენების ადგილებს, სატრანსპორტო ნაგებობებსა და ქსელს, სხვადასხვა სახის საინჟინრო ნაგებობებს, გამწვანებას, სოფლის მეურნეობის საწარმოებს და ა. შ.

რაპორსი (ფრან.) — საენის ასახვა განსაზღვრული თვალხედვის წერტილიდან ფერწერაში, ნახატში, ქანდაკებაში მაყურებლისაგან დაცილებული ნაწილების შემცირებით.

**რამბა** (ფრან.) — ავანსცენის კედლის გასწვრივ მოთავსებული სინათი არმატურის სისტემა.

**რანდკოჭი** — დირე, საძირკვლის კოჭი; წყვეტილ საძირკვლებზე ან კარკასის დვარების შევრილებზე დაყრდნობილი კოჭი, რომელიც ღებულობს კაპიტალური კედლის ნაწილის ან კარკასის შევსების დატვირთვებს.




**რაპორტი** (ფრან.) — ორნამენტის, ნახატის განმეორებადი ელემენტი.

**რატუშა** (პოლ.) ევროპის მთელ რივ ქვეყნებში მიღებული დასახელება შენობისა, სადაც თავსდება ქალაქის მმართველი ორგანო.

**რაფა** — საფანჯალი; ფანჯრის ღიობის შიგა მოჩარჩოების ქვედა

თარაზული ნაწილი, რომელიც წარმოადგენს კედლის სიბრტყიდან უმნიშვნელოდ გამოწეულ ფიცარს ან ფილას.

**რაფის ბლოკი** — მსხვილბლოკური კედლის ელემენტი, რომელიც რაფის ქვეშ არის მოთავსებული.



**რეპულა** (ლათ.) — ტრივლიფის თავზე მოთავსებული თარო.

**რეპულარული დაბეგმარება** — დასახლებული ადგილის, მისი ნაწილის, პარკის და ა. შ. ისეთი დაგეგმარება, სადაც ქუჩების ქსელის სისტემა ძირითადად ემყარება განსაზღვრულ ვეომეტრიულობას ან რაიმე ღერძის სიმეტრიულად არის განლაგებული.

**რეპულარული პარპი** — ხეივნებისა და ყვავილნარების ვეომეტ-

რიული დავეგმარების მქონე პარკი, სადაც სჭარბობს დეკორაციული მცენარეულობა. შდრ. პეიზაჟური პარკი.

**რეზიდენცია** (ლათ.) — სახელმწიფოს ან მთავრობის ხელმძღვანელის, აგრეთვე მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ პოსტზე მყოფი პიროვნების მუდმივი ადგილსამყოფელი.

**რეკონსტრუქცია** (ლათ.) — 1. შენობის, არქიტექტურული კომპლექსის, ქალაქის ძირეული გადაკეთება ახალი პრინციპების შესაბამისად. 2. არქიტექტურული, სკულპტურული ან სხვა ძეგლის გრაფიკული აღდგენა. რეკონსტრუქცია, რომელსაც დიდი მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, რესტავრაციისაგან განსხვავებით მიზნად არ ისახავს ძეგლის ნატურაში აღდგენას.

**რეკონსტრუქცია** (ლათ.) — სადგომი ან სადგომთა ჯგუფი, სადაც სკოლის მოსწავლენი ატარებენ შესვენებას გაკვეთილებს შორის.

**რელიეფი** (იტ.) — 1. მიწის შედაპირის ხასიათი. 2. ამოზურცული სკულპტურული გამოსახულება სიბრტყეზე.

**რემონტი** (ფრან.) — აღდგენა, რემონტი.

**რემონტი** (ფრან.) გველუბანი — ნიშანი ადგილზე, რომელზეც ვერდნობიან ნიველირების ჩატარებისას და აგრეთვე სამშენებლო მოედნის დაკვალებისას.

**რესტავრაცია** (ლათ.) — არქიტექტურული, ფერწერული, სკულპტურული და სხვა ძეგლების პირვანდელი სახის აღდგენა. შდრ. რეკონსტრუქცია.

**რესტორანი** (ლათ.) — მაღალი კლასის სასადილო.

**რეტიკულატი** (ლათ.) — ბეტონის კედლის ქვით ბადისებრი მოპირკეთება ანტიკურ რომში. შდრ. ინცერტი.


**რიგელი** (გერმ.) — მწკრივი, შემკვრელი კოჭი; მზიდი კონსტრუქციის ჰორიზონტალური ელემენტი — სვეტების შემაერთებელი ძელი.

**რივი** არქიტექტურული — ის. არქიტექტურული რივი.

**რიზალიტი** (იტ.) — სამხრე; შენობის გამოწეული ნაწილი.

**რიპული** — ბალიასინა, სურათი; მცირე ზომის ფიგურული ბოძი,

რომელსაც ეყრდნობა კიბის, აიუნის და მისთ. მოაჯირი.



რბალი — 1. გამირი, ოდრიკალი; ბოლოებში თავმოხრილი რკინა, რომელიც იხმარება ცალკეული ნაწილების დასაკავშირებლად.

2. კაკვი, კაუჭი; ბოლოში მოკაკული რკინა რამეზე გამოსადებად, რისამე დასაკიდად და ა. შ.


როზმტი (ფრან.) — ვარდული; ორნამენტი სტილისებული ყვავილის სახით.

როპაილი (ფრან.) — ორნამენტული მოტივი, რომელსაც საფუძვლად უდევს ნიჟარის გამოსახულება.

როპოპო (ფრან.) — სტილისებური მიმართულება ევროპის ზოგიერთი ქვეყნის (საფრანგეთის, გერმანიის და სხვ.) ხელოვნებაში, რომელიც გავრცელდა მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში და ხასიათდება დანაწევრებული და პრეტენციოზული ფორმების გამოყენებით. ტერმინის წარმოშობა დაკავშირებულია ამ პერიოდში გავრცელებული ორნამენტული

მოტივის როკაილის (ნიჟარის) სახელწოდებასთან.

როსტმერკი (გერმ.) — ბეტონის ბალიში, რომლის საშუალებითაც შენობის დატვირთვები ხიმინჯებს გადაეცემა.



როსტრა (ლათ.) — დეკორაციული მოტივი — გემის წინა ნაწილის სკულპტურული გამოსახულება.

როსტრიანი სპმტი — გემის წინა ნაწილის სკულპტურული გამოსახულებით — როსტრათი შეკული სვეტი.

როტიონდა (იტ.) — წრიული გემის მქონე, ჩვეულებრივ, გუმ-

ბათით დაგვირგვინებული ცენტრული ნაგებობა.

რუსტი (ლათ.) — კედლის მოსაპირკეთებელი ქვა, რომელსაც წინა პირი გაუთლელი, უხეშად დამუშავებული აქვს.

რუსტიკა (ლათ.) — კედლის დამუშავება ჩაღრმავებული ზოლით

შემოფარგლული, ამბურცულზე-დაპირიანი კვადრებით, რუსტი-ბით.

რუსხმული — აკვედუკი; ხიდი, რომლის საშუალებით წყალგაყვანილობის მიწები, სარწყავი და პიდროტექნიკური არხები ხევებზე, ვზებზე და მდინარეებზე გადაყავთ. „მაღლა შემენებული რუ“ (საბა).

## — ს —

სააბაზანო — სპეციალური სათავსი, სადაც აბაზანაა დადგმული.

სააბატო (ლათ.) — კათოლიკური მონასტერი.

საავადმყოფო — საგანგებო შენობა, მასში განლაგებული სამედიცინო დაწესებულებით, სადაც წარმოებს ავადმყოფთა სტაციონარული მკურნალობა.

საავტომობილო გზა — დასახლებული ადგილების დამაკავშირებელი საფარიანი (დატყეპნილი ხრეში, ასფალტი) სამანქანო გზა.

საამქრო — საწარმო სათავსი.

სააქტო დარბაზი — სკდომთა დარბაზი; დიდი ზომის დარბაზი, რომელიც საგანგებოდ არის მოწყობილი სხვადასხვა სახის შეკრებულობის (სკდომის, კრების, მიტინგის და მისთ.) ჩასატარებლად.

საბაპირო გზა — რელიეფის სხვადასხვა ღონის დაკავშირების სატრანსპორტო საშუალება ბაგირზე შეკიდული მოძრავი გალით.


საბაზე — შანდალი, სასანთლე; სანთლის ჩასადგმელი ხელსაწყო.



საბავლო — ძვ. დუქანი; ხილი-  
თა და ბოსტნეულით, მზა სანოვა-  
ვითა და წვრილმანით სავაჭრო.

საბავლი — კუთხ. იგივეა, რაც  
საბძელი.

საბიჟელი — 1. საბჯენი; საფე-  
ხურის თარაზული ზედაპირი.



2. ფიცარი, განივად დაჭედილი  
ლარტყებით, რომელიც კიბედ ვა-  
მოიყენება (გემზე, ხარაჩოებზე და  
ა. შ. ასასვლელად). 3. კუთხ. ალა-  
ვე; ღობეზე გადასასვლელი ადგი-  
ლი.

საბმური — ელემენტი, რომელიც  
მზიდ კონსტრუქციებს (ფერმებს,  
ჩარჩოებს და მისთ) ხისტ სიერ-  
ცობრივ სისტემაში აერთიანებს.

საბნლო — ძვ. გლოვისათვის  
განკუთვნილი ადგილი (ოთახი)  
სახლში ან იმავე დანიშნულების  
დროებითი სადგომი. „გლოვის კა-  
რავი“ (საბა).

საბრუნი პარამბი — ურთიერთ  
გადამკვეთი ორი, სამი ან ოთხი

ფრთისაგან შემდგარი კარგად  
ლიც ბრუნავს ფრთების გადაკვე-  
თაზე მოქცეული ღერძის გარშემო.

საბ(რ)ჟენი — 1. ბურჯი, საყრ-  
დენი; მზიდი კონსტრუქცია (სვე-  
ტი, ღვარი, კედელი და მისთ.).  
2. იგივეა, რაც საბიჯელი (1).

საბურთალო — ძვ. „ბურთის  
სათამაშო მოედანი“ (დ. ჩუბინ.).

საბძელი — საბზელი; ჩვეულებ-  
რივ, ფიცრული ან წნული ნაგე-  
ბობა, ბზის და საქონლის სხვა სა-  
ხის საკვების შესანახად. „საბზე (ე)  
სახლი“ (საბა).

საბამოფენო დარბაზი — დი-  
დი ზომის სათავსი საზოგადოებ-  
რივ შენობაში (ბიბლიოთეკაში,  
ინსტიტუტში და ა. შ.), სადაც ეწე-  
ყობა ლიტერატურის, ხელოვნების,  
და სხვა ნაწარმოებთა ექსპოზიცია.

საბამოფენო პავილიონი —  
მსუბუქი კონსტრუქციის ცალკე  
შენობა, სადაც დასათვალიერებ-  
ლად გამოტანილი და გამოფენი-  
ლია ხელოვნების, ლიტერატურის  
და სხვ. ნაწარმოებები.

საბარეშენო ზონა — ტერიტო-  
რია, რომელიც გარს ერტყმის ქა-  
ლაქის ძირითად ბირთვს, ემსახუ-

რება ქალაქის მიკროკლიმატის გაუმჯობესებისა და სოფლის პროდუქტებით მომარაგების საქმეს და რომელშიაც განლაგებულია მწვეანე მასივები (ტყე-პარკები), დასვენების ადგილები და დაწესებულებანი, სააგარაკო და საგარეუბნო დაბები, სპორტული ბაქნები და ნაგებობები, კომუნალური დაწესებულებანი, ტურისტული ბაზები. საგარეუბნო ზონას განსაკუთრებული სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის და მის ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოების (მხოლოდ არამავნე) განლაგება მკაცრად განსაზღვრულია.

საბანძიო — ძვ. ქარხანა, სახელოსნო. „სახლნი სამოხელიონი“ (საბა).

საბანძური — 1. ხაზინა, საჭურჭლე, სკლარო, საუნჯე; ვანძეულის შესანახი საგანგებო სათავსი შენობაში. 2. საღოშიარო; საეკლესიო ჭურჭლის შესანახი სათავსი ტაძარში.

საბბოლინი — ძვ. „ბაზრის სამზარეულო“ (საბა).

საბღოლი — იგივეა, რაც საგდული.

საბღული — 1. საგდოლი, ფანჯრის, კარის, დარაბის და მისთ. მოძრავი ნაწილი, ფარი. 2. რაზა, საგდოლი, საკვალითი, ურდული; კარის საკეტი მოწყობილობა. „კარის მიგდების გასაყრები“ (საბა). 3. რაზა, საგდოლი; წყლის დინების (არხში) გადასაღობი ფარი.

საბზებელი — მახდენების (ცეცხლოთაყვანისმცემელთა) სამოცველო. „საგზებელი უფრო შენობაში უნდა ყოფილიყო, ვიდრე ცალკე ნაგებობად. თვით საგზებელისათვის განკუთვნილ შენობას თავისი სახელი ჰქონდა. მის ტერმინად არის საცეცხლე“ (ივ. ჯავ.).

საბუბარი — რაბი, რაზა, საგდული, ონჯარი, ჯებირი, ხერვი; წყლის დინების განივად მოწყობილი ზღუდარი წყლის დონის ასაწვეად.

საბუბაბო — 1. ძვ. კოშკის უძველესი დასახელება. 2. საღარაჯო; გუშავისათვის, დარაჯისათვის განკუთვნილი ადგილი ან ნაგებობა.

საღარბაზო — მთავარი შესასვლელი შენობაში, საცხოვრებელ სექციაში.

სადარბაზო პარამბი — შთავარი შესასვლელის, სადარბაზოს კარები.

სადარბაზო შესასვლელი — იგივეა, რაც სადარბაზო.

სადაყუდებლო — სამამო, სოხასტერი; ვანდეგილის სადგომი. „სადაყუდებლო ქართული სიტყვაა, ისეთ ნაგებობას აღნიშნავს, სადაც ბერი შედიოდა და იშვიათად უნდა გამოსულიყო იქიდან. დაყუდება ძველ ქართულში ვაჩუმებას ნიშნავს“ (ივ. ჯავ.).

საღბარი — 1. ბოქინტი, ბივი, ბოკონი, საკავი; რისამე დასაკავებლად ან გასამაგრებლად შეყენებული ძელი. 2. სტენდი; ფარა რომელზედაც განლაგებულია გამოფენის ნიმუშები, დიაგრამები, პროექტები, განცხადებები და ა. შ.

საღბომი — 1. ოთახი, სათავსი, კედლებით გამოყოფილი სივრცე შენობაში. 2. მანქანების დასაყენებლად საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი, ბაქანი. 3. პალეოლითისა და ნეოლითის დასახლების ნარჩენები.

საღბური — 1. ძვ. „სადგომი, საფიქრებელია, აღამიანისათვის ვანკუთენილს საცხოვრებელს წარ-

მოადგენდა, სადგური — კი უფრო ან ცხოველთან დაკავშირებულს ან საგნებთან დაკავშირებულს, სადაც ან სდგამდნენ რამეს, ან ჰყავდათ საქონელი“ (ივ. ჯავ.). 2. მატარებლის (ან სხვა ტრანსპორტის) ვაჩერების ადგილი მგზავრთათვის, საბარგო ოპერაციებისათვის, ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისათვის ვანკუთენილ შენობათა კომპლექსით.

საღერივაციო არხი — წყლის პიდრავლიკური ტურბინებისაკენ მიმყვანი არხი (დერივაცია — წყლის გადაყვანა მდინარის მთავარი კალაპოტიდან.).

საღეფორმაციო ნაკერი — ნაგებობის კონსტრუქციის გამჭოლი განაჭერი, რომელიც შენობის ცალკეულ ნაწილებს დამოუკიდებელი დეფორმაციის საშუალებას აძლევს. იხ. ჯდომის ნ., სვისმური ნ., ტემპერატურული ნ.

საღიაკვნი — საკურთხევის სამხრეთ მხარეს განლაგებული სათავსი. შდრ. სამკვეთლო.

საღილეზო (სპარ.) — ძვ. დილეგი, საპყრობილე; ტყვეების, ტუსაღების დასამწყვდევი, მიწისქვეშ მოთავსებული საკანი. „საღი-

ლეგო... უკვე მე-8 ს-ის ძეგლში გვხვდება და თამარის ისტორიკოსსაც აქვს ნახმარი“ (ივ. ჯავ.).

სალოღე — ცხენოსარბიელი, იპოდრომი; ცხენოსნობაში შეჯიბრის ჩასატარებლად სავანეებოდ მოწყობილი ადგილი.

სალოშიპრო (ბერძ.) — სალარო; „ბერძნულ-ქართული ტერმინი არის: „დოხეიონ“ ეწოდება სამონასტრო სალაროს“ (ივ. ჯავ.).

სამბპურო — შენობაზე აღმართული კოშკი.


საპაზირო (თურქ.) — ძვ. სათათბირო პალატი სასახლეში.

საპანე — ძვ. 1. საცხოვრებელი ადგილის გამომსახველი ტერმინი.  
2. მონასტრის ადგილ-მამული.

საპაჟინე — მარანი; „ღვინის შესანახად ვანკუთენილ ნაგებობას მარანს ვარდა სავაჟინეც ეწოდებოდა“ (ივ. ჯავ.).

საპარღე — ვარდებით გაშენებული საყვავილე. „ვარდის ადგილი“ (საბა).

საპარძმლი — საჯდომი ღვამი.



საპაჟრო ღარბაზი — მთავარი სადგომი სავაჭრო დაწესებულებაში, სადაც დახლებია მოწყობილი და ყიდვა-ვაყიდვის ოპერაციები ტარდება.

საპაჟრო ნამბობა — შენობა, სადაც წარმოებს სამრეწველო საქონლის, კვების პროდუქტების ვაყიდვა (მაღაზია, უნივერმალი, რესტორანი და მისთ.).

საპაჟრო ცენტრი — მოედანი, ქუჩის ნაწილი, უბანი და ა. შ., სადაც თავმოყრილია ქალაქის ან სოფლის მსხვილი სავაჭრო დაწესებულებანი.

**საჰენტილაციო არხი** — კედლის წყობაში ჩაყოლებული, საგანგებოდ გაყვანილი, გადახურვაზე შეკიდული და ა. შ. არხი, რომლის საშუალებითაც წარმოებს შენობაში სუფთა ჰაერის შეყვანა და უფარვისის გაქვეება (ბუნებრივი ან იძულებითი გზით).

**საზოგადოებრივი ცენტრი** — საცხოვრებელი ზონის ნაწილი — მოედანი, მთავარი ქუჩა, ურთიერთდაკავშირებული მოედნები და ა. შ., სადაც თავმოყრილია დასახლებული ადგილის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი და აღმინისტრაციული დაწესებულებანი.

**საზოგადოებრივი** — იგივეა, რაც საზოგადოებრივი.

**საზოგადოებრივი** — საზოგადოებრივი, სამსახურბლო; ადგილი ან ნაგებობა ან ნაგებობის ნაწილი, სადაც ხდებოდა მსხვერპლის შეწირვა.

**საზოგადოებრივი** — საჯდომი ავეჯის (სავარძლის და მისთ.) ზურგიით მისაყრდნობი ნაწილი.

**სათავსანი** — იხ. საეუბარი.

**სათავსანი** — თავბანდი, თავზე; სახურავის ზედა პორიზონტალური ძელი, რომელზედაც ნივნივებია შეკიდული.

**სათავსანი** — ზუგელი, დიზლივრ, ხიმინჯის თავზე ჩამოცმული რკინის სალტე.

**სათავსანი** — იგივეა, რაც სადგომი.

**სათბილელი შრე** — თბოვაუმტარი მასალის საგანგებო შრე გადახურვის და სხვ. სისრქეში.

**სათბობრივი** — ორანჟერეა; მინის სახურავისა და კედლების მქონე შენობა, სადაც სითბოს და სინათლის საჭირო პირობების დაცვით ხელოვნურად აშენებენ თბილი ქვეყნების მცენარეებს.

**სათბობრივი** — არქივოლტი, თავსართი, წარბი; თაღს ან ნახევარწრიული ფანჯრის — ელევენის მოჩარჩოება, რომელიც წარმოადგენს მთლიან ან დანაწევრებულ ზოლურას თუ მოჩარჩოებულ ლენტურ ორნამენტს.


**სათბილი** — ჰალტელი; პროფილირებული თამასა, რომელიც იხმარება პირაპირა ნაკერების, წიბოების და მისთ. დასაფარავად.

**სათბილი** — თივის შესანახი ადგილი ან ნაგებობა.

**სათბობრივი** — იგივეა, რაც სათოფური.

**სათბობრივი** — სათოფე; ცინე-სიმგერის კედელში ცეცხლის სა-

წარმოებლად დატოვებული სვრე-  
ტი.



სათხმელელი — 1. სათხმელი, სართხმელი; კედლის წყობაში დატანებული ძელი სიმაგრისათვის. 2. ფახვერკი; დგარების, ძელეებისა და ირიბნებისაგან შედგენილი კონსტრუქცია კედლის მდგრადობის გასაზრდელად.

სათხმეველი — იგივეა, რაც სათხმელელი (1).

საინჟინტარო — მცირე საწყობი, სადაც სხვადასხვა სახის ინჟინტარი ინახება (საწარმოში, სპორტულ დარბაზთან, სკოლაში და ა. შ.).

საინჟინრო ნაგებობა — ნაგებობა, რომელსაც უმთავრესად

ტექნიკური დანიშნულება აქვს. მაგ., ჯებირი, საყრდენი კედელი, ხილი და ა. შ.

სანირიპაციო არხი — ის. სარწყავი არხი.

საიფსლე — ხორბლეულის საწყობი.

საპაპი — ბივი, ბოკონი, ბოქინტი; რისამე დასაკავებლად ან გასამაგრებლად შეყენებული ძელი.

საპანდლე (ფრან.) — მაგიდაზე დასადგმელი სანათი არმატურა სანთლების ან სანთლისმაგვარი ნათურების ჩასადგმელად.

საპანი — 1. ტუსაღთა დასამწყვედვეი სათავსი საპყრობილეში. 2. „საკანი არს სახლის ფსკერს ქვეშე საპყრობილე ნაგები“ (საბა).

საპარმიდამო განაშენიანება — დასახლების ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, ქალაქის გარეუბანშია მოქცეული ან მთლიანად დასახლება. მაგ. სააგარაკო დაბა განაშენებული ცალკე სახლებით, კოტეჯებით.

საპარმიდამო მშენებლობა — ცალკე სახლების, კოტეჯების მშენებლობა.

**საპარმილამო ნაკვეთი** — სოცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობების დასადგმელად და დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად პირად სარგებლობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთი.

**საპარცხული** — „მცირე სკამლოგინი“ (საბა).

**საპერპე** — ბაგინი; კერბთაყვანისმცემელთა სამლოცველო.

**საპეტი** — კლიტე; კარის ჩასაკეტი მოწყობილობა.

**საპვალთი** — კელა, ურდული, რაზა, საგდული; კარის საკეტი მოწყობილობა — რკინის ზოლი, რომელიც მარყუქში გაეყრება.

**საპვამლე** — საკვამლური, საკვამური; ნაგებობიდან კვამლის გამოსაყვანი არხი, მილი.


**საპვამლური** — იგივეა, რაც საკვამლე.

**საპვამური** — იგივეა, რაც საკვამლე.

**საპვერცხელა** — ცეცხლის კერა ცეცხლთაყვანისმცემელთა სამსხვერბლოში. „კერაკი, მაყალი, ღანძვი ცეცხლის მოსავთა“ (დ. ჩუბინ.).

**საპილარი** — ვარაზად, ცხელი კაგებიანი დგამი ტანისამოსის ჩამოსაკიდად.

**საპიღელი** — კერის თავზე დამაგრებული ჯაჭვი ქვების შესაკიდად.



**საპილოვე** — მარყუეი, კოჭაკი; რაზის გასაყრელი რგოლი.

**საპონცმერთო დარბაზი** — მაყურებელთა დარბაზი საგანგებოდ მოწყობილი ესტრადით სხვადასხვა სახის (სიმფონიური, საესტრადო და სხვ.) კონცერტების ჩასატარებლად.

**საკმურა** — ძვ. საყაფნო; „დაწესებულება, სადაც სახელმწიფო სასწორო იყო და გასაყიდ სხვადასხვა საგნებს სწონიდნენ“ (ივ. ჯავ.).

**საკმჭი** — ამა თუ იმ კონსტრუქციის (ნივნივების, თადის, კამარისა და სხვ.) შემკველი ძეგლი ან ლითონის ღერო.

**საკრეპული** — სამამაო; ბერების შესაკრები სადგომი მონასტერში.

**საკრძალავი** — საცავი; განძეულის, უნიკალური ნივთების, წიგნების და სხვ. შესანახი საგანგებო სათავსი შენობაში (ბანკში, მუზეუმში და ა. შ.).

**საკუთნი** — თავკიდე, კედი, ქვაკუთხედი; შენობის კუთხეში საფუძვლად დადებული ლოდი.

**საკურორტი** ზონა — საკურორტო ქალაქის ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია სანატორიუმების, დასასვენებელი სასლებების, პანსიონატების, ბაღ-პარკების, საზოგადოებრივი და სამკურნალო დაწესებულებების განსაღაგებლად.

**საკურტნი** კრამიტი — კვხის გასწვრივ დალაგებული საგანგებო

ფორმის (შეტნაწილად ნახევარწრიული განიკვეთის) კრამიტი.

**საკურთხეველი** — 1. სამსხვერპლო; მსხვერპლის შეწირვის ადგილი. იხ. ბამინი, ბომონი, დაბირი, საზორველი. 2. კანკელით გამოყოფილი ნაწილი ქრისტიანული ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში.

**საკუხნაო** — სურსათ-სანოვავისა და ნივთების შესანახი მცირე სათავსი.

**სალარო** — 1. საღოშიარო, სავანძური; ანაფორმებისა და სავკლესიო ჭურჭლის შესანახი სათავსი ტაძარში. 2. ხაზინა; ფულის შესანახი და გასაცემი სათავსი დაწესებულებაში. 3. კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ სანახაობაზე დასასწრებად, რკინისგზით, გემით, თვითმფრინავით სავმოზაფროდ და მისთ. განკუთვნილი ბილეთების გასაცემი სავანგებო სათავსი. 4. ძვ. საუნჯე, საჭურჭლე; განძეულის შესანახი სათავსი.

**სალაყბო** — ძვ. 1. „სავაჭრო მოედანი“ (დ. ჩუბინ.). 2. სასეირნო, თავშესაყრელი ადგილი.



სალხანან (სპარ.) — ძვ. საყას-  
ბო; პირუტყვის სასაკლაო ადგი-  
ლი.

სალმქარი — საწდომი; აუზი,  
რომელიც განკუთვნილია სითხის  
საწმენდად მინარევებისაგან უკა-  
ნასკენლთა დაღეჭვის გზით სი-  
თხის (წყლის) მოძრაობის სიჩქა-  
რის შენელებისას ან სავსებით  
შეწყვეტისას.

სალოდე — დურო; შუა საუკუ-  
ნების ციხე-სიმაგრეთა კედლე-  
ბის ზედა ნაწილის შევრილებზე  
მოწყობილი სვრეტი ქვის დასა-  
შენად.

სალონი (ფრან.) — 1. მდიდრუ-  
ლად გამართულ სასლში სტუმრე-  
ბის მისაღები პარადული ოთახი,  
სასტუმრო ოთახი. 2. პერიოდული  
სამხატვრო გამოფენის სახელწო-  
დება საფრანგეთში.

სალოცავი — სამლოცველო;  
ლოცვისათვის განკუთვნილი შე-  
ნობა ან სადგომი.

სალხინობელი — 1. კივორი-  
უმი; საკურთხეველში ქვის ტრა-  
პეზზე დადგმული, ოთხ სვეტზე  
დაყრდნობილი საჩრდილობელი. 2.  
ჩარდახი, ბაღდახინი; ბოძებზე ან

ლატნებზე დამავრებული უძრავი  
თუ გადასატანი საჩრდილობელი.

სალხინო სახლი — ძვ. ლხინი-  
სა და საზეიმო შეკრებისათვის  
განკუთვნილი შენობა.

„სახლი სალხინოდ ნაგები,  
მტკუარს იღვა ტურფა თალარი,  
ფრანგ ოსტატთაგან ნაგები,  
მათგანვე განათალარი...“ (შაჰნავ.)

სამაბრი — 1. შენობის ძირი ან  
ყორდანის საყრდენი კედელი. 2.  
ხის, ლითონის ან რკინა-ბეტონის  
სუბციალური კონსტრუქცია სან-  
გრის, გვირაბის, შახტისა და მისთ.  
გასამავრებლად.

სამაპმტო — სახელოსნო (მაგ.,  
საპროექტო ორგანიზაციაში), სა-  
დაც პროექტის საფუძველზე  
მზადდება ნაგებობის, დასახლებუ-  
ლი ადგილის, კვარტალის და ა. შ.  
მაკეტები.

სამალავი — 1. დარანი, სახიზ-  
ნარი; ჩვეულებრივ, ციხის ქვედა  
სართულში მითავსებული მიწის-  
ქვეშა ნაგებობა შენობიერი მი-  
სადგომით. 2. ძვ. სასახლეში ქალ-  
თავის განკუთვნილი ოთახი, სა-  
დაც ქალისა და მის მახლობლებს  
გარდა არავის შეეძლო შესვლა.  
შდრ. საცხადო. „რა შინა შევიდა,  
ვისი ველარა პოა. ძებნა საცხა-

დოსა და სამალავსა შიგან ყველ-  
გან“ (ვისრამ.).

სამამბო — 1. საკრებულო; სა-  
პატიო სტუმრების მისაღები და  
საერთო სამონასტრო საქმეებზე  
მსჯელობისათვის ვანკუთვნილი  
საკრებულო დარბაზი მონასტერში.  
2. სადაყუდებლო, სოხასტერი; გა-  
ნდევლის სადგომი.

სამანი — „...ქვა დადებული სამ-  
ზღვრად“ (დ. ჩუბინ.).

სამარტვილე — 1. ქრისტიანთა  
სამლოცველო. 2. წამებულ ქრის-  
ტიანთა სასაფლაო. „საწამებელი,  
მოწამეთა სამარხი“ (დ. ჩუბინ.).  
საერთოდ ქრისტიანთა სასაფლაო.

სამარტვილო — იგივეა, რაც სა-  
მარტვილე.

სამარხაპი — იხ. სასაფლაო.

სამარხი — დასაფლავების ადგი-  
ლი. ვიწრო ვაგებით სამარხები  
მიეკუთვნება ყორღანული ტიპის  
საფლავებს, რომელთაც არ გააჩ-  
ნიათ ზედნაყარი (ე. წ. გრუნტის  
ყორღანი).

სამღივნო სახლი — ძვ. „სამ-  
ღივნო სახლი სასამართლო სახლს  
ნიშნავდა. ეს ტერმინი მე-17, მე-18  
სს-ში ვვაქვს“ (ივ. ჯავ.).

სამერხული — არქიტრაფი; შე-  
ლი, რომელიც აერთიანებს ცალ-  
კეულ საყრდენებს, სვეტნარს და  
მას გადასცემს ზევით მდებარე  
კონსტრუქციების დატვირთვას.

სამზარეულო — საგანგებოდ  
მოწყობილი ოთახი ან ნაგებობა,  
სადაც საჭმელს ამზადებენ.

სამზარეულო ბლოკი — საგან-  
გებოდ მოწყობილი სადგომთა  
ჯგუფი სასადილოში, რესტორან-  
ში, კაფეში, საავადმყოფოში და  
სხვ., სადაც წარმოებს საკვების  
დამზადება და შენახვა.

სამზარეული — საჭკვრეტელი;  
მცირე ზომის სერვეტი ან ასეთი-  
ვე სარკმელი კარებში ან კედელ-  
ში.

სამზაშური — მარკიზა, საჩენი;  
მზის სხივებისგან დაცვის მიზნით  
შენობის ვარედან, სარკმლის თავ-  
ზე მოწყობილი საჩრდილობელი.

სამიკიტნო — სახამრო, სარაჯ-  
ხანა; ღვინის ღუქანი.

სამპარეული — ტრიბუნის; სამფ-  
რთიანი საკეცი (სურათი, შირმა  
და ა. შ.).

სამკვეთლო — საკუროთხევლის ჩრდილოეთ მხარეზე მოქცეული სადგომი, სადაც ღვთისმსახურების ერთ-ერთი წესის აღსრულება — „კვეთა“ წარმოებს, რაც სეფისკვერიდან ნაწილის ამოღებას ნიშნავს. შდრ., საღიაკენე.

სამკითხველო დარბაზი — ბიბლიოთეკაში საგანგებოდ მოწყობილი დარბაზი სხვადასხვა სახის ლიტერატურის ადგილზე გასაცნობად.

სამლოცველო — 1. იგივეა, რაც სალოცავი. 2. ეკვდერი, საქამნო; ეკლესიას მიუყვება სადგომი ან მის შორიანლოს აგებული შენობა სალოცავად.

სამოახლე — ძვ. მოახლეთათვის განკუთვნილი სახლი ან ოთახი.


სამორინე — ნარდის, ბანქოს, ჭადრაკისა და მისთ. სათამაშო სახლი. „სახლი მენარდეთა“ (საბა). „(კინტო) ნალეკია ყარაოღელთა ოჯახისა, ვაზრდილი ქუჩებსა და სამორინეში“ (ი. გრიშაშვილი).

სამოსახლო ტერიტორია — ქალაქის ტერიტორიის ნაწილი, სადაც განლაგებულია საცხოვრებელი მიკრორაიონები, კვარტალები, საზოგადოებრივი შენობების ნაკ-

ვეთები, ქუჩები, მოედნები, ბაღ-პარკები, სანიტარულად და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა ნაკვეთები.

სამრავალპასო — ყორღანი; სამაგრიტო გარშემორტყმული სამარხი, რომელიც რამდენიმე აკლამას მოიცავს. „საძველე აკ(ა)ლამა“ (საბა).

სამრეკლო — ცალკე მდგომი ნაგებობა ან ტაძრის ნაწილი, სადაც ზარებია ჩამოკიდებული.



სამრელო — კუთხ. შშობიარე ქალისათვის განკუთვნილი დროებითი საცხოვრებელი, რომელიც მოშორებული იყო სახლს და სადაც ქალი იმყოფებოდა შშობიარობამდე.

„სამრელოს კარში ჩამავჯე, გამზრალი ორ, გაყინული, აღარც ჯალაბთ გამიგონეს, დაცილებულ-ვაჭირული,“ (ხალხ.).

სამრეცხანო — სამრეცხლო, სამურკნელი; რეცხვისათვის საგანგებოდ გამოყოფილი სადგომი ან შენობა.

სამრეცხლო — ძვ. იგივეა, რაც სამრეცხაო.

სამრეწველო ზონა — ქალაქის ტერიტორია, რომელზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და მათთან დაკავშირებული სასაწყობო შენობები, სატრანსპორტო მეურნეობა და სხვ.

სამსჭვალნი — პირონი; ლითონის ღერო, რომელიც სპეციალურ კლოებში მოთავსებით აკავშირებს ქვის ბლოკებს.

სამსხმერპლო — დაბირი, საზორავი; მსხვერპლად შეწირვის ადგილი.

სამურავი — აკლამა; მრევალე ბულის ნეშტის შესანახი სათავსო. იხ. ლუსკუმა, სარკოფაგი, მასტობა, მავზოლეუმი.

სამურკნელი — ძვ. იგივეა, რაც სამრეცხაო.

სამურკნო — ძვ. „სამრეცხლო“ (საბა).

სამფრთიანი თალი — ურთიერთგადაკვეთილი სამი რკალისგან შედგენილი მოხაზულობის თალი; მრავალფრთიანი თალის სახეობა.



სამქადაგებლო — ამბიონი, საფსალმუნე; ქადაგების წარმოსათქმელად მოწყობილი შემადღებელი ადგილი საკურთხევლის წინ. ადრე ქრისტიანულ არქიტექტურაში ტაძრის გუმბათის ქვეით ან პატრონიკეს სწვრივად მოთავსებული კათედრა.

სამყო — ძვ. ბინა; საცხოვრებელი, სადგომი.

სამყომრო — ძვ. მოსაცდელი. „დასაყოვნებელი“ (საბა).

სამშენებლო ეზო — მშენებლობასთან არსებული დამხმარე წარმოება.

სამშენებლო მოედანი — ტერიტორია, რომელზედაც განლაგებულია მშენებარე ნაგებობები, დროებითი, ადმინისტრაციული და სამეურნეო შენობები, დამხმარე წარმოება, საწყობები და ამ მშენებლობისათვის საჭირო სხვა ნაგებობები.

სამშენებლო კოლიზონი — ტერიტორია, რომელზედაც განლაგებულია სამშენებლო დეტალები-სა და კონსტრუქციების წარმოება.

სამშენებლო რაიონირება — ქვეყნის ტერიტორიის დაყოფა რაიონებად განსაზღვრული ნიშნების (კლიმატი, სეისმომდევობა, სამშენებლო მასალები და სხვ.) მიხედვით. იხ. კლიმატური რ., სეისმური რ.

სამცენტრიანი თალი — კოლოფა თალი; სამი ცენტრიდან მოხაზული რკალის ფორმის თალი.

სამცენტრიანი კამარა — კოლოფა კამარა; კამარის წარმომქმნელი ელიპსურ ან კოლოფა მრუდს წარმოადგენს.

148

სამჭედლო — ლითონის დასამუშავებელი საამქრო, მჭედლის საამქრო.

სამხაზველო — დარბაზი კვლევით და სასწავლო ინსტიტუტში, წარმოებაში და ა. შ., რომელიც ხაზვისათვის არის საგანგებოდ მოწყობილი.

სამხარი — კარძელი, სამხვეწილო; კარის ჩარჩოს ზედა ძელი, კარის ზღუდარი.

სამხმეწილო — იგივეა, რაც სამხარი.

სამხატვრო გალერეა — შენობა, სადაც ეწყობა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა.

სამხრე — რიზალიტი; შენობის გამოწვეული ნაწილი.

სანათი ჭა — სარდაფის ან ნახევარსარდაფის ფანჯრის წინ ამოღებული ჭა სადგომში დღის შუქის შეყვანის მიზნით.

სანათლაზი — ცალკე შენობა ან ტაძრის ნაწილი, სადაც წარმოებს ნათლისღების წესის შესრულება.

სანათური — 1. სარკმელი; მცირე სასინათლო ღიობი. 2. სხვადასხვა სახის სანათი არმატურა.

სანაპირო — 1. საინჟინრო ნაგებობა, რომელიც გარს ეკვრის წყალსატევს (მდინარეს, ტბას, ზღვის ნაპირს) და იცავს ნაპირებს წალეკვისაგან. 2. გზა წყალსატევის ნაპირის გასწვრივ.

სანატორიუმი (ლათ.) — სამკურნალო და დასასვენებელი დაწესებულება აგარაკზე.

სანაჟრე — ბაგა, პირის ბაგა, საპირე; დაბმული საქონლის საკვების წნული ან ფიცრული ჩასაყრელი.

სანაცრე — ნაცრის ჩასაყრელი ჭურჭელი.

სანაწილე — შეწირულობის შესაწინა კარადა საკურთხევლის კედელში.

სანახშირე — ნახშირის დასაყრელი ადგილი ან ჭურჭელი.

სანაბამტარი — იგივეა, რაც სანიტარული გამტარი.

სანბარი — თხრილი, ტრანშეა; გრძელი და ვიწრო მთხრებელი მიწაში.

სანაღრიპი (ლათ.) — კარის ან ფანჯრის ღიობის თავზე მოთავსებული მცირე ზომის ლავგარდა-


ნი — კლასიკური არქიტექტურული ფორმა, რომელიც გამოიყენება როგორც ინტერიერის, ასევე ფასადების დამუშავებისას.

სანთიობო — ძვ. ახალ ჯვარდაწერილთათვის განკუთვნილი ოთახი.

სანიღაჟე — სახელური; მოაჯირის, პარაპეტის და მისთ. ზედა, ფართო ზოლი ხელის საყრდნობად.

სანიტარული გამტარი — სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების სადგომების ჯგუფი (სააბაზანო, საშხაფო, გასასდელი და ა. შ.) სამრეწველო შენობაში, საავადმყოფოში და ა. შ.

სანიტარული კვანძი — ერთად თავმოყრილი აბაზანა, პირსაბანი და საპირფარეშო საცხოვრებელ ბინაში ან სხვა სახის შენობაში.



**სანტიმეტრი** — მეტრული სისტემის სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც მეტრის მეასედს უდრის.

**სარკმარაგინო** — ოპერაციების ჩასატარებლად საგანგებოდ მოწყობილი ოთახი საავადმყოფოში, პოლიკლინიკაში და სხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

სა და კარნიზს შორის. ფრიზის არე, ხშირად, გამოყენებულია სკულპტურული გამოსახულებების ან ორნამენტული მოტივების მოსათავსებლად.



2. კოშმედი; კედლის ან იატაკის სიბრტყის შემომფარგვლელი დეკორაციული ზოლი.

ფრონტისპიკისი (ფრან.) — 1. იგივეა რაც ფრონტონი. 2. მთავარი ფასადი.


ფრონტონი (ფრან.) — ფასადის დამაგვირგვინებელი, ლავარდანიო შემოფარგლული სამკუთხა სიბრტყე; ფანჯრის, კარის და სხვ. ელემენტების ანალოგიური დავვირგვინება.



ფსევდოპერიპტეროსი (ბერძ.) — ანტიკური ტაძარი, რომლის სვეტნარი განლაგებულია ნაოსის გარშემო, მისგან ორმაგი სვეტშორისის მანძილზე.

ფსევდოპერიპტეროსი (ბერძ.) — რომაული ტაძარი, პორტიკით მთავარ ფასადზე და ნახევარკოლონებით სხეებზე.





ფუნდუკი (ბერძ.) — 1. ქარვასლა; სასტუმრო ქარავენებისათვის. ტერმინი მე-17 ს-მდე გვხვდება, შემდეგ კი უკვე ქარვასლა იხმარება. შდრ. ხანავა. 2. საქარავნო საქონლის საწყობი.

ფუნდიკულიორი (ფრან.) — ქანობიან რელიეფზე მოწყობილი საბაგირო რკინიგზა.

— ე —

ძაპი — კუთხ. საცხოვრებელი სახლის კოშკის დასახელება თუშეთში. იხ. გოდოლი, კოშკი, მურყვამი.

ძალა — კუთხ. კარძელი; კარის ჩარჩოს ზედა ძელი.

ძალანი — იგივეა, რაც ქალა.

ძალაძი — დიდი დასახლებული პუნქტი ადმინისტრაციული, კულ-

ფუნდციონალური ზონირება

— ქალაქის ტერიტორიის დაყოფა ცალკე ნაწილებად — ზონებად, გარკვეული სახის შენობების დასაჯგუფებლად. მაგ., საცხოვრებელი ზ., სამრეწველო ზ. და ა. შ. იხ. ზონალური დაგეგმარება.

ფუტი (ინგლ.) — ინგლისში, ამერიკაში და, ადრე, რუსეთში მიღებული სიგრძის საზომი ერთეული, რომელიც უდრის 0.304 მ-ს.

ფუძე-ჩარჩო — საძირკვლის ქვედა ნაწილი, რომელიც დატვირთვებს ფუძეს გადასცემს.

ტურულ-სავანმანათლებლო, სამრეწველო, სავაჭრო და მისთ. დაწესებულებებით.

„ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნაგროზობასა არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა“ (ვეფხ.).

ძალაძი-თანამგზავნი — ქალაქი-სატელიტი; თანამედროვე ქალაქმშენებლობაში — ქალაქის

ფარგლებს ვარეთ გატანილი სა-  
ცხოვრებელი ზონის ნაწილი ცალ-  
კმ დასახლების სახით, რომელიც  
მონგრეხებულად არის დაკავშირე-  
ბული ქალაქის ბირთვთან და ძი-  
რითად საწარმოო რაიონებთან  
ტკინიგზის და საავტომობილო  
ტრანსპორტის მეშვეობით.

ქალაქი-სატელიტი — იგივეა.  
რაც ქალაქი-თანამგზავრი.

ქალაქის ბალანსი — ქალაქის  
კედელი; შუა საუკუნეების ქალა-  
ქის გარშემო აგებული კედელი  
ერთი ან რამოდენიმე გამოსასვ-  
ლელით.

ქალაქის კარი — ქალაქის კა-  
რიბჭე; შუა საუკუნეების ქალაქის  
კედელში მოთავსებული კარი, რო-  
მელიც, ჩვეულებრივ, რომელიმე  
მაგისტრალურ გზაზე გამოდიოდა.  
„ცხადად მოვიდოდა შარასა გზასა  
და მარტო შემოვიდოდა ქალაქი-  
სა კართა“ (ვისრამ.).

ქალაქის კარიბჭე — იგივეა,  
რაც ქალაქის კარი.

ქალაქის კედელი — იგივეა,  
რაც ქალაქის გალავანი.

ქალაქმშენებლობა — ქალაქე-  
ბის დაგეგმარების და მშენებლო-

ბის თეორია და პრაქტიკა, არქი-  
ტექტურული, ტექნიკური, საინჟი-  
რულ-ჰიგიენური და სოციალ-ეკო-  
ნომიური პრობლემების კომპლექ-  
სური გათვალისწინებით.

ქანდაკება — ნაქანდაკები, ნა-  
ქანდაკარი, ნატიფი, ნაძერწი,  
სკულპტურა; სახვითი ხელოვნების  
სახეობა, რომლის ნაწარმოებს  
მოცულობითი ფორმა აქვს და  
სრულდება მკვრივი (ქვა) ან  
პლასტიკური (თიხა) მასალისა-  
ვან.

ქანდაკე — 1. ანტრესოლი; სად-  
გომის სასარგებლო ფართობის გა-  
ზრდის მიზნით, ძირითად სართუ-  
ლის მოცულობაში შემაღლებულად  
ჩაშენებული ნახევარსართული ან  
ამავე მიზნით მოწყობილი ნახე-  
ვარსართულიანი ზედნაშენი და  
დერეფნის სახით. 2. ანტრესოლი;  
დამხმარე სათავსის-თავზე მოწყო-  
ბილი კარადა. 3. აყარი, კადონი,  
მუკენი, ჭოგრი, ხარინა; განივად  
გადებული ლატანი, ძელი. 4. მა-  
ყურებელთა დარბაზის ზედა იარუ-  
სი.

ქანდაკარი — ძვ. იგივეა, რაც  
მოქანდაკე.

ქარაბაქი — ბაკი, ტრუშული;  
1. წნული ღობით გამოყოფილი  
ადგილი (მაგ., ურმების დასაყე-

ნებელი ეზო-ყურე). 2. საქონლის დასამწყვდევად მოზღღუდული უსახურავო ადგილი. 3. მსხვილი წნე-ლით ამოყვანილი ღობე. „ბაკი ნაკათავან“ (საბა).

**ქარბანდი** — კონსტრუქციის ელემენტი ღეროების სისტემის სახით, რომელიც გამიზნულია ქარის მიმართ ნაგებობის წინაღობის გასაზრდელად.


**ქარბილი** — თაღოვანი ან კამბროსანი კონსტრუქციის ამოსაყვ-


ნად აღმართული დამხმარე ელემენტი, რომელიც ამოსაყვანი ფორმის ზედაპირის სიმრუდეს და რომელზედაც ქვე-ბის ან ბეტონის ჩასაწყობი ყალიბების წარმოქმნელი შეფიცვრა თავსდება.

**ქარმასლა** — ფუნდუკი; მგზავრებისა და ქარავენებისათვის განკუთვნილი სასტუმროს დასახელება ამიერ-კავკასიაში, წინა და შუა აზიაში. შღრ. ხანავა.



**ქართაკვითი** — კონკრეტული ადგილმდებარეობისათვის დაღვენილი ქარების სიჩქარისა და სიხშირის საშუალო თვიური, წლიური სიდიდეების გრაფიკული გამოსახულება ქვეყნის მხარეების გათვალისწინებით.





ქარხანა (სპარ.) — 1. მსხვილი სამრეწველო საწარმო. 2. ძვ. საფარეშო; „სახელოსნო, სადაც დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ხოლმე ვასაყიდად ვანკუთენილ საქონელს“ (ივ. ჯავ.).

ქაშანური — სხვადასხვა სახის ნაკეთობა, რომელიც მზადდება გამომწვარი და მოჭიქული თეთრი ან ფერადი მასისაგან (თიხის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც შეიცავს თაბაშირისა და სხვა მინარევებს).

ქვაბი — ქვაბული; ხელოვნური ან ბუნებრივი სათავის კლდეა. „ქვებისა კარებს ასმათი მარტო ზის, არ ბარგოსანი“ (ვეფხ.).

ქვაბული — 1. ვანიერი და ღრმა მოხრებული მიწაში (მაგ., საძირკველის ჩასაყრელად). 2. იგივეა, რაც ქვაბი.

ქვაზვინული — ქვის ყრილი, ქვის ზვინული.

ქვაპაცი — ძვ. სტატუა, ჭორტი; ადამიანის ქანდაკება.

ქვაკუთხედი — თავკიდე, კედი, საკუთხე ქვა; შენობის საძირკვლის კუთხეში საფუძვლად დადებული

ლოდი. „ქვაკუთხედის დადებით იწყებოდა და იწყება ყოველი საძირკვლის ჩაყრა“ (ივ. ჯავ.).

ქვანაპი — მიჯრით დალაგებული ქვის ფილებით შექმნილი ზედაპირი.

ქვაფენილი — ქვების წყობით შექმნილი ქუჩის საფარი შრე.

ქვაჯვარი — ქვაში ამოკვეთილი ჯვრის გამოსახულება ქანდაკების ან რელიეფის სახით.

ქველი — კონსტრუქციის, დგამის, დანადგარის (მაგ., ღუმელის) ქვედა, საყრდენი ნაწილი.

ქვესაბჯენი — მისაბჯენი; დგარის სიმდგრადისათვის მის ქვედა ნაწილში შეყენებული ირიბანა.


ქვესაბმბი — ქვესაფენი; იატაკზე, მიწაზე დასაფენი ხალიჩა, ჭილობი და მისთ.

ქვესადმბი — დგარის, ბოძის, დანადგამის ქვეშ დატანებული ხის, ქვის, რეზინის და ა. შ. შრე, ნაჭერი.


ქვესაფენი — იგივეა, რაც ქვესაბმბი.

ქვითპირი — ქვითა და კირით ნაგები. შდრ. სკირა.

ქილიბი — 1. ფიცრების მალული კბილით ჭდობა კუთხეში. 2. კბილი, რომლითაც ფიცრების ჭდობა ხორციელდება.



ქიმერა — გოთიკური ტაძრის სამკაულის ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ფანტასტიკური უჩხულის ქანდაკებას.




ქობინი — სფეროს ფორმის დეკორაციული მოტივი. „გარდაიქმნება გავალაკთა, დორიულთა ან ეტლთა ზედა ჩამოცმული მოთქროვილი ბურთი ვაშლის სახით“ (დ. ჩუბინ.).

ქოთარაქი — სფეროს ფორმის სვეტისთავი ან ნახევარსფეროს ფორმის პილიასტრის სვეტისთავი. „სვეტის თავზე მრგვალი“ (საბა).

ქოლბა — პლაქზე, მაგიდის თავზე (მაგ., პაერზე მოწყობილ სასაუზმეში) და ა. შ. მოწყობილი დგარზე დამაგრებული გასახსნელ-დასაკეცი საჩრდილობელი.

ქოლბისებრი გუმბათი — შეაფრებული ნაწილებისაგან შემდგარი გუმბათი, რომელიც წააგავს პაერით ვავსებულ პარაშუტს, ვახსნილ ქოლვას.

ქონაშური — ციხის დამაგვირგვინებელი, სავარცხლისებური ელემენტი. დაცილება ქონგურებს შორის სათოფურებად გამოიყენებოდა.



ქორედი — იგივეა, რაც ქორი.  
ქორი — ძვ. მანსარდა, ქორედი;  
უშუალოდ სახურავის ქვეშ, სხვე-  
ნის მოცულობაში მოქცეული საღ-  
ვომი, რომელიც შესაძლოა მოე-  
წყოს როგორც შენობის ვიწრო,  
ასევე გრძივ მხარეზე. „ქორი  
თუმცა ზევით სართულის სახელი  
იყო, მაგრამ მისი აგებულება გან-  
სხვავდებოდა იმ სართულის აგე-  
ბულებიდან, რომელზედაც ის  
იღვა“ (ივ. ჯავ.).

ქორბანდელი — ჭადი, ხომლი;  
ჭერზე შეკიდული სანათი არმა-  
ტურა.


ქოხი — ოქოქი, ჩაღურა, ხუ-  
ლა, ხუხულა; ფიჩხით ან ჩალით  
დასურული სოფლის სახლი.

ქსელი — გზების, მაგისტრალე-  
ბის, სხვადასხვა დანიშნულების  
მილების, კაბელების და მისთ.  
ურთიერთგანლაგება, სისტემა. იხ.  
კანალიზაციის ქ., წყალსადენის ქ.,  
ქუჩების ქ.

ქულბაქი (სპარ.) — დუქანი; სა-  
ვაჭრო სახლი. ტერმინი ვაჭრე-  
ლებული იყო საქართველოში მე-9,  
მე-18 სს-ში და შემდგომში დუქა-  
ნმა შეცვალა.

ქუნთა — „ბოჭკოიანი საღებო“  
(დ. ჩუბინ.).

ქუსლი — არქიტექტურული პრო-  
ფილი, შედგენილი ორი რკალის  
შეუღლებით, რომელთაგან ზედა  
ამოზნეპილია, ხოლო ქვედა შეზ-  
ნეპილი. შდრ. შექცეული ქუს-  
ლი.



ქუნაბანდი — ჩიხი; ქუჩის გან-  
შტოება, რომელსაც არ გააჩნია  
გამჭოლი გასასვლელი.

ქუნების ქსელი — დასახლებუ-  
ლი ადგილის ქუჩების მიმართუ-  
ლებისა და ურთიერთგანლაგების  
სქემა. იხ. რეგულარული დაგეგ-  
მარება, ირეგულარული დაგეგმა-  
რება.



— ლ —

ღარაპი — მცირე ღარი.

ღარი — 1. ხეში, ქვაში, ლითონში და ა. შ. ამოღებული სივრცეები ჩაღრმავება. 2. მცირე არხი.

ღვარსაღმენი — ნიაღვრის საღმენი მიწების, თხრილების და მისთ. სისტემა.

ღვარსარინი — ნიაღვრის გადასაყვანი არხი ან მილი.

ღვარსაშეშვი — მდინარეში ან კანალიზაციის კოლექტორში ნიაღვრის ჩასაშეშვი მილი.

ღიობი — სიო; ფანჯრის, კარის და მისთ. ხვრეტი კედელში.

ღობა — ზღუდე, თარჯი; განსაზღვრული ადგილის მოსაკავებელი სხვადასხვა სახის კედელი. აღრე ღობეს ზღუდის განსაზღვრულ სახეს უწოდებდნენ. „ჯალჯის ზღუდე“ (საბა).

ღუმელი — ოთახის გასათობი დასურულკარბანი ნაგებობა. 2. ბრძმელი; საწარმოში — შალხის საღნობი დანადგარი.

— ყ —

ყაპარი — 13-25 მმ-ის სისქის ფიკარი, რომელსაც ხმარობენ საჭურავის მასალად ან კედლის შესამოსად.

ყაზარმა (თურქ.) ჯარის მუღმივად საღგომი შენობა.

ყალიბი — 1. თიხის ან სხვა მასალისაგან დამზადებული ფორმა, ქანდაკების ან სხვა ნაწარმის ჩამოსახმელად. 2. ბეტონის ან რკინა-

ბეტონის კონსტრუქციის ამოსაყვანად დამზადებული ხის ან ლითონის ფორმა.

ყარაღამი (აზერბ.) — აზერბაიჯანული საცხოვრებელი სახლის სახეობა.

ყელი გუმბათისა — გუმბათის ყელი.

ყერი — ზევითკენ წაწვეტებული ძელების მიწაში მიჯრით ჩა-

სობით შექმნილი ზღუდე. „ყერი არს ძელი აღმართებულად ზღუდედ მოვლებული“ (საბა).

ყვავილნარი — კლუმბა; ყვავილებდარგული სხვადასხვა კონფიგურაციის მიწის ნაკვეთი.

ყვავილწნული — გირლანდა; ყვავილებისა და სხვა მცენარეულობის წნულის გამოსახულება.

ყირათალი — გადმოყირავებული თალი. იგი, ჩვეულებრივ, კედლის წყობაშია ჩამარხული და საძირკველს გადასცემს ცალკე მდგომი საყრდენების დატვირთვებს. განმტვირთავი თალის ნაირსახეობა.

ყირმი (თურქ.) — შუა აზიაში გავრცელებული, ორნამენტის შელესვით შესრულების ტექნიკა, რომელიც სგრაფიტოს წიაგავს.

ყიშლაცი (თურქ.) — დასახლება შუა აზიაში.

ყორა — უკიროდ და უტალახოდ, მშრალად ნაგები ქვის კედელი — ზღუდე, მიჯნა.

ყორლანი — თაბუთი, ტაგრუცი; სამარხი, რომელიც წარმოადგენს მიწაყრილს მის სიზრქეში დატანილი სამურავით, აკლამით.

ყორმანი — სვეტების წყობილი. „ორი რამ ტოლ(ი) სვეტ(ნი) ი ამართულ(ნი)ი“. (საბა)

ყრილი — ზვინული; ქვიშის, ქვების და მისთ. გროვისაგან შექმნილი მიჯნა. იხ. მიწაყრილი.

ყრუ კედელი — ულიობო კედელი.

ყრუ ფანჯარა — 1. ფანჯრის ალათები უძრავად არის ჩამაგრებული ჩარჩოში. 2. ფანჯრის იმიტაცია კედელზე, ცრუ ფანჯარა.

ყუაფიცარი — ნაგვერდული, აფრაკი, იალლოჯი, ნამორი, ნაშუარი. ცალმხრივ პირმრუდე ფიცარი.

ყულფი — მარყუჭი, საცილოვე. რაზის გასაყრელი რგოლი.

ყურა — აფრა, პანდატივი; სფერული სამკუთხედის ფორმის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც იძლევა სწორკუთხა ფუძიდან ვუმბათოვან გადასურვისკენ გადასვლის საშუალებას. „...რასაც თანამედროვე ხელოთმოდგერებაში რუსულად „нары“ ჰქვიან“ (ივ. ჯავ.).





**შაბაძი** (თურქ.) — 1. ულურ-სმოდ (კოტეხით) შეერთებული ხის ელემენტებისგან დამზადებული გეომეტრიულსახიანი ვისოსი აღმოსავლეთის არქიტექტურაში. 2. გულბადი, ხეზე ჭრით დამუშავებული აივნის ტიპიანი.

**შაბლონი** (გერმ.) — იხ. თარგი.

**შადრეპანი** (სპარ.). — სარაჯი; დეკორაციული ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს წყლის მაღლა ატყორცნილ ჭავლის ან ჩამდინარე ნაკადის ფუძეს და მოჩარჩობას.

**შანდალი** — საბაზე, სასანთლე, სანთლის დასამაგრებელი არმატურა.

**შარბ** (არაბ. სპარ.) — „დიდი გზა საურმე“ (დ. ჩუბინ.). იგივეა, რაც შარაგზა.

**შახნიშანი** (სპარ.) — ახლი აღმოსავლეთის სასახლეებში მოწყობილი ღრმა ნიში, რომელშიაც ხშირად ტახტი იდგა.

**შახრასტანი** (სპარ.) — შუა აზიის ფეოდალური ქალაქის ბირთვი — ქალაქის კედლებს შუა მოქცეული ნაწილი.


**შეთავსებაზული სანკვანძი** — სანიტარული კვანძი, სადაც ერთ სადგომში მოთავსებულია აბაზანა, საპირფარეშო და ხელსაბანი.

**შეპიღული თალი** — თალი, რომლის წარმართველი თრი სხვადასხვა ცენტრიდან შემონახული, თალის უმაღლესი წერტილის ქვეით გადაკვეთილი რკალებსგან შედგება.

**შეპიღული ჭერი** — გადახურვის მზიდ ელემენტებზე (კოჭებზე, ფერმის ქვედა სარტყელზე) შეკიდულ საკიდურებზე დამაგრებული ჭერი.

**შეპიღული ხიდი**. — ხიდი, რომლის სავალი ნაწილი ბაგირზეა შეკიდული.

**შეპრული კამარა** — მართკუთხა სათავსის მთელ პერიმეტრზე დაყრდნობილი კამარა.



**შეკუმშული თალი** — კუმშვილი თალი; თალი, რომლის წარმმართველი რკალის ცენტრი მის ქუსლებს ქვეით მდებარეობს.

**შელესვა** — ბათქაში; ნაგებობის ზედაპირზე სამშენებლო სსნარით შექმნილი მოსაპირკეთებელი შრე, რომელიც ასწორებს ზედაპირს და ვარეშე გავლენისაგან იცავს კონსტრუქციას. ვარდა ამისა, შელესვის დანიშნულებაა მოამზადოს ზედაპირი შემდგომი შეღებვის, მოპირკეთებისა და ზედაპირისათვის დეკორაციული თვისებების — ფორმის, ფერის, ფაქტურის მისანიჭებლად.

**შემაღლებული თალი** — თალი, რომლის წარმმართველი რკალის ცენტრის ქვეით (ქუსლებამდე) სწორხაზოვანი მონაკვეთებით გრძელდება.

**შემაღლებული კამარა** — კამარა, რომლის წარმმართველი შემადგებელი თალის მოხაზულობისაა.

**შემკრავი** — 1. ძელებისაგან შედგენილი ჩარჩო, რომელიც შენო-

ბის პერიმეტრზე კრავს კარკასული კედლის დგარების ზედა და ქვედა ბოლოებს. 2. ბაზო; ძელებსაგან შეკრული ჩარჩო კარის გულფიცრის ირგვლივ.

**შემობარენი** — ქალაქის ირგვლივ მდებარე დასახლებული ადგილები.

**შემოფიცვრა** — ფიცრის საშლისი; მჭიდროდ მორგებული ფიცრების შრე.

**შენაღბამი** — ანწალა, ბიგი, ბოქინტი, ბოძი, დგარი, სადგარი, საკავი, ჭალა, საშარი; რისამე დასაკავებლად ან ვასამაგრებლად შეყენებული ძელი.

**შენაჭრი** — ელემენტის კვეთი; კონსტრუქციის შეკიბული ნაწილის თარაზული სიბრტყე (მაგ., საძირკვლისა და კედლის საზღვარზე).

**შენობა** — ნაგები, ნაგებობა, ნაშენი; ყველაფერი, რაც აშენებუ-

ლია. იხ. ბაზილიკური შ., დიდ-  
მაღალი შ., მაღლივი შ., ცენტრა-  
ლურ-გუმბათოვანი შ., ცენტრული  
შ., ჯვარისსახიანი შ.


შესასვლელი — შენობის, ეზოს,  
ქალაქის, ციხე-სიმაგრის და ა. შ.  
კარი, ბჭე, კულტიკარი, სადარბაზო,  
ჭიშკარი და მისთ.

შესასვლელი პარები — შენო-  
ბაში შესასვლელი, გარე კედელ-  
ში მოქცეული კარები. იხ. სადარ-  
ბაზო შესასვლელი.


შესაწვივი პარები — კარები,  
რომლის ფარი ვადებისას კედლის  
სიწრქეში დატოვებულ ბუდეში  
შეცურდება (ვაგონში მოწყობილ  
კარის მსგავსად).

შესახვევი — შუკა; ქუჩის გან-  
შტოება. შდრ. ქუჩაბანი, ჩიხი.

შემცვეული ბატიყელა — 180°-  
ით გადმობრუნებული ბატიყელას  
მონახულობის მქონე არქიტექტუ-  
რული პროფილი. შექცეული ბა-  
ტიყელა, ჩვეულებრივ, საყრდენის  
ელემენტი (ბაზისი, ცოკოლი და  
მისთ.).



შემცვეული ქუსლი — არქიტექ-  
ტურული პროფილი, რომელიც  
წარმოადგენს 180°-ით შეტრიალე-  
ბულ ქუსლს.



შიდაციხე — ზედაციხე, ციტა-  
დელი; შუა საუკუნეების დასახლე-  
ბის შიგნით, ჩვეულებრივ გაბატო-  
ნებულ ადგილზე განლაგებულ  
ციხე-სიმაგრე.

შიდა ეზო — შენობებით ყოველმხრივ შემოფარგლული ეზო; შენობის შუაგულში მოწყობილი ეზო.



ულაგბაუმი (გერმ.) — ბერა; გზის ჩასაკეტი მოწყობილობა, რომელიც, ჩვეულებრივ, ეწყობა რკინიგზისა და გზატკეცილის გადაკვეთაზე, განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე სამრეწველო ობიექტზე შესასვლელთან და ა. შ.


შორენკეცი — მოჭიქული ან მოუჭიქავი კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილა.

შორისული კედელი — გარე კაპიტალურ კედლებს შორის მო-

ქცეული შიდა, მშიდი კედელი. შრამელი — „სამკუთხი სახლი ხისა“ (საბა).


შპალერი (გერმ.) — 1. ქარხნული წესით დამზადებული ვობლე-ნი. 2. გასვლილი ბუჩქნარის ან ხეების რიგი ბალის და მისთ. ბილიკის გასწვრივ. 3. საგანგებო ცხაური, რომელზედაც ამაგრებენ ბუჩქს ან ხეს, მათთვის განსაკუთრებული ფორმის მისანიჭებლად.

შპრენგელი (გერმ.) — ღეროებით შედგენილი კონსტრუქცია, რომელიც ზრდის ძირითადი კონსტრუქციის (კოჭის, ფერმის და ა. შ.) სიხისტეს და ზიდვისუნარიანობას.



შუაპედლისი — ღიობებს შორის მოქცეული კედლის ყრუ ნაწილი.


შუაპედლისის ბლოკი — მსხვილბლოკური კედლის ელემენტი, კარ-ფანჯრების ღიობებს შორის. შუაკედლისის ბლოკი მთლიანად აესებს ამ ნაწილს ან მისი შემადგენელი ელემენტი.



**შუასაღმბი** — რაიმე კონსტრუქციის სიზრქეში მოქცეული საგანგებო შრე (მაგ., თბოსაიზოლაციო შრე).

**შუაცინხე** — იგივეა, რაც შიდაცინხე.

**შუაფარადი** — ტაძრის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება ვრძივი ნავისა და ტრანსეპტის (გარევი ნავის) გადაკვეთით.



**შუპა** — შესანგვევი; ქუჩის გასწვრივ. შტოება. შდრ. ქუჩაბანდი, ჩინი.  
„შუკათა მოღვეს ვაჭარნი, ყოველნი მჭვრეტელთა ჯარია“ (ვეფხ.).

**შუპაში** — სარკმელი; ფანჯრის საგდულის ნაწილი, რომელიც დამოუკიდებლად იღება და სათავისი გასანიავებლად არის განკუთვნილი.

**შუპი ზედა** — იხ. ზედა შუქი.

**შუპი მემორეული** — იხ. მემორეული სინათლე.

**შუქურა** — ბრავაზე, მეჩენზე აგებული კოშკური ნაგებობა, რომელშიც თავსდება სინათლის ძლიერი წყარო გემძლოლთა ორიენტირებისათვის.

**შუქურანი** — სათავისი ზედა შუქით განათების მიზნით მოწყობილი, შენობის გადახურვის სიბრტყიდან მკვეთრად გამოყოფილი შემინული ნაწილი. შდრ. ილუმი-ნატორი.

**შუქურარი** — ლითონის ან სხვა მასალის ფარი, რომელიც ელექტროლაიმფაზე ჩამოიცმება შუქისაგან მხედველობის დასაცავად ან სინათლის სხივებისათვის ვარკვეული მიმართულების მისანიჭებლად.



შუქფარსაჰმერი — შუქფარი-  
სამავრი არმატურა, ღვაში.

ჩალანბარი — კაკუტი, ნივნივი,  
ლარძაყონი, მარწუხი, ჯალაბდა-  
რი; ერთი იმ ორ დასრილ ძელთა-  
გან, რომლებიც ჰქმნიან სახურა-  
ვის ჩონჩხედს.

ჩალური — ოქოქი, ქონი, ხულა,  
ხუხულა; ჩალით დაფარული სო-  
ფლის სახლი.

ჩანა — კიბის სვლის მზიდი, და-  
სრილი კოჭი.

ჩანახატი — გარემოცვის, ნატუ-  
რის მოკლე დროში შესრულებუ-  
ლი, მიახლოებითი ნახატი, ესკი-  
ზი. შდრ. ეტიუდი.

ჩანგალი — კავი, კაკვი, კაუჭი;  
ერთ ბოლოში მოღუნული, მოკაუ-  
ჭებული რკინა.

ჩარდახი (სპარ.) — 1. ქორი,  
ქორედი; სახურავის მოცულობა-  
ში მოქცეული სათავსი. 2. ტრაპე-  
ზზე დადგმული ოთხსვეტიანი სა-  
ჩრდილობელი. 3. საწოლზე,  
ურემზე და მისთ. დადგმული სა-  
ჩრდილობელი.

ჩარჩო — 1. ხისტად (რკინა-ბე-  
ტონის ჩარჩოში — მონოლითუ-

რად) დაკავშირებული დეარებისა  
და თარაზული ან დასრილი რი-  
გელებისგან შემდგარი ერთი ან  
მრავალმალისანი მზიდი კონსტრუ-  
ქცია. 2. ძელაკებისგან შედგენი-  
ლი მართკუთხედი, მაგ., ფანჯრის  
აღათების ან კარის შესაკიდად.

ჩაშენებული ავეჯი — მცირე  
გაბარიტიანი ავეჯი, რომელიც  
კედელზეა აკეცილი ან კედლის  
საგანგებო ნიშნითა მოთავსებული  
და გაიშლება საჭიროების შემთხ-  
ვევაში.

ჩელტი — კუთხ. ლახტი; წნულის  
ფარი, რომელსაც მრავალმხრივი  
გამოყენება აქვს თაროს, ჭერის,  
კარის ფარის და მისთ. მოწყობი-  
სას.

ჩინი — ქუჩაბანდი; ქუჩის ყრუ,  
ვაუმჭოლი განშტოება. შდრ. შუკა.

ჩოდოლი — ლარი, ლაჭყორი,  
ფაცხა; წნულის ქონი დასავლეთ  
საქართველოში.

ჩონჩხედი — კარკასი; ნაგებო-  
ბის კონსტრუქციული ჩონჩხი.

ჩულპა — უძველესი აკლდამა პე-  
რუსა და ბოლივიაში.

**ჩუმი** — ციმბირის ხალხების (ვენეკების, კეტებისა და სხვათა) ვადასატანი ხალხობა, რომელიც წარმოადგენს ლატნიებით შედგენილ და ირმის ქურქის ნაჭრებით დაფარულ კონუსური ფორმის ნაგებობას.

**ჩუქურთმა** — ორნამენტი; ფერწერით, გრაფიურით, ჭრით, მოქარვით, ძერწვით და ა. შ. შესრულებული, ჩვეულებრივ, რიტმულად განმეორებული ელემენტებისაგან შემდგარი სამკაული. იგი უმეტესად წარმოადგენს რეალური სამყაროს — მცენარეულობის, ცხოველების და სხვა გამოსახულებათა მკვეთრად სტილიზებულ განხორციელებას ან გეომეტრიული

ფიგურების შეუღლებას. ჩუქურთმაში თავის გამოსახულებას პოეზიას როგორც სტილისტური თავისებურება, ასევე ნაციონალური კოლორიტი, ის. ზოომორფული ო., ლენტური ო., არაბესკა.



**ჩამრალი** — კასკადი; ხელოვნურად შეკიბული ჩანჩქერი ან ჩანჩქერების ასეთივე სისტემა. **ჩხუტი** — ავარტანი, პალო, სარი, ჭიგო, ხარდანი; მიწაში ჩასასმულად წაწვეტიებული ჯონი.

— 3 —



**ცალღირე ხიდი** — კიბორჭი, წანწალა; საცალღენო ხიდი, ხიდად გადაებული ძელი.

**ცალკარელი** — ერთსაგულიანი კარი.

**ცალკე ხალხი** — კოტეჯი; ვანცალკეებულ ნაკვეთზე აშენებული, ერთ ოჯახისათვის განკუთვ-

ნილი ქალაქური საცხოვრებელი სახლი.

**ცათამბჟენი** — მრავალსართულიანი შენობა, რომლის სიმაღლე ზოგჯერ რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევს (ემპაირ-სტივტი ბილდინგი ნიუ-იორკში — 380 მ.) მათი მშენებლობა გამოწვეულია განაშენიანების სიმჭიდროვის პირობებში



**ცენტრული შენობა** — ჩვეულებრივ, გუმბათით დაფარული გუმბათის მქონე შენობა, მკვეთრად გამოსახული ცენტრალური ნაწილით, რომლის გარშემო განლაგებულია დანარჩენი სადგომები.

მიწის ნაკვეთის მაქსიმალურად გამოყენების აუცილებლობით.

**ცალმაგი კარები** — იგივეა, რაც ცალკარედი.

**ცელა (ლათ.)** — ანტიკური ტაძრის მთავარი სადგომი, სადაც თავსდებოდა საკულტო ქანდაკება (ბერძნული ნაოსის შესატყვისი).



**ცეცსლამრილი კედელი** — ბრუნდამუერი, ხანძარსაწინააღმდეგო კედელი; ცეცსლამრილი მასალით ამოყვანილი კედელი, რომელიც გამოყოფს სათავსების ჯგუფს და გამოიზნულია ხანძრის ვაგრცელების დასაბრკოლებლად.

**ცენტრალურ-გუმბათოვანი შენობა** — შენობის კომპოზიციის არსს შეადგენს ჯვარული გეგმის მქონე ცენტრალური მოცულობა, გადახურული ოთხი ცილიანდრული კამარით, რომელთა გადაკვეთაზე აღმართულია ყელიანი გუმბათი.



**ცეცხლრიპი** — საცეცხლურის ფსკერის შემქმნელი ლითონის ბადურა ან ზოლოვანი ცხაური, რომლის ქვემოთ სანაცრეა მოთავსებული, ცეცხლრიპის მეშვეობით ხდება ჰაერის მიწოდება კერის არეში.


**ციბი** — გოგი, ვაცა, ვაცი; ხის ბოძი, რომელიც მსხვილ კოჭზე (საწელზე) არის დადგმული და რომელსაც სახურავის სათავე ეყრდნობა.

**ციკლოპური ნაგებობა** — დიდი ქვის ლოდებით აშენებული ნაგებობა. ძველ საბერძნეთში ამგვარ ნაგებობების მშენებლობას მიაწერდნენ მითიურ გოლიათებს — ციკლოპებს.

**ციკლოპური წყობა** — დიდი ქვის ლოდების წყობა.

**ცირპი (ლათ.)** — 1. ადგილი, სადა ნაგებობა ძველ რომში, სადაც იმართებოდა შეჯგობრი ცხენოსნობაში, მუშტკრივში და ა. შ. 2. შენობა, რომლის ცენტრში მოთავსებულია ასპარეზი, მის გარშემო ამფითეატრალურად ჭანლაგებულია მაყურებელთა ადგილები, სადაც იმართება თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი სახეობის წარმოდგენები (კლოუნების, აკრობატების გამოსვლები, გაწვრთნილ ცხოველთა ჩვენება და ა. შ.).

**ციტადელი (იტ.)** — 1. შიდაციხე, ზედაციხე, შუაციხე; ციხესიმაგრის ყველაზე მეტად გამაგრებული ნაწილი, რომელიც ალყაშემორტყმულ დამცველთა უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენს. 2. შუა საუკუნეების ქალაქის ხედში გაბატონებული ციხესიმაგრე ან ციხე-დარბაზი.



ციხე — 1. იგივეა, რაც ციხე-სიმაგრე. იხ. თავადი ციხე.

„ციხეს ვზი ეზომ მაღალსა,  
თვალნი ძლივ  
ვარდასწვდებიან  
ვზა გვირაბითა შემოვა,  
მცველნი მუნ ზედა ღვებთან“  
(ვეფხ.).

2. საყრობილე.

ციხე-სიმაგრე — ციხე; ვამაგრებული ადგილი — ვალაენით შემოფარვლული თავდაცვითი ნაგებობების კომპლექსი.

ციხე-ღარბაზი — ციხის ვალაენით შემოფარვლული სასახლის, საცხოვრებელი, სამეურნეო და სხვა დანიშნულების შენობათა შუასაუკუნეობრივი კომპლექსი.


ციხე-ქალაქი — ციხე-სიმაგრეთა კომპლექსით ვარშემორტყმული ქალაქი.

„ჩვენ მოგცეთ ციხე-ქალაქი,  
მოგყენენ ცოტანი ყმანია“  
(ვეფხ.).


ციხის ბალავსნი — ვამაგრებული ადგილის ვალაენი, კედელი ციხის ვარშემო.

ცოკოლი — საფუძველი. ზედი-რკველი; ნაგებობის ქვედა, მიწის-

ზედა ნაწილი, რომელიც წეულია კედლის ძირითად სიბრტყიდან.




ცოკოლის სართული — ნახევარსარდაფი; მიწის ზედაპირის მიმართ თავის სიმაღლის ნახევარზე ნაკლებად ჩაღრმავებული სართული.



ცოცხალი ღობე — კაწანი; მკიდროდ დარგული ეკლიანი ბუჩქნარით შექმნილი ღობე.

ცრუ გუმბათი — გუმბათი, რომელიც არ იწვევს გამბჯენ სა-

ლებს და ამოიყვანება ქვის წყობის ან ხის გვირგვინების რიგების თანამიმდევრული წამოწევით შუაგულისკენ.



ცრუ თალი — თალი, რომელიც არ წარმოშობს გამბჯენ ძაბვებს და წაწყური წყობით არის ამოყვანილი.

ცრუ პამბრა — წყობის რიგების თანდათან გადმოშვებით შექმნილი კამარა.

ცხაური — გისოსი, ლანძვი, კანკელი; ბადისებრ დახლართული ან რიკულებივით შეკრული ხის ან ლითონის ზოლები.

ცხენოსარბიელი — იპოდრომი, სადოღე, ცხენოსნობაში შეჯიბრის ჩასატარებლად მოწყობილი ტერიტორია.

— d —

ძალაყინი — კარის საკეტი ხის ძელი.

ძარი — ნალია, სასიმიდნე; სიმიანდის შესანახი წნული ან ფიცრული ნაგებობა.

ძმიღე — საძგიდე, ტიხარი; „გალობილი, ვაფიცრული კედელი შენობაში“ (დ. ჩუბინ.).

ძეგლთღება — ძეგლისწერა; „განწესება აღწერილი ძეგლზედ“ (დ. ჩუბინ.).

ძეგლი — 1. განსაზღვრული პიროვნების, პიროვნებათა ჯგუფის ან რაიმე ამბის უკვლავსაყოფად აგებული სკულპტურული ნაწარმოები ან არქიტექტურული ნაგებობა (თბელისკი, სატრიუმფო თალი და ა. შ.). 2. ტერმინი, რომელიც იხმარება წარსულის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა მიმართ.

ქეგლისწმირა — ქეგლოდგება; ქე-  
გლზე მოთავსებული წარწერა.

ქელაპი — მცირე ზომის ქელი.

ქელი — დახერხილი ან გათლი-  
ლი ხე, რომლის განივკვეთის ზო-  
მები 100 მმ-ს აღემატება.

ქელწრა — ხერხული სახლი, ქე-  
ლური სახლი; ქელებით აგებული  
სახლი.


ქელწრი სახლი — იგივეა, რაც  
ქელურა.

ქელფენილი — მჭიდროდ მორ-  
გებული ქელებით შექმნილი ფე-  
ნილი. იხ. ქელჭერი.

ქელწორი — ქელებითა და  
წყობით ამოყვანილი ზღუდე.

„ქეთა და ქელით მოზღუდ-  
ვილი“ (საბა).

ქელჭირი — კოჭოვანი გადახურ-  
ვის შევსების მზიდი ნაწილი  
მჭიდროდ დალაგებული ქელაკე-  
ბის ან ნამორების სახით.



— 6 —

წალკოტი — „ხილის ადგილი,  
ბაღი“ (საბა).

წალო — ნიში, მანდური; „საგე-  
ბლის დასაწყობი“ (საბა).

წამატი — წაწყვი; ხის კოჭის,  
ნივნივის და მისთ. ნაზრდი. იხ.  
ჯორაკი.

წამწე — 1. ფერმა; გეომეტრიუ-  
ლად მდგრად სისტემაში გაერთი-  
ანებული ხის, ფოლადის ან რკინა-

ბეტონის დეროებისაგან შემდგარი  
მზიდი კონსტრუქცია. 2. ხის ხი-  
დის ჯირგვალური ბურჯი ნაბირ-  
ზე. „ხილის ყურზე(დ) ქელნი  
ჯირგვლად წარზიდულო ხიდის  
სიმაგრისათვის“ (საბა).

წანულითი — ქე. სტუმრების  
მისაღები საზეიმო ოთახი.

წანწალა — კიბორჭი, ცალდირე  
ხიდი; თხრილზე ან რუზე გადა-  
სასვლელად გადებული ხე.

**წაწყვი** — იგივეა, რაც წამატი.

**წაწყურნი წყობა** — ზედა რიგების თანდათანობითი გადმოშვებით ამოყვანილი წყობა. იხ. ცრუ თაღი, ცრუ გუმბათი, ცრუ კამარა, გვირგვინი.

**წვეთები** — გუტები; წაკვეთილი კონუსის ფორმის სამკაული დორიულ ანტაბლემენტზე.

**წვეტურა** — ლირსი; შენობის ვიწრო მხარეზე ორქანობიანი სახურავით შექმნილი სამკუთხი არე.

**წიბოვანი კამარა** — მრუდნაწიკვანი კოჭებით შექმნილი, კარკასზე ამოყვანილი კამარა.

**წიბნსაცავი** — საგანგებო სათავის ან სათავსების ჯგუფი ბიბლიოთეკაში ან ცალკე შენობა, სადაც ინახება ბიბლიოთეკის ძირითადი ფონდი.

**წითელი ხაზი** — ქუჩის ან მოედნის განაშენიანების საპროექტო ხაზი; ხაზი, რომელზედაც იღებება შენობები.

**წინაღარბაზი** — ავანზალი; საზოგადოებრივი შენობის მთავარი დარბაზის (მაყურებელთა დარბაზის, აუდიტორიის და მისთ.) წინ განლაგებული სათავისი.

**წინპარი** — ტამბური; საცხოვრებლად გამოუყენებელი (ცივი) სათავისი, რომელიც საცხოვრებელ ოთახებს ქუჩასთან აკავშირებს (ჩვეულებრივ, გარე კიბეების საშუალებით).

**წინოთახი** — ტალანი; სათავსო, რომლის მეშვეობითაც საცხოვრებელი ოთახები კიბის ბაქანს უკავშირდება.

**წირთხლი** — 1. აწყობი, თავარა, ორთავი; კარის ან ფანჯრის ლიობის შიდა, გვერდითი სიბრტყეები. 2. ბჭე, დირე (კარისა), ზღურბლი, კარობანი, კარაბინი, კარნაგელა; კარის გადასასვლელზე გადებული ძელი. 3. ზღუდარი; კარის ლიობის შემკვერელი ზედა ძელი.

**წირწიმალი** — იგივეა, რაც წკირა.

**წკირა** — წირწკიმალი; ხის ლურსმანი.

**წნული** — 1. წკებლების, მავთულის და მისთ. გადახლართვით შექმნილი ფარი, ღობე, გოდორი და ა. შ. 2. დაწნული ორნამენტი, რომელსაც, ჩვეულებრივ, საფუძვლად უდევს მცენარეული ორნამენტი.

**წოლანა** — ლართხი; მიწაზე გადებულ ძელთაგანი, რომლებზედაც ლავდება ფიცარფენილი.

**წოლი** — გადახურვის კოჭებზე ან საგანგებო სადგარებზე მოთავსებული ძელი, რომელზედაც ლავდება ფიცარფენილი.

**წრემთარბი** — ფოსო; შეხნეკილი მრუდხაზოვანი არქიტექტურული პროფილი, რომელსაც წრის მეოთხედის მოხაზულობა აქვს.

**წყალსაბღმები** — ხერეტი საფუბარის კედელში, რომლის საშუალებითაც ხდება ზედმეტი წყლის გადმოვლება წყალსაცავიდან.

**წყალსაბროვი ნაგებობა** — მიწისზედა და მიწისქვეშა წყლების შემკრები ნაგებობა სარწყავად, წყლის ენერჯის გამოყენებისა და სხვა მიზნებისათვის.

**წყალსადენი** — შენობაში ან მოსამარაგებელ ტერიტორიაზე წყლის გამანაწილებელი მილგოყვანილობა.

**წყალსადინარი** — ზედაპირული წყლების გადამყვანი სისტემა.

**წყალსადინარი მილი** — ზედაპირული წყლების გადამყვანი მილი.

**წყალსათამსი** — ხელოვნურად ამოშენებული წყლის დასაგროვებელი და შესანახი ნაგებობა.

**წყალსარინი** — არხი, არხების სისტემა ან სხვა მოწყობილობა ნაგებობიდან ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების მოსაცილებლად.

**წყალსატმვი** — ბუნებრივად ან ხელოვნურად შექმნილი წყლის მარაგი.

**წყალსატუმები** — შენობა საგანგებო მოწყობილობით, რომელიც წყალს ტუმბავს ქვემოთ განლაგებული წყალსატევიდან.

**წყალსაშვები** — საგანგებო ამონაჭერი ჯებირის ზედა კიდურზე გადასაგდები წყლის თავმოსაყრელად ერთ ჭავლში.

**წყალსაცავი** — წყლის დინების შესაჩერებელი და დასაგუბებელი პილროტექნიკური ნაგებობა.

**წყალსაწმვი კომპი** — ჩვეულებრივ, შემადლებულ ადგილზე განლაგებული კომპი, რომლის ზედა იარუსში მოთავსებულია წყლის რეზერვუარი, მოსამარაგებელ ტერიტორიაზე წყლის წნევით ვანაწილების მიზნით.

**წყალჩამკეტი ნაგებობა** — მდინარის დინების ვადამკეტი პი-  
დროტექნიკური ნაგებობა.

**წყარო** — წყლის წყაროს თავ-  
ზე ამოყვანილი ნაგებობა.

**წყვეტილი საძირკველი** — სა-  
ძირკველი, რომელიც ლენტური  
საძირკველისაგან განსხვავებით  
შენობის მთელ პერიმეტრს არ გა-  
სდევს და საძირკველის კოჭით გა-  
დახურულ ცალკეული სუბსტრუ-  
ქციების სისტემას წარმოადგენს.

— ჭ —

**ჭა** — ლაკვა, ლაკვანი; მიწაში  
ამოშენებული ბუნებრივი წყლის  
რეზერვუარი.


„ორნი კაცნი მოდიოდეს  
სადაურნი სადმე გზასა,  
უკანამან წინა ნახა  
ჩაგარდნილი შიგან ჭასა“  
(ვეფხ.).

**ჭალა** — ანწალა, ბიგა, ბიგი, ბი-  
ჯვი, ბოკონი. ბოძი ბოძკინტი, სა-  
დგარი, საკავი, ხაშარი; საყრდენი  
ძელი.

**ჭა სანათი** — იხ. სანათი ჭა.

**ჭაღი** — ქორკანდელი, სომლი;  
ჭერზე შეკიდული სანათი არმატუ-  
რა.

**ჭდობა** — ხის ნაწილების შეერ-  
თება, როდესაც ერთი ნაწილის  
ნაშვერი — კბილი და მისთ. ჯდება  
მეორის სათანადო ამონაღარში.



**ჭედვა** — კვერვა; რელიეფური  
გამოსახულების მისაღებად საკვე-  
რით ლითონის დამუშავების ტექ-  
ნიკა.

**ჭერი** — გლუვი ზედაპირი (ზოგ-  
ჯერ რელიეფით ან მოხატვით და-  
მუშავებული), რომელიც შემოდან  
საზღვრავს სათავსს. იხ. შეკიდუ-  
ლი ჭერი.

**ჭირხო** — კუთხ. სახლის ზედა  
სართული.

„შევიყარნით სწორები,  
ჭერსოს დავსხედით სმაზედა.  
ხელში მივეცით საღვინე,  
ხირჩლაი ვვადგა თავზედა“  
(ხალხ.).

ჰიზო — ავარტანი, პალო, სარი,  
ჩხუტი, ხარდანი; დიდი ზომის წა-  
თლილი ჯოხი, ძელი.

ჰილოზი — კელმენი, ნეჭა; „ჰი-  
ლთავან წნული საფენი, რომელი-  
საცა სუფთას და კეთილს ეწოდე-  
ბა ნეჭა, ცუდსა კელმენი“  
(დ. ჩუბინ.).

ჰიშპარი — ალაყაფის კარი, ბჭე,  
ბჭე-კარი, ბჭის კარი; ვალავნის  
დიდი, განიერი კარი — მთავარი  
შესასვლელი.

ჰოგრი — 1. კადონი, ლატანი,  
მუკენი, ხარჩხა; ვანივად ვადებუ-



ლი ძელი. 2. თხელი ლატანი.  
„მსოფლიონი წვრილს ლატანს  
უნმობენ“ (საბა).

ჰორტი — ძვ. სტატუა, ქვაკაცი;  
ილამიანის ქანდაკება.

ჰრილი — პროექტის ნაწილი,  
რომელიც პირობითად ასახავს შე-  
ნობის ვერტიკალურ კვეთს კონ-  
სტრუქციებისა და ნაგებობის მო-  
ცულობათა გამოსავლენად.

— ბ —

ბაზინა — საგანძური, სალარო,  
საუნჯე, საჭურჭლე; განძეულის  
შესანახი საგანგებო სათავსი.

ბალამბარი — ბელო; მცირე ბე-  
ლელი.

ბანაბა (სპარ.) 1. ძვ. ობოლთა  
და ქერივთა თავშესაფარი სახლი.  
„ობლები საკრებულო სახლებია“  
(საბა). 2. დერვიშების სახლი სპა-  
რსეთში.

ბანდაკი — გზის ვაკისიდან ზე-  
დაპირული წყლის ვადასაყვანად



მოწყობილი არხი რკინიგზისა და შარავის გაყოლებით.

ხაზი წითელი — ის. წითელი ხაზი.

ხანძრის საბეზრო — სამეთვალყურეო კოშკი სახანძრო საამქროში.

ხანძრის საწინააღმდეგო კედელი — ბრანდმაფერი, ცეცხლამრიდი კედელი; ცეცხლგამძლე კედელი, რომელიც გამოყოფს სათავსების გარკვეულ ჯგუფს და გამიზნულია ხანძრის გავრცელების დასაბრკოლებლად.

ხარაჩოვები — ფლანგი; ხის ან ანაკრები ლითონის დროებითი სუბსტრუქცია, რომელიც შედგება ვერტიკალური დგარებისა და ფიცარფენილისაგან და რომელიც დიდ სიმაღლეზე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჩატარების საშუალებას იძლევა.

ხარბა — ნაბლით დახურულ კარავი.

ხარღანი — ავარტანი, პალო, სარი, ჩხუტი, ჭივო; დიდი ზომის წათლილი ჯოხი, ძელი.

ხარისხმდი — მექონოთი; შეკიბული ნავეობა, ბაქანი.

ხარისხი — 1. ზეძირკველი, ცოკოლი; საძირკველსა და კედელს შორის მოქცეული შეკიბული მიწისზედა ნაწილი.

2. ძვ. საფეხური; „ხარისხი ეწოდების ზე აღსავლსა და აღსავლსა ტახტ-ტახტად“ (საბა). „ქვითკირის კიბეთა ფენის დასადგმელი“. (დ. ჩუბინ.). 3. სტილობატი; შენობის საყრდენი შეკიბული ბაქანი. 4. მენაკი, მენიაკი; მღვდელმთავრის, ეპისკოპოსის შემადგენელი საჯდომი ეკლესიაში.

ხარისხა — 1. ვარანგი. ვადასავარდნ ადგილზე, აივანზე, სახურავზე და მისთ. ვადებული ძელი — მოაჯირი. 2. აყარი, მუკენი, კადონი, ჭოვრი, ქანდარა; განივად ვადებული ძელი.

ხარო — ძვ. ქვითკირით ამოყვანილი ორმო, სადაც სორბალი ინახებოდა.

ხატორიული კაპიტალი — ეგვიპტური ქალღმერთის — ხატორის თავის გამოსახულებით შემკული კაპიტელი.

ხაშარი — 1. ანწალა, ბიგა, ბივი, ბოძი, ბოძ-კინტი, საღვარი, საკავი, ჭალა; დაბალი საყრდნობი ბოძი. 2. ხარაჩოვების ქვესადგა-

მი დგარი. „ფალანგთ სვეტნი, რომელსა თურქნი ჩიბუხს უწოდენ“ (საბა).

ხეივანი — ბულვარი; ხეებით ორმხრივ შემოსაზღვრული ვანიერი ბილიკი პარკში; ქალაქის ასეთივე ან გამწვანებული ზოლით შუაზე გრძივად გაყოფილი ვანიერი ქუჩა.

ხელოვნება — საზოგადოებრივი შემეცნების ერთ-ერთი ფორმა. მისი სპეციფიკური თავისებურებაა სინამდვილის მხატვრულ სახეებში ასახვა. იხ. სახვითი ხელოვნება.

ხელოვნებათმცოდნეობა — ხელოვნების შემსწავლელი მეცნიერება.

ხელოვნების სინთეზი — არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა სახის ნაწარმოებითა ორგანული ურთიერთკავშირი, დაფუძნებული სტილისტური მონაცემების ერთიანობაზე, მასშტაბებისა და პროპორციების თანწყობაზე, მთავარი მიზნის — წამყვანი იდეის გამოვლინებაზე.

ხმრბი — საგუბარი, რაბი, ოფო, გოდორყოფე, ონჯარი, ჩნდე, ჯებირი; წყლის დინების ვანივალ


აგებული ნაგებობა, წყალსატარის შესაქმნელად.

ხმრხული სახლი — იგივეა, რაც ძელური სახლი.


ხშიმირი — ბუნკერი; ძაბრისმავარი ჭურჭელი ფხვიერი მასალის შესანახად.

ხიდი — მდინარის, ხევის, არხის და მისთ. ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასაყვანი ერთ ან მრავალმალიანი ნაგებობა. იხ. ბონდი. ბელდარი, ნავტიკი, ცალდირე ხიდი, კიბორჭი, წანწალა.

„ყმაღან უთხრა:“ დაო ასმათ, ხილნი ზღვასა ჩავვიცვივდეს, ველარ მივხვლით ქამიერად ჩვენ ვისიცა ცეცხლი ვვწვიდეს“ (ვეფხ.)




ხიდის ბურჯი — კუთხი; ხიდის საყრდენი კონსტრუქცია.



ხიმი — ლერწმის ზღუდე. შღრ. დრუსო, ყორე, ყერთ, ხირხალი, მესერი, კაწანი, ძელყორე.

ხიმიწვი — მიწაში ჩასობილი ბოძი, რომელიც შენობის დატვირთვებს გრუნტს გადასცემს.



ხირხალი — ძელური ღობე.

ხმის იზოლაცია — საგანგებო კონსტრუქციული და დაგეგმარე-

ბითი ღონისძიებების ჩატარება ერთი სათავსიდან მეორეში ან გარედან შენობაში ხმაურის გასვლის დასაბრკოლებლად.

ხმის საიზოლაციო შრე — კედლის ან სართულშუა გადახურვის სიზრქეში საგანგებო მასალის შრე, რომელიც აბრკოლებს ხმის გასვლას ერთი სათავსიდან მეორეში.

ხოპერი — ხის ქერქის ყუთი.

ხოპერული თალი — კოლოფა თალი; სამი (სამცენტრიანი თალი) ან სუთი ცენტრიდან მოხაზული რკალის ფორმის თალი.

ხომლი — ქორკანდელი, ჭადი; ჭერზე შეკიდული სანათი არმატურა.

ხორში — სვეტშორისი; მანძილი სვეტების ვარებიერებს შორის.

ხულა — 1. ძვ. ვაჭრების საწყობი. „სახლი საეჭროს სადები“ (საბა). 2. ძვ. დუქანი; საეჭრო სახლი. 3. ოქოქი, ქოხი, ჩალური, სუხულა; ფიჩხით ან ჩალით დახურული სოფლის სახლი. 4. იშელი, საღორე; წვრილფეხა საქონლის სადგომი.

ხურმა — შენობის ზედა, შემოქმედარველელი კონსტრუქცია, რო-

მელიც შედგება მზიდი ელემენტებისა (ნივნივები, ფერმები და ა. შ.) და სახურავისაგან.

ხუროთმოძღვარი — არქიტექტორი; სპეციალისტი ხუროთმოძღვრების (არქიტექტურის) დარგში.

ხუროთმოძღვრება — 1. არქიტექტურა; შენობის, ნაგებობის და მათი კომპლექსების მშენებლობის ხელოვნება, რომელიც გაიზიარებულია საზოგადოების საყოფაცხოვრებო და იდეურ-მხატვრული მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე დამოკიდებულია

ბულია საზოგადოების საწარმოო ძალებისა და ურთიერთობის განვითარებაზე. არქიტექტურის ნაწარმოებში მთავარი ამოცანა — პრაქტიკული და უტილიტარული მოთხოვნის დაკმაყოფილება მჭიდრო კავშირშია მხატვრულ შემოქმედებასთან. 2. არქიტექტურა; არქიტექტურული კომპოზიციის ხასიათი, ნაგებობის მხატვრული სახე.

ხურობა — ძვ. სამშენებლო ხელოვნება.

ხუსულა — იგივეა, რაც ხულა.

— X —

ჯალაბდარი — კუთხ. კაკუტი, ლარძაყონი, მარწუხი, ნივნივი; ქიზიყში გავრცელებული ნივნივის დასახელება.

ჯამე — მეჩეთი, მიზგიითი; მუსლიმანთა საკულტო ნაგებობა.

ჯარბვალი — გვირგვინი, ჯირგვალი; ოთხკუთხად ან სამკუთხად შეკრული მორები, ძელები. მათი ერთმანეთზე წყობით ამოყვანება ჯარგვალური სახლი ან სხვა ნაგებობა.

ჯარბვალური სახლი — ოთხკუთხად (გვირგვინად) შეკრული ძელებით ან მორებით ამოყვანილი სახლი.


ჯდომის ნაპირი — ნაკერი, რომელიც შენობის ცალკეულ ნაწილებს — ნაკვეთურებს დამოუკიდებლად ჯდომის საშუალებას აძლევს.

ჯებირი — 1. კაშხალი, ონჯარი, რაბი, სათავანი, ხერვი; წყალსატევის შემქმნელი ნაგებობა, რომე-

ლიც მდინარის დინების განივად ეწყობა. 2. ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელიც წყალსატევების ნაგებობას წალეკვისაგან იცავს.

**ჰერაპშია** — ძვ. შესაძლოა, ატრიუმის მსგავსი ნაგებობა იყო. „სვეტებთა ზედა კამარათა შე(პ)-კვრენ და შუა ადგილსა დაუტოებენ და გარემოს სასახლეს აღაშენებენ, შუა ადგილი არს ჯერაკუშია“ (საბა).

**ჰვარული კამარა** — ერთი და იგივე ისრის მქონე ცილინდრული კამარების გადაკვეთით წარმოქმნილი კამარა.




**ჰვარედი** — რისამე საყრდენი გადაჯვარებული ფიცრების, ძელების ან ლითონის ღეროების სახით.

**ჰვარედი ყვავილი** — იგივეა, რაც ფლერონი.

**ჰვარისსახიანი შენობა** — შენობის კომპოზიციის არსს შეადგენს ცენტრალური ნაწილის ჯვარული გეგმის მქონე მოცულობა, გადახურული ოთხი ცილინდრული კამარით, რომელთა გადაკვეთაზე აღმართულია ყელიანი გუმბათი.

**ჰირბვალი** — იგივეა, რაც ჯარგვალი.



**ჰიროლა** — ბედელი, ბელო, ხალამბარი; მარცვლეულის მცირე საცავი.

**ჰიძა** — თაღის შუაგული.

**ჰიხური** — 1. ხის კოშკი. 2. მცირე ზომის, ერთ სათავსიანი, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა, განკუთვნილი საცალო და წვრილმანი ვაჭრობისათვის, საგაზეთო კოსკის მოსაწყობად და ა. შ. 3. ბუ-



დრუგანა; ერთოთახიანი მცირე შენობა გუშავისათვის.

ჯორა — ჯორაკი; შენობის გა-

რეთ გადმოსული ნივნივის წანატი.

ჯორაპი — ივივეა, რაც ჯორა.

— 3 —

პბ — პეკტარის შემოკლებული აღნიშვნა.

პალტელი (გერმ.) — 1. სათელი; პროფილირებული ხის თამასა, რომელიც იხმარება პირდაპირი ნაკერის, შევრილების, წიბოების და მისთ. დასაფარად. 2. ხის ან ლითონის ნაკეთობის შიგა კუთხის დამრგვალება.

პარამხანა (არაბ.) — არამხანა; საგანგებო სადგომი, სადაც კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ შეძლებულ მუსლიმანთა ცოლები.

პარმონია (ბერძ.) — შენობის, მხატვრული ნაწარმოების ყველა ელემენტის მწყობრი შეთანხმებულობა და თანახმოიერება.

პაუპტპახტი (გერმ.) — 1. ადრე, საყარაულო შენობა ან სადგომი ბაქნით, რომელზედაც გამოდიოდა საყარაულო განრივი. 2. სამხედრო მსახურთა სასჯელის მოსახდელი, საგანგებო სადგომი.

პეისონი (ბერძ.) — კლასიკური არქიტექტურული ორდერის კარნიზის გამოტანილი ფილა.

პელა — ძვ. საასპარეზო მოედნის მიჯნა.

პერალლიკური ორნამენტი — ორნამენტის ძირითად მოტივს წარმოადგენს ერთმანეთის პირისპირ, სიმეტრიულად განლაგებული ცხოველების გამოსახულება.


პერმა (ბერძ.) — ბოძზე ან სვეტზე დადგმული ბიუსტი.

პერონი (ბერძ.) — გაღმერთებული გმირებისადმი მიძღვნილი საკულტო ნაგებობა საბერძნეთში, რომლის კარიბჭე დასაველეთისაკენ — „აჩრდილების სამეფოსკენ“ იყო მოქცეული.

პესი — პიდროლექტროსადგურის შემოკლებული დასახელება.

პექსასტილი (ლათ.) — ვიტრუვიუსის კლასიფიკაციით — ბერძ-

ნული ტაძრის — პერიპტეროსის  
ერთ-ერთი სახეობა ექვსი სვეტით  
ფასადზე.



ჰექსტარი (ფრან.) — მეტრიული  
სისტემის მიწის ფართობის საზომი  
ერთეული, რომელიც უდრის  
10 000 კვ. მ-ს.

ჰიდროელექტროსადგური --  
ჰიდროტექნიკური ნაგებობათა კომ-  
პლექსი, რომელიც წყლის დინების  
ენერჯიას ელექტროენერჯიად გა-  
დაამუშავებს.

ჰიდროელსადგური — იგივეა,  
რაც ჰიდროელექტროსადგური.

ჰიდროიზოლაცია — 1. შენო-  
ბის, მისი ცალკეული ნაწილების  
დაცვა მიწისქვეშა და ზედაპირუ-  
ლი წყლებისაგან. 2. საგანგებო მა-  
სალის შრე ან კონსტრუქცია, რო-  
მელიც არ ატარებს წყალს და  
იცავს ნაგებობას ან მის ნაწილებს

წყლისა და ტენიანობის ზეგავლენით  
ნისაგან.

ჰიდროსაიზოლაციო ხალიჩა  
— მრავალფენიანი ჰიდროსაიზო-  
ლაციო შრე.



ჰიდროტექნიკა (ბერძ.) —  
წყლის რესურსების გამოყენებისა  
და წყლის სტიქიონთან ბრძოლის  
ტექნიკური საშუალებების შემს-  
წავლელი მეცნიერება.

ჰიდროტექნიკური ნაგებობა  
— წყლის რეჟიმის რეგულირების,  
წალეკვისაგან ნაპირების დაცვის,  
წყლის დინების ენერჯიის გამოყე-  
ნებისა და მისთ. მიზნებისათვის  
წყალსატევზე აგებული ტექნიკუ-  
რი ნაგებობა (ჯებირი, ჰესი და  
მისთ.).


ჰიმნასიუმი (ბერძ.) — ვარჯი-  
შისათვის განკუთვნილი ნაგებობა  
ანტიკურ საბერძნეთში, რომელიც  
წარმოადგენდა მთავარი შენობისა  
და ღია ბაქნებისაგან შემდგარ კომ-  
პლექსს.

ჰიპეტრალური ნაგებობა —  
(ბერძ.) — ანტიკური ან ძველი  
აღმოსავლეთის ნაგებობა, სასი-  
ნათლო ღიობით ჭერში.

ჰიკოსტილური დარბაზი —  
მრავალსვეტიანი დარბაზი ეგვიპ-  
ტისა და ირანის აქიტექტურაში.




ჰიპოტრახელეიონი (ბერძ.) —  
დორიული კაპიტელის ყელი, რო-  
მელიც სვეტის ზედა ნაწილშია  
მოთავსებული, აგრძელებს მის მო-  
ხაზულობას და ოდნავ ჩაღრმავე-  
ბული, განივი ზოლებით არის გა-  
მოყოფილი.



ჰოლი (ინგლ.) — ვრცელი მო-  
საცდელი სადგომი საზოგადოებ-  
რივ შენობაში.

ჰორელიეფი (ფრან.). — მალა-  
ლი რელიეფის მქონე სკულპტურ-  
ული გამოსახულება სიბრტყეზე.  
შდრ. ბარელიეფი.





# КВИРКВЕЛИЯ ТЕНГИЗ РАФАЕЛОВИЧ

ТОЛКОВЫЙ АРХИТЕКТУРНЫЙ СЛОВАРЬ  
(на грузинском языке)

რეცენზენტები:

არქიტექტურის დოქტორი, პროფ. რ. ავაბაბიანი  
დოც. ვ. ჩიგოვიძე

ნაშრომი რეკომენდებულია ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის შიერ

გამომცემლობის რედაქტორი პ. ლაბარტყავა  
მხატვრული რედაქტორი ს. ბოტკოველი  
ტექრედაქტორი ვ. ჯოხაძე  
კორექტორი პ. დგეზუაძე

ხელმოწერილია დასაბუჟდად 9/XI-70. ქაღალდის ზომა 70×108.  
ნაბეჭდი თაბახი 13,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,48.

ტირაჟი 5000. შეკვეთა № 2500.

ფასი 65 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კამოს ქ., 18.  
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.  
1971

საქ. კვ ცკ-ის გამომც. სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.  
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

06/8/15

